მოსახლეობის ასეთი ასაკობრივი თანაფარდობა რაიონის საწარმოო ძალთა აბლანდელი ათვისებისათვის შედარებით მცირედ უნდა ჩაითვალოს, ხოლო მის მომავალს უკეთეს პერსპექტივებს უქადის.

მშობიარობის უნარის მქონე ასაკის ქალთა (15 — 50 წ.) რიცხვი 2944 სულს უდრის (ქალთა 56,5%), ხოლო არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რაოდენობა 5.500 სულს აღემატება (57% მთელ მოსახლეობაში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქლუბორის რაიონის მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან საბავშვო დაწესე-



ნახ. 4. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა

ბულებების გადმოტანა—ეს ადიდებს დაბალი ასაკის მოსახლეობის ხვედრით წონას და ამცირებს — უფროსი ასაკისას.

ცხადია, რაიონის მოსახლეობის ასეთ ასაკობრივ შემადგენლობაზე უდიდესი გავლენა იქონია აგრეთვე მეორე მსოფლიო ომმა.

4. მოსახლეობის საქმიანობა

ქლუბორის მოსახლეობის საკმაო ნაწილი ქალაქის დაწესებულება-ორგანიზაციებში მუშაობს, უმთავრესად სახალხო განათლების დაწესებულებებსა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში.

სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კოლმეურნეობაშია გაერთიანებული და სას.-სამ. საქმიანობას ეწევა, ხოლო მცირედი—ადგილობრივ დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულება-ორგანიზაციებში მუშაობს, — უმთავრესად სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

რაიონის სოფლის მოსახლეობა მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით ასე ნაწილდებოდა 1948 წლის 1 ივლისისათვის:

მეურნეობათა[1] კატეგორიები	აბსოლუტურად		%%-ით	
	კომლთა რიცხვი	მოსახლეობა	კომლთა რიცხვი	მოსახლეობა
1. კოლმეურნენი	494	2.353	53,7	62,9
2. ერთპიროვნული მეურნენი	72	202	7,8	5,4
3. დანარჩენი მეურნენი	354	1.184	38,5	31,7
სულ	920	3.739	100	100

სოფლის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს (62,9%) კოლმეურნენი შეადგენენ, ხოლო მეტრედს — ერთპიროვნული მეურნენი (5,4%); დანარჩენ მეურნეობათა მაღალი ხვედრითი წონა გამოწვეულია ხიდისკარაა და ყუბანისში კოლმეურნეობათა უქონლობით და მათი მოსახლეობის დანარჩენ მეურნეობათა ჯგუფში შეტანით.

ცალკეული სამოსახლო პუნქტების მიხედვით სოფლის მოსახლეობის მეურნეობათა კატეგორიებად განაწილება შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა:

სოფლების დასახელება	კომლთა რიცხვი				მოსახლეობა			
	კოლმეურნენი	ერთპიროვნული მეურნ.	დანარჩენი მეურნ.	ს/ სულ	კოლმეურნენი	ერთპიროვნული მეურ.	დანარჩენი მეურნენი	ს/ სულ
1. თეგერდა	127	10	9	146	627	31	19	677
2. მხისა	70	—	21	91	368	—	66	434
3. ახალშენი	69	6	24	99	296	13	96	405
4. შუქურა	12	—	3	15	55	—	8	63
5. ბარი	16	4	6	26	86	15	19	120
6. შერთულა	8	7	25	40	38	25	99	162
7. ყუბანისი	—	—	12	12	—	—	36	36
8. ხიდისკარი	—	36	235	271	—	83	741	824
9. მადნისხევი	82	—	13	95	433	—	54	487
10. შუამთა	2	—	—	2	4	—	—	4
11. ახალსოფელი	8	—	—	8	33	—	—	33
12. მოისძირი	37	6	1	44	193	21	6	220
13. მაღარო	—	—	1	1	—	—	4	4
14. ზედვაკე	63	3	4	70	220	14	36	270
სულ	494	72	354	920	2353	202	1184	3739

[1] პირველად მასალებში მოცემული დაჯგუფების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ქლუბორის ახლო მდებარე სოფ. ხიდისკარისა და ორი მცირე სმოსახლო პუნქტისა (ყუბანისი და მაღაორო), სადაც კოლმეურნეობები არ არის, ყველა დანარჩენ სოფელში კოლმეურნეთა რიცხვი გადაწყვეტილია და ზოგან კი მთელი გლეხური მეურნეობანი კოლმეურნეობაში არიან გაერთიანებულნი (მხისა, შუქურა, მადნისხევი და სხვ.).

1947 წლის დამლევს კოლმეურნეთა შორის შრომისუნარიანი მოსახლეობა (16 წლისა და მეტის) 1048 სულს უდრიდა (მ. შ. 503 მამაკაცი და 545 დედაკაცი), ხოლო მოზარდთა (12—16 წ. წ.) რაოდენობა 240 სულს შეადგენდა. შრომისუნარიან კოლმეურნეთა მაღალი ხვედრითი წონა დადებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს რაიონის სოფლის სამეურნეო ცხოვრებისათვის საერთოდ და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

კოლმეურნეობაში გაერთიანებულ შრომისუნარიანთა საქმიანობა საკოლმეურნეო სამეშაოებში საკმაოდ მაღალი აქტივობით ხასიათდება (%%-ით ჯამის მიმართ):

გამომუშავებულ შრომადღეთა რაოდენობა	ვაჟი	ქალი	სულ
50 შრომადღემდე	—	1,7	0,9
51 — 100 „	0,7	16,1	8,4
101 — 200 „	43.7	74,4	58,9
201 — 300 „	29,0	2,4	15,7
301 — 400 „	13,8	4,4	9,2
400 და მეტი შრომადღე	12,8	1,0	6,9
სულ	100	100	100

კოლმეურნე ქალთა თითქმის სამ მეოთხედს 101 — 200-მდე შრომადღე აქვს გამომუშავებული, ხოლო მამაკაცთა ოთხ მეათედზე მეტს — ამდენივე, დანარჩენთ კი უფრო მეტი.

როგორც ვხედავთ, რაიონის კოლმეურნეთა სეზონური შრომის რესურსების უფრო სრული გამოყენება უახლოესი დროის გადაუდებელ ამოცანას შეადგენს.

კოლმეურნეობებში გამომუშავებული შრომადღეების ნახევარზე მეტი მეგინდვრეობაზე მოდის, ხოლო მეოთხედზე მეტი—მეცხოველეობაზე; დანარჩენი საქმიანობის ხვედრითი წონა შედარებით მცირეა (სამრეწველო საწარმოები, მშენებლობა და სხვა სამეშაოები).

რაიონის კოლმეურნეობებში (ზხისა და თებერდა) გამომუშავებული შრომადღეების განაწილება ცალკეული თვეების მიხედვით ნათლად ასახავს კოლმეურნეთა საქმიანობის დიდ ცვალებადობას წლის განმავლობაში და არსებული შრომის რესურსების არათანაბარ გამოყენებას სახ.-სამ. სამეშაოთა სეზონურობის გამო.

გამომუშავებული შრომადღეები თვეების მიხედვით:

მაჩვენებლები \ თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	სულ
აბსოლუტური	2161	2304	2624	3430	5404	7996	8236	11760	8481	5991	8483	8026	74896
%%-ით	2,9	3,1	3,5	4,6	7,2	10,7	11,0	15,7	11,3	8,0	11,3	10,7	100

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვარში გამომუშავებული მინიმალური შრომადღეების რიცხვი თანდათანი ზრდის შემდეგ თავის მაქსიმალურ დონეს აგვისტოში აღწევს, რის შემდეგაც იგი თანდათან დაკლებას განიცდის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობის შემცირებასთან დაკავშირებით.

ამნაირად, საქმე გვაქვს კოლმეურნეთა საქმიანობის საკმაო სეზონურობასთან და ზამთრობით არსებული შრომის რესურსების ნაწილობრივ გამოუყენლობასთან, რაც ანელებს როგორც ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებას, ისე მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონის უფრო ინტენსიურ აღმავლობას.

მესაქონლეობისა და ტყის მეურნეობის შემდგომი განვითარება, უსვად არსებული ტყის ხილეულის კრეფა-გამოყენება და კოლექტიური მონადირეობის ფართო დანერგვა, შრომის რესურსების მრეწველობა-მშენებლობაში გამოყენების გაძლიერებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ზოგიერთ თვეებში თავისუფალი შრომის რეზერვების უფრო მეტ გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების მეტ ზრდას და კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომ აღმავლობას.

1947 წ. რაიონში არსებული კოლმეურნეობების (ახალშენის, მზისა და თებერდის) წევრთა უდიდესი ნაწილი (89,2%) მემინდვრეობაში მუშაობდა, ხოლო შედარებით „მცირე — მეცხოველეობაში (7,2%).

აქედან ნათელია, თუ რამდენად დიდი ხვედრითი წონა აქვს მემცენარეობას ადებული რაიონის სოფლის მეურნეობაში, მიუხედავად სახნავ-სათესი მიწების მცირე ხვედრითი წონისა (0,37% მიწების საერთო ფართობში).

რაიონის ბუნებრივ საწარმოო ძალთა უფრო მეტი ათვისება და განსაკუთრებით მდიდარი საძოვარ-საბალახოებისა და სათიბების გამოყენების გაძლიერება მეცხოველეობის დარგის მუშაკთა ხვედრითი წონის მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს. ამასთან ერთად, ყურადღება გაძლიერდება მენინდვრეობისადმი (განსაკუთრებით ახალყანასა და თებერდის ხეობაში) და, მეორე მხრივ, მებოსტნეობა-მეკარტოფილეობისა და მეხილეობისადმი, რომელთა განვითარებასაც საკმაოდ ხელსაყრელი ეკონომიური და ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონი ახლად არის დასახლებული და მოსახლეობა ჯერ კიდევ მთლად არ არის დაუფლებული აქ არსებულ მრავალფეროვან სიმდიდრეს, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საკმაოდ მაღალი დონით ხასიათდება და უახლოესი წლების განმავლობაში, არსებულ სამეურნეო შესაძლებლობთა გამოყენების გაძლიერებასთან დაკავშირებით, კოლმეურნეთა შემოსავალი და შესაძლებლობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. 1947 წ. რაიონის სამ კოლმეურნეობაში შრომადღეზე გაცემულ იქნა: 2,5 — 4,7 მანეთი, 1,7 — 2.9 კილოგრამი მარცვლეული, 4 — 8 კილოგრამი კარტოფილი და სხვა სას.-სამ. პროდუქტები.

შრომის ასეთი ანაზღაურება საშუალო რესპუბლიკურ ანაზღაურებას რიგ შემთხვევაში აღემატება, რაც რაიონის ხელსაყრელ ეკონომიურ პირობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საკოლმეურნეო წარმოების მაღალი ნაყოფიერების მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

5. სახალხო განათლება

შესასწავლად აღებულ მხარეში, ისევე როგორც სხვა განაპირა მხარეებში, მშრომელთა კეთილდღეობასა და სახალხო განათლებაზე ნაკლებ ზრუნავდნენ ცარიზმის დროს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში ყარაჩაის მოსახლეობის მხოლოდ 4,5% იცოდა წერა-კითხვა და მთელ ოლქში 11 პირველადწყებითი და ერთი ორკლასიანი სასწავლებელი იყო, ხოლო მოსწავლეთა საერთო რიცხვი 450 უდრიდა.

ცარიზმის დროინდელი სასწავლებლების დანიშნულებას უფრო გარუსება შეადგენდა, ვიდრე სრულღირსებიანი ეროვნული კადრებისა და მოქალაქეთა აღზრდა; აქვე ბლომად იყო მუსულმანური სასულიერო „სასწავლებლები", რომლებიც მოსახლეობას ცრუმორწმუნეობისა და რელიგიის ბურუსში ხვევდნენ. სკოლებში მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ და ქალთა აღზრდა-განათლებაზე არა ზრუნავდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახალხო განადლების დანერგვის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და უკვე 1939 წ. წერა-კითხვის შეცოდნეთა რიცხვი მთელი მოსახლეობის 78% შეადგენდა.

საქართველოს სსრ ორგანოებმა, რაიონის გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ, როგორც ქლუხორში, ისე სოფლებში დანგრეულ-განიავებული კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელი მიიღეს, რომლის აღდგენა-შეკეთებას და მოწყობას დიდი თანხები და შრომა დასჭირდა; 1944 — 1948 წწ. ადგილობრივი ბიუჯეტით განათლების საქმეზე დახარჯული თანხა 22 მილ. მანეთს აღწევს. განათლების საქმეზე გაწეული ხარჯები წლითიწლობით მატულობს (1948 წ. 7 მილ. მანეთს უახლოვდება).

ასეთი მზრუნველობის შედეგად ქლუხორის რაიონი საკმაოდ მრავალრიცხოვან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელით დაიფარა; მასთან ერთად ინტენსიურად იზრდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა რიცხვი.

წლები	მოსწავლეთა რიცხვი	მასწავლებელთა რიცხვი
1944 — 1945	1509	84
1947 — 1948	2014	113
1948 წ. %%-ით 1944 წ. მიმართ.	133,4	134,5

მოსწავლეთა რიცხვის ზრდასთან ერთად ყურადღებას იქცევს მათი აბსოლუტური რიცხვი. თუ აქ მოცემულ მოსწავლეთა რიცხვს დავუმატებთ სახელოსნო სასწ. 300-მდე მოსწავლეს, საბავშვო სახლების 775 ბავშვს და საბავშვო ბაღების 100 ბავშვს, მაშინ ამ დაწესებულებებში თავმოყრილი ახალგაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდობის რაოდენობა 3.200 მიაღწევს, რაც მთელი მოსახლეობის მესამედს შეადგენს.

ყველაფერი ეს ნათლად მიგვითითებს განათლების დარგში მოპოვებულ მიღწევებზე.


ქლუხორის რაიონის
ეროვნული-ადმინისტრაციული, ადმინისტრაციული
და სასოფლო-ეკონომიური ერთეულების
ფარული
ბალაბანი
ბალ. ბალაბანი
ბალ. ბალ. ბალ.
ბალ. ბალ. ბალ.
ბალ. ბალ. ბალ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსული საშუალო სკოლა,საბელოსნო სასწავლებელი, ოთხი საბავშვო სახლი, ორი საბავშვო ბაღი, პიონერთა სახლი, კულტურის სახლი, საქალაქო ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ორგანიზაციის პერიოდშია) და სხვ.

რაიონის საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების საქმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქლუხორის სახელოსნო სასწავლებელს, რომელიც სხვადასხვა სპეციალობის კვალიფიციურ კადრებს ამზადებს. სახელოსნო სასწავლებელში მოწყობილია სახელოსნოები (სარემონტო, ხელსაწყოების, სადურგლო და სახარატო), რომლებშიც მოსწავლე ახალგაზრდობა საქირო ცოდნასა და ჩვევებს იძენს ისეთი პროფესიებისათვის, როგორიც არის: ზეინკალი, ხარატი, დურგალი, თუჯის ჩამოსხმელი, ნ3ელი — ესოდენ საქირონი ჩვენი საბალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. ამჟამად სახელოსნო სასწავლებელი ფართოვდება და ორგანიზაციის პროცესშია სამეედლო, ჩამოსხმელი და თერმიკული საამქროები. სახელოსნო სასწავლებელი სრული ფაბრიკა-ქარხანა მუშაობის პირობებში ასეულ ახალგაზრდას (13—18 წ. წ. ასაკის) მოამზადებს წლის განმავლობაში. აქ მომზადებული კადრები იმუშავებენ არა მარტო ქლუხორის რაიონში, არამედ რესპუბლიკის სხვა კუთხეებშიც.

რაიონის ცენტრალურ ერთად საკმაო მრავალრიცხოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი მოქმედებენ აგრეთვე სოფლად.

6. სახალხო ჯანმრთელობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე შესასწავლად აღებულ მხარეში, ისევე, როგორც რუსეთის ყოფ. იმპერიის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში, ფართოდ დაყენებული სამედიცინო მომსახურების ნაცვლად გავრცელებული იყო ექიმმაბრობა და ცრუმორწმუნეობა, რასაც ხელს უწყობდნენ აქ ბლომად მოქმედი მეჩეთები და მათი მრავალრიცხოვანი მსახურნი,

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უაღრესად დიდი ყურადღება ექცეოა სახალხო ჯანმრთელობის დაცვას; ეწყობა ფართო სამედიცინო ქსელი, რომელიც უზრუნველყოფილია საქირო კადრებით, მოწყობილობითა და წამლეულობით.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მსგავსად, გერმანელ ფაშისტთა მიერ ოკუპაციის გამო რაიონში თითქმის სრულად განადგურდა სამედიცინო ქსელი.

დღიდან ქლუხორის რაიონის საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გადმოცემისა, ჯანმრთელობის ორგანოებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს დანგრეულ სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის აღსადგენად, მის მოსაწყობად, კადრებით უზრუნველსაყოფად, საავადმყოფოსი და საბავშვო ბაგების საკვებითა და სათბობით მოსამარაგებლად, ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაში მოსაყვანად და ა. შ.

აღნიშნული ნათლად არის ასახული იმ ზრდად ფულად დანახარჯებში, რომელიც 8,7 მილ. მან. აღემატება 1944—1948 წწ. (მათ შორის 1948—2,3 მილ. მან.). განხორციელებული მუშაობის შედეგად ამჟამად, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის ცენტრი, ისე სასოფლო პუნქტები უზრუნველყოფილნი არიან საკმაოდ მრავალრიცხოვანი საექიმო-პროფილაქტიკური დაწესებულებებით და მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელნიც მომსახურებას უწევენ არა მარტო ქლუხორის რაიონის მშრომელთ, არამედ, რიგ შემთხვევაში, სტავროპოლის მხარის ახლოველი სოფლების მოსახლეობასაც.

1948 წ. ზაფხულში ქ. ქლუხორში მოქმედებდა ქალაქის საავადმყოფო 90 საწოლით (თერაპიული, ქირურგიული, საშობიარო-გინეკოლოგიური და ვენერიული განყოფილებებით), პოლიკლინიკა (თერაპიული, ქირურგიული, საბავშვო, კბილის, ყურის, თვალის, ფიზიო-თერაპიული, რენტგენისა და გინეკოლოგიური კაბინეტებით), ვენერიული დისპანსერი, ტუბერკულოზის დისპანსერი, სამალარიო პუნქტი, სანიტარულ-პაქტერიოლოგიური ლაბორატორია, სასწრაფო დახმარების პუნქტი და სხვ.

სამედიცინო ქსელით საკმაოდ ჰრიან უზრუნველყოფილნი აგრეთვე დანარჩენი დასახლებული პუნქტები.

გარდა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლებისა, კურორტ თებერდაში მუშაობს: საკალაქო აბზულატორია (კბილის კაბინეტით), ვენერიული პუნქტი და ტუბერკულოზის პუნქტი.

რაიონში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებანი დაკომპლექტებულია კვალიფიციური სამედიცინო კადრებით (რაიონში მუშაობს ოცდაათამდე ექიმი და სამოკამდე სამუალო სამედიცინო პერსონალი), უზრუნველყოფილია საჭირო სამედიცინო ინსტრუმენტებით, აპარატურით და სხვა მოწყობილობით. ქალაქის საავადმყოფოსთან მოწყობილი ფამბმარე მეურნეობა საავადმყოფოს ამარაგებს რძით, ბოსტნეულით და სხვა პროდუქტებით.

რაიონში მომუშავე სამედიცინო პერსონალი გაერთიანებულია სამედიცინო საზოგადოებაში, რომელიც სასარგებლო მუშაობას ეწევა თავის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ექიმობის ახალი მეთოდების დანერგვის საქმეში.

სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საჭიროა: ადგილობრივი სამედიცინო კადრების აღზრდა, ეპიდემიური სადგურის მოწყობა ქლუხორში[1], ხე-ტყის დაბზადების მუშა-მოსამსახურეთათვის სოფ. მთისძირში საფერშლო პუნქტის გახსნა, ბავშვთა ბაგის გახსნა კურორტ თებერდაში, სტომატოლოგიური კაბინეტის მოწყობა მადნისხეევის სამედიცინო უბანთან და სხვ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქლუხორის რაიონის სამედიცინო დაწესებულებანი მომსახურებას უწევენ აგრეთვე მრავალრიცხოვან ტურისტებს, ალპინისტებს, დამსვენებლებს და დროებით აქ მყოფ სხვა პირებს.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან ერთად რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დავრდომილთა, წოთელ ომიელთა ოჯახებისა და პენსიონერთათვის დახმარებას (1944 — 1948 წ. წ. გაცემული თანხა 6,4 მილ. მანეთს აღემატება).

---

1 ამჟამად უკვე გახსნილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დასახლებული ადგილების დახასიათება

ქლუხორი საკმაოდ კეთილმოწყობილი ქალაქია. პირდაპირ და განიერ ქუჩებში გაშენებული სახლების უმრავლესობა ქვიტკირისაა, უმეტესად ორსართულიანი, კრამიტით ან თუნუქით გადახურული.



ნახ. 7. ქლუხორი. რაიონის ადმინისტრაციული სახლი

კურორტ თებერდაში ქვიტკირის შენობები მცირედ გვხვდება. თებერდაში უმეტესად მსუბუქი, ზოგჯერ ერთსართულიანი თეთრად შელესილი ფიცრული შენობებია, გარდა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლებისა, რომლებიც უმთავრესად ორსართულიანი, კეთილმოწყობილი, თეთრად შელესილი ქვიტკირის შენობებია.

რაც შეეხება რაიონის სოფლებს, ისინი, როგორც ითქვა, ხეობებში მდებარეობენ და მდინარეთა ნაპირებზე არიან გაშენებულნი (უმთავრესად ყუბანისა და თებერდის).

სოფლები, როგორც წესი, მთის ძირში მდებარეობენ, ვიწრო ზოლად გასდევენ მდინარეებს და უმთავრესად ერთსართულიანი თეთრად შელესილი შენობებისაგან შედგებიან.

ქ. ქლუხორის მახლობლად გაშენებულ სოფლებში (ახალშენი, ბარი, შუქურა, შერთული) საცხოვრებელი სახლების საკმაო ნაწილი წნელის კედლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მქონეა, ყავარ ან თუნუქგადახურული სახურავებით, ხოლო მადნისხევის, ზედაკის, ზზისას და სხვა სოფლების სახლები უმეტესად ფიცრულია და ზოგჯერ-ვეებერთელა, საკმაოდ გრძელი და სქელი მრგვალი ხის ნაშენობას წარმოადგენენ; ამავე მრგვალი ხეებისაგან არის აგებული ამ სოფლებში ძველი სამეურნეო შენობები (ბოსლები, საწყობები და სხვა).

წნელის კედლების გამძლეობა 20 — 25 წელიწადს უდრის, ხოლო მრგვალი ხეებით აგებული შენობების — ნახევარ საუკუნეს. როგორც წესი, სოფლად აგებული სახლები დაბალია, ვიწრო კარ-ფანჯრიანი, აივნები იშვიათია. სამეურნეო შენობების საკმაო ნაწილი ბანიანია.

სახლებს ჩვეულებრივად საკმაოდ მოზრდილი ეზოები აქვს, ხშირად ხეხილითა და ბოსტნეულით სავსე. სწორი ქუჩები იშვიათია, შენობები უგეგმოდაა აგებული. სახლები ერთმანეთისაგან აქ უფრო დაშორებულია, ვიდრე ქართლის სოფლებში, მაგრამ უფრო ახლო დგანან ერთიერთმანეთთან, ვიდრე გურიასამეგრელოსა და იმერეთში.

საცხოვრებელი შენობები ჩვეულებრივად მდინარის ნაპირიდან იწყება და მახლობელ მთის ძირს სწვდება.

სოფლის მოსახლეობის კულტურულ - სამედიცინო და კომუნალურ მომსახურებას (სკოლები, სამკითხველოები, მედპერსონალი, ელექტროსადგურები და სხვა) განსაკუთრებული ყურადღება აქვს მოქცეული და სოფლების უმეტესობა უზრუნველყოფილია სათანადო დაწესებულებებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941.
2. „განთიადი“ (გაზ.) 1946—1948 წლების ნომრები.
3. კოლმეურნენი აშენებენ კლუბსა და აბანოს (ქლუბორის რ-ნი). „კომუნისტი“. 1947, № 57.
4. ალ. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი და რ. ქ ო რ ქ ი ა. ქლუბორი. თბილისი, 1945.
5. ალ. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი. ქლუბორის ქუჩების გუდრონირება. „კომუნისტი“, 1947, № 211.
6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები (ადგილობრივ საექსპედიციო წესით მოპოვებული ცნობები).
7. ქლუბორი. „კომუნისტი“, 1947, № 159.
8. У. А л и е в. Карачай. Ростов на Дону, 1927.
9. Н. Б е л о у с о в. В Клухори. „Заря Востока“, 1947, № 99.
10. А. Я. Б о я р с к и й. Курс демографической статистики. Москва, 1947.
11. БСЭ, том 31. М., 1937, стр. 470 — 479.
12. БСЭ, том 33. М., 1940, стр. 153.
13. Дьячков-Тарасов. В горах Большого и Малого Карачая. 1900 г.

14. Первая экскурсия преподавателей средних учебных заведений Кавкасского Округа в Большой и Малый Карачай летом 1908 г. Тифлис, 1909.
15. Памятники нашим героям и жертвам фашистскик оккупантов (Клухори). „Заря Востока“, 1947, № 93.
16. Советский Карачай. 1920—1940 г. г. Микоян- Шахар, 1940.
17. В. М. Сысоев. Карачай в географическом, бытовом и историческом отношении, 1913.
18. Г. Ф. Чурсин. Поездка в Карачай. Тифлис, 1915.
19. Энциклопедический словарь Гранага, том XXIII, стр. 477.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. შარაშიძე

ქლუხორის რაიონის მრეწველობის განლაგება

ქლუხორის რაიონის ბუნებრივი სიმდიდრეები საუკეთესო პირობებს ქმნიან მრეწველობის რიგი დარგების განვითარებისათვის. ასეთებს მიეკუთვნებიან: წიაღისეული სიმდიდრე, რომლის ბაზაზე შეიძლება ორგანიზებულ იქნეს სამთო-მოპოებითი მრეწველობის საწარმოები, ტყის დიდი ფართობები, რომლებიც საშუალებას იძლევა განვითარებულ იქნეს ხე-ტყის დამუშავებისა და სატყეო-ქიმიური მრეწველობის დარგები, მინერალური წყლები და საუკეთესო საძოვრების სიუხვე, რომლის ბაზაზე მოწყობილი მეცხოველეობა უხვად მოამარაგებს კვებისა და მსუბუქ მრეწველობას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, სახელდობრ: რძით, მატყლით, ტყავით და სხვ.

იბადება კითხვა: როგორ იყო გამოყენებული წარსულში აღნიშნული სიმდიდრეები?

მეფის ხელისუფლების დროს ამ მხარის მრეწველობა ძალიან ჩამორჩენილი იყო. იმ დროს ერთ-ერთი შედარებით მძლავრი წარმოება იყო ხუდესის ტყვია-ვერცხლის მოპოება-დამუშავება, რომელიც ეკუთვნოდა „იალბუზის“ სააქციო საზოგადოებას. მაღაროები განლაგებული იყო სოფელ მთისძირიდან 8 კმ მანძილზე. მოპოებული მადნის გადამუშავება ხდებოდა სოფელ მაღაროში (მდ. ყუბანის მარჯვენა მხარეზე), მდ. ხუდესის შესართავის ახლოს.

აღნიშნული წარმოების განვითარებას ძალიან აფერხებდა გზების უქონლობა და მასთან დაკავშირებით მადნის გადაზიდვის სიძნელე. სააქციო საზოგადოების მიერ დაწყებული გზატკეცილის გაყვანა, დიდი ხარჯების გამო, ბოლომდე არ იყო მიყვანილი. ამავე დროს, სადგურ ნევინომისკაიადან მდ. თებერდის ხეობაში რკინიგზის გაყვანის იმედიც არ გამართლდა, რის გამოც სააქციო საზოგადოებამ შეწყვიტა მადნის მოპობა-გადამუშავება და შეაჩერა ქარხნის მუშაობა [1].

ხე-ტყის გადამუშავება წარმოებდა მხოლოდ ერთ სახერხ ქარხანაში, კურორტ თებერდის რაიონში [2]. სოფელ თებერდის მიდამოებში, გარდა ამისა, იყო სკიპიდარ-ფისის სახდელი ორი ქარხანა [3].

---

[1] Д. М. Сысоев. Карачай в географическом, бытовом и историческом отношении. Тифлис, 1913.

А. Н. Дьячков-Тарасов. В горах Большого и Малого Карачая. Тифлис, 1900.

А. Н. Реквиашвили. Записка по полиметаллическому месторождению.

Советский Карачай 1920 — 1940. Микоян-Шахар, 1940, ст. 16 — 17.

А. Н. Дьячков-Тарасов. В горах Большого и Малого Карачая.

Г. Ф. Чурсин. Поездка в Карачай. Тифлис, 1915, ст. 9.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვების მრეწველობის საწარმოები არ არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წალის წისქვილებს.

ხელოსნური მრეწველობა წარმოდგენილი იყო რიგი წვრილი საწარმოების სახით, რომლებიც უშვებდნენ მატყლის სხვადასხვა ნაწარმს (ნაბდებს, ქეჩის ქუდებს, ყაბალახებს და სხვა). ამ წარმოებებში ძირითადად ჩაბმული იყვნენ შინ მომუშავე ქალები[1].

გარდა ამისა მოქმედებდნენ: ვერცხლის ნაკეთობათა და ფეხსაცმლის შეკეთების სახელოსნოები და წვრილი სამჭედლოები[2].

კუსტარული ტიპის აღნიშნულმა საწარმოებმა 1917—1920 წლების მანძილზე შეწყვეტეს მუშაობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის ქლუხორის რაიონში მრეწველობა თითქმის არ არსებობდა და მისი ხვედრითი წონა რაიონის მეურნეობაში უმნიშვნელო იყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით სტალინური ხუთწლედების მანძილზე, ამ კუთხის მრეწველობა სწრაფად განვითარდა და 1940 წლის დამდეგისათვის რაიონის ტერიტორიაზე უკვე სამრეწველო საწარმოთა საკმაოდ დიდი რაოდენობა არსებობდა.

რაიონის ფარგლებში ამუშავდა ელექტროსადგურები, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კი არც ერთი ელექტროსადგური არ იყო; დაიწყო ქვანახშირის საძრწველო მოპოება, რომელსაც წინათ მხოლოდ დამხმარე წარმოების ხასიათი ჰქონდა; განვითარდა სამშენებლო მასალების დამუშავება (ბარმარილო, გრანიტი, ქვა და სხვ.); ეწესლოატაციაში შევიდა ხე-ტყის ორი ქარხანა — თებერდისა და ყუბანის (ხუდესისა). სამრეწველო კომბინატებში გაერთიანებული იყო მსუბუქი და კვების მრეწველობის რიგი წარმოებები.

კუსტარულ-ხელოსნურ მრეწველობაში მუშაობდნენ მარტოხელა ხელოსნები, ძირითადად დაქირავებული შრომის გამოუყენებლად. ამ წარმოებებს შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა კვების დარგების საწარმოებს, მას მისდევდნენ ლითონის დამმუშავებელი საწარმოები, ტყავის, ბეწვეულის, ხის და სხვა[3].

სარეწაო კოოპერაცია რაიონში 1930 წელს დაარსდა. მასში გაერთიანებული საწარმოების რაოდენობა და მუშების რიცხვი უმნიშვნელო იყო[4].

დიდი სამამულო ომის წლებში ქლუხორის რაიონი დროებით გერმანელი ფაშისტების მიერ იქნა ოკუპირებული, რის შედეგადაც რაიონის ყველა სამრეწველო საწარმო განადგურებული აღმოჩნდა, მათი მოწყობილობა კი გაძარცული.

---

[1] Чурсин, там же, ст. 19.

[2] Д. М. Сысоев. Карачай в географическом, бытовом и историческом отношении. Тифлис, 1913. ст. 118—136.

[3] У. Алиев. Карачай, стр. 221—226.

[4] Там же, ст. 226.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქლუხორის რაიონის მრეწველობის აღორძინება 1944 წლიდან იწყება, როდესაც დაიწყო ოკუპაციის დროს დანგრეული სამრეწველო საწარმოების აღდგენა.

ამ აღორძინებას, სხვა ფაქტორებს შორის, ხელს უწყობდა რაიონის ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსების ხელსაყრელი განლაგება (იხ. ნახ. 4 გვ. 41).

მრეწველობის ისეთი დარგების განვითარება, როგორიც არის ქვანახშირის მოპოება, ელექტროენერგიის გამომუშავება და ხე-ტყის დამზადება, ამავე დროს ჰქმნის ენერგეტიკულ ბაზას მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის.

1945 წელს რაიონში 17 სამრეწველო საწარმო იყო, სადაც 84 კაცი მუშაობდა. აღნიშნულმა საწარმოებმა 454,5 ათას მან. ღირებულების (უცვლელი ფასებით) საერთო პროდუქცია გამოუშვეს, რაც გასაშვებ ფასებში 2696,8 ათას მან. უდრიდა.

1945 წელთან შედარებით, 1947 წელს მუშების რიცხვი 100%-ით გაიზარდა, საერთო პროდუქცია — 105,6% და სასაქონლო პროდუქცია — 154,8%-ით.



ნახ. 1. ადგილობრივი მრეწველობის განვითარება
(%%-ით 1944 წლის მიმართ)

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქლუხორის რაიონის მრეწველობის დინამიკა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	მრეწველობის დარგები	1946 წელი				1947 წ.			
		საწარმოთა რიცხვი	მუშების რიცხვი	საერთო პროდუქციის ღირებულება ფასებში	საპატრონო პროდუქტი (ფასთა ფასებში)	საწარმოთა რიცხვი	მუშების რიცხვი	საერთო პროდუქცია (ფასთა ფასებში)	საპატრონო პროდუქტი
1	ელექტროსადგურები . .	5	24	73,3	446,2	6	24	93,0	521,6
2	ქვანახშირის მოპოვება .	—	—	—	—	1	24	32,3	456,0
3	ლიმონის დამუშავება .	1	6	41,8	99,0	1	12	42,3	190,8
4	ხე-ტყის დამზადება და ხის დამუშავება 1 .	3	11	72,1	236,3	3	18	56,5	244,0
5	სატრიკოტაჟო წარმოება	1	21	286,3	963,9	1	31	399,4	1226,1
6	სამკერვალო წარმოება .	1	8	41,4	84,5	1	10	55,0	283,6
7	ტყავ ფეხსაცმელის წარმოება	2	9	16,2	91,0	2	11	20,5	145,2
8	სამთელავო	1	15	46,1	227,3	1	16	51,2	364,1
9	კვების	1	3	16,0	119,1	1	2	26,1	169,6
10	პურის ცხობა	2	11	128,7	1461,7	2	12	119,1	3036,2
11	სტამბა	1	6	20,9	193,9	1	5	25,1	180,9
12	დანარჩენები	1	6	0,5	11,6	2	3	13,8	50,2
	სულ . . .	19	120	743,3	3934,5	22	168	934,3	6868,3
	მ. შ. რაიმრეწკომბინატი	11	79	520,3	1832,7	13	127	697,1	3129,6

1947 წ. ყველაზე დიდი ხვედრითი წონა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს ჰქონდა (57,6%), მას მისდევდნენ კვების საწარმოები (15,6%), ელექტროენერგიის (9,9%), ხე-ტყის დამუშავების (6,0%) და ა. შ. (იხ. ნახ. 2).

საწარმოთა უდიდესი ნაწილი განლაგებული იყო ქალაქ ქლუხორში; მისი ტერიტორიის გარეთ 1947 წელს მოწყობილი იყო მხოლოდ კურორტ თებერდის პურის საცხობი, სოფელ თებერდის კირის წარმოება და ელექტროსადგურები: კურორტ თებერდის, სოფელ თებერდისა და სოფელ მადნისხევისა.

1947 წ. ქ. ქლუხორში განლაგებულ საწარმოთა საერთო პროდუქცია თავისი ხვედრითი წონით, მთელი რაიონის პროდუქციის მიმართ, 94,0% შეადგენდა, კურორტ თებერდისა — 4,4%, სოფელ თებერდის — 1,0%, სოფელ მადნისხევის კი — 0,6% (იხ. ნახ. 3).

ამგვარად, ქ. ქლუხორი მთელი რაიონის არამცთუ მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ სამრეწველო ცენტრსაც წარმოადგენს.

1948 წ. სამრეწველო საწარმოთა განლაგების სურათი ცოტა იცვლება: ქ. ქლუხორში ექსპლოატაციაში შევიდა რაიონის სატყეო მეურნეობის ხე-ტყის

1 აღებულია მხოლოდ რაიმრეწკომბინატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამუშავების ახალი საწარმოები, ეწყობა სახერხი ქარხნები (სოფ. ახალშენთან* და სოფ. თებერდაში), მრავლდება საშენ მასალათა საწარმოები (შენდება ავურ-კრამიტის ქარხანა ქ. ქლუბორიდან 13 კმ დაშორებით), ეწყობა სახელოსნო სასწავლებლის მიერ საკუთარი მშენებლობისათვის ქვის დამუშავება და კურორტ თებერდაზე ექსპლოატაციაში შედის 3 ელექტროსადგური.





ნახ. 2. მრეწველობის სტრუქტურა (%%-ით)

როგორც ვხედავთ, მრეწველობის განვითარება ხე-ტყის და საშენი მასალის დამუშავების წარმოების გაძლიერების გზით მიმდინარეობს.

ამჟამად ქლუბორის მდინარეების ენერგიის გამოყენების დონე თუმცა ჯერ კიდევ მცირეა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც რაიონი თითქმის მთლიანად ელექტროფიცირებულია და ამავე დროს გამომუშავებული ელექტროენერგიის საგრძნობი ნაწილით, მეზობელ სტავროპოლის მხარესაც ამარაგებს (40 — 44% ქლუბორჰესის მთელი სასარგებლო ენერგიისა).

რაიონის შემდგომი ელექტროფიკაციის მიზნით, სოფელ მზისას კოლმეურნეობა მდ. თებერდის მარჯვენა ნაპირზე 30 კვტ. სიმძლავრის ახალ ჰიდროელექტროსადგურს აშენებენ. დასმულია აგრეთვე საკითხი კურორტ თებერდისათვის ერთი საერთო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ (მდ. ჯემაგათის ხეობაში), რომლის პირველი რიგის სიმძლავრე 500 კვტ. იქნება.

რაოდენად გაიზრდება რაიონის ელექტროფიკაცია ამ სადგურების ამუშავების შემდეგ, ამის საუკეთესო სურათს გვაძლევს შედარება იმ სიმძლავრისა, რომელიც უნდა ექნეს ახალ სადგურებს (530 კვტ.), 1947 წელს რაიონში მოქმედი სადგურების სიმძლავრესთან (544 — 566 კვტ).

1948 წ. პირველ ნახევარში სულ რაიონში მოქმედებდა 9 ელექტროსადგური; მათ შორის 5 ჰიდროელექტროსადგური იყო. ამ უკანასკნელების მიერ გამომუშავებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთელ რაიონში გამომუშავებული ელექტროენერგიის 95,4% შეადგენდა. ელექტროსადგურების განლაგება შემდეგ სურათს იძლევა: ქ. ქლუბორში — 1, კურორტ თებერდაში — 6, სოფ.

1 ამჟამად უკვე ამუშავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერდაში — 1 და სოფ. მადნისხევში — 1. რაიონის თითქმის ყველა ძირითადი დასახლებული პუნქტი განათებულია; გარდა ამისა, ამ ენერგიით სარგებლობს მრეწველობა და აგრეთვე სოფლის მეურნეობა (ელექტროლეწვა).



ნახ. 3. მრეწველობის განლაგება (საერთო პროდუქცია %%-ით)

მოპოვებითი მრეწველობის დარგში რაიონში 2 საწარმო მუშაობს (ოქროსი და ქვანახშირისა). ოქროს მოპოვება ხდება მდ. ყუბანის შენაკადებზე (გილიაჩზე, ჩუჩკურზე, ხუდესზე და ელმესზე). მისი მოპოვება წარმოების მძებნელების საშუალებით; ახლო მომავალში გათვალისწინებულია ოქროს მოპოვების მექანიზაცია.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, რაიონი მდიდარია ქვანახშირით. გარდა იმ საბადოებისა, რომლებსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, რაიონის ბევრ ადგილში ქვანახშირის ფენები მიწის ზედაპირთან იმდენად ახლოსაა, რომ მისი მოპოვება კუსტარული წესით ხდება (თვით მოსახლეობის მიერ, ხელით). ასეთი წესით მოპოვებული ნახშირი მიდის არა მარტო მოსახლეობის ბინების გასათბობად, არამედ ზოგჯერ სამრეწველო დანიშნულებისათვისაც (სამჭედლოებში და სხვა).

1948 წლიდან სამრეწველო ხასიათის დამუშავება ხდება მხოლოდ „ქლუხორნახშირის“ ერთ შახტში. შახტი მდებარეობს ქ. ქლუხორიდან 3 კმ მანძილზე, სოფ. ხიდისკარში (მდ. თებერდის ხეობაში). შახტის ექსპლოატაციას აწარმოებს „რაიმრეწკომბინატი“, საკუთარი წარმოების საჭიროებისათვის. 1948 წ. გეგმით გათვალისწინებულია 6000 ტონა ნახშირის ამოღება, რაც სრულიად დაფარავს მთელი რაიონულ მოთხოვნილებას ქვანახშირზე. ქვანახშირი რაიონს ნაწილობრივ სტაროპოლის მხარიდან შემოაქვს ქლუხორჰესის მიერ გადაცემული ელექტროენერგიის სანაცვლოდ.

მრეწველობის სათანადო დარგების განვითარებისათვის მდიდარ რესურსად რაიონის ტყეები უნდა ჩათვალოს. ტყით დაფარულია რაიონის ტერიტორიის 29,5%. ამ ფართობიდან 20,8%, ანუ რაიონის მთელი ფართობის 6,1% სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაში შედის, რის გამოც ამ ტყეების სამრეწველო ექსპლოატაცია შეზღუდულია. მაგრამ, რადგან ტყეების მდიდარი მასივები სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიის გარეთაცაა, სახელდობრ მდ. ყუბანისა და მისი შენაკადების ხეობაში (მდ. ჯინგრიეის ხეობაში და სხვა), საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანი მერქნის დამზადება შეიძლება ფართო მასშტაბით, არა მარტო მშენებლობისათვის, არამედ მისი გადამუშავების მიზნითაც (ავეჯისა და სხვა ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლად).

1948 წელს სამშენებლო და სამრეწველო დანიშნულების ხე-ტყის დამზადებას აწარმოებდნენ ქლუხორის რაიონის სატყეო მეურნეობა, თბილისის საბჭოს (ქ. თბილისის საბინაო მშენებლობისათვის) და ქლუხორის რაიმრეწკომბინატი (საკუთარი საპიროებისათვის გადასამუშავებლად). მცირე რაოდენობით ხე-ტყის მ. სალა მზადდება აგრეთვე თებერდის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე.



ნახ. 4. წიაღისეულ სიმდიდრეთა და მრეწველობის განლაგების სქემა 1948 წ.

პირობითი ნიშნების ახსნა: 1—ქვანახშირი, 2—ბარიტი, 3—გრანიტი, 4—საამშენებლო ქვიშნარი, 5—მარმარილო, 6—ასბესტი, 7—ყვარციტი, 8—გრაფიტი, 9—პოლიმეტალები, 10—სპილენძი, 11—ნიკელი, 12—ქრომი, 13—რკინა, 14—მიშიაკი, 15—მინერალური წყლები, 16—ელსადგურები, 17—ქლუხორანახშირი, 18—საშენ მასალა, 19—პურის ცხობა, 20—ხის დამუშავება, 21—რაიმრეწკომბინატი.

ის გარემოება, რომ რაიონში ბლომად მოიპოება ქვანახშირი და ჰიდროენერგია, საშუალებას აძლევს რაიონს მინიმუმამდე შეამციროს ტყეების გამოყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება სათბობის სახით და ამ სახის სათბობის მოთხოვნილება მხოლოდ საქმიანი მერქნის დამზადების დროს დარჩენილი ნარჩენებით დაკმაყოფილოს.

რაიმრეწკომბინატის ხე-ტყის დამზადება მიმდინარეობს მდ. ჯინგირიკის ხეობაში (6 — 10 კმ მანძილზე ქ. ქლუხორიდან), სადაც მზადდება წიფლის ხის მერქანი, და მდ. მუხუს ხეობაში, სადაც მზადდება წიწვიანი მერქანი (ფიჭვი). დამზადებული მერქანი მიდის კომბინატის სახერხ ქარხანაში, საიდანაც უკვე დახერხილი მასალის სახით გადაეცემა ხე-ტყის დამუშავებელ საამქროს.

აღნიშნული ორი საამქრო განლაგებულია მდ. ყუბანის ნაპირზე (ქ. ქლუხორის საკოლმეურნეო საბაზრო მოედნის ტერიტორიაზე). ეს წარმოება ქლუხორჰესის ელექტროენერგიით მუშაობს. ამ საქმის ფართო მასშტაბით განვითარებას აფერხებდა ხე-ტყის დამზადების ჩამორჩენა.

რაიმრეწკომბინატის ხე-ტყის დასამუშავებელი საამქროს მიზანია დაამზადოს აივეჯი და სხვა ფართო მოხმარების საგნები. სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას (სათანადო ინვენტარზე) სადღეისოდ აკმაყოფილებს მეორე, ახლად დაარსებული საწარმო (ქლუხორის სატყეო მეურნეობის საუტილიზაციო საამქრო), რომელიც ამზადებს ყავარს, ტკეცს, ურმის კომპლექტებს, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სახელურებს და სხვა.

იმ ხე-ტყის დასახერხად, რომელიც მზადდება თბილისის საბჭოს მიერ (თბილისის სანინო მშენებლობისათვის), შენდება ქარხანა, ქ. ქლუხორიდან 3 კმ მანძილზე (სოფ. მადნისხევის გზაზე). ეს ადგილი მშენებლობისათვის .იმ მოსაზრებით არის ამორჩეული, რომ აქ თავს მოიყრის ხე-ტყე, რომელიც მზადდება სოფ. მთისძირის რაიონში და რომლის დაცურებისათვის რაიონი უკვე ემზადება. ამჟამად დამზადებული წიწვიანი ჯიშების ხე-ტყის გამოზიდვა მანქანებით წარმოებს. სახერხი ქარხანა ნაწილობრივ[1] ექსპლოატაციაშია შესული იგი ქლუხორჰესის ელექტროენერგიით მუშაობს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ხე-ტყის დასამუშავებელი საწარმოებისა, რაიონში მოქმედ ბს აგრეთვე ხე ტყის სახერხი ერთი საკოლმეურნეო საწარმო სოფ. თებერდაში და ორი საწარმო კურორტ თებერდაში; ეს უკანასკნელი საკურორტო მშენებლობის მოთხოვნილებას ემსახურება. ეს ხე-ტყის სახერხი საწარმოები 1948 წელს ამოშავდა.

საშენი მასალების წარმოება 1948 წ. წარმოდგენილი იყო სახელმწიფო მრეწველობის სამი საწარმოთი და ერთი საკოლმეურნეო საწარმოთი. მათ შორის იყო: ერთი აგურ-კრამიტის ქარხანა, ორი კირისა და 1 ქვის დამმუშავებელი საწარმო. აგურის ქარხნის მშენებლობა, როგორც იყო ნათქვამი, მიმდინარეობს კურორტ თებერდის გზაზე (ქალ. ქლუხორიდან 13 კმ მანძილზე). ქარხანა წლიურად 300 ათას ცალ აგურსა და 150 ათას ცალ კრამიტს გამოუშვებს.

1948 წ. ქარხანა ნაწილობრივ ამოშავდა; დამუშავებული აგურის დიდი ნაწილი სასოფლო მშენებლობას მოხმარდება, ხოლო ნაწილი ქ. ქლუხორის საჭიროებას.

---

[1] უკვე აშენებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირის წარმოება მოწყობილია სოფ. თებერდაში რაიმრეწკომბინატსა და სოფ. თებერდის კოლმეურნეობის მიერ. წარმოებას სეზონური ხასიათი აქვს და იმ მოთხოვნილების მიხედვით ვითარდება, რომელიც გათვალისწინებულია მიმდინარე მშენებლობის გეგმით.

ლითონის დამუშავება და ავტომანქანების შეკეთება რაიმრეწკომბინატის ავტოსარემონტო სახელოსნოში წარმოებს. აღნიშნული სახელოსნო ფართო მოხმარების სხვადასხვა ლითონის ნაწარმს უშვებს; ნედლეულს ეს სახელოსნო თბილისიდან ღებულობს.

მოსახლეობისათვის საჭირო ინდივიდუალური მოხმარების საგნებს რაიმრეწკომბინატის ექვსი საამქრო უშვებს: სატრიკოტაჟო, სამკერვალო, ტყავის, ფეხსაცმლის, სამთელავო და სამეთუნეო. ყველა ეს საწარმო ქ. ქლუხორშია განლაგებული. ამჟამად ყველა ჩამოთვლილი საწარმო, სამეთუნეოს გარდა, ნედლეულს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ღებულობს.

მეცხოველეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, ადგილობრივ ნედლეულზე გადავლენ ტყავ-ფეხსაცმლისა და სამთელავო საწარმოები.

კვების მრეწველობის დარგში რაიონში მუშაობს პურის 2 საცხობი (ქ. ქლუხორსა და კურორტ თებერდაში) და თითო ლიმონადისა და ლუდის ქარხანა.

საკოლმეურნეო საწარმოების სახით მუშაობს კარაქ-ყველის 2 ქარხანა — ერთი მდ. მუხუს ხეობაში (სოფ. თებერდიდან 20 კმ მანძილზე) და მეორე მდ. ინდოშის ხეობაში (სოფ. ახალშენიდან 32 კმ დაშორებით).

ჩამოთვლილი საწარმოების გარდა, ქ. ქლუხორში არის ქლუხორის რაისაბჭოს სტამბა, რომელშიც იბეჭდება რაიონული გაზეთი „განთიადი“ (1300 ცალის ტირაჟით) და სხვადასხვა მასალა.

კოოპერაციული მრეწველობის ხაზით რაიონში ერთი არტელი მუშაობს. 1947 წ. არტელს ჰქონდა ექვსი საწარმო (სამკერვალო, სატრიკოტაჟო, ფეხსაცმელის, ლითონის, სამთელაო და კვების), სადაც 49 მუშა იყო ჩაბმული. არტელმა 2.056,2 ათ. მან. პროდუქცია გამოუშვა გასაშვები ფასებით).

ინვალიდთა კოოპერაციას რაიონში თავისი სამრეწველო საწარმოები არა აქვს, მეიდეელობაში თუ არ მივიღებთ მცირე ზომის საზეინკლო და ფეხსაცმლის შემკეთებელ სახელოსნოებს.

ინდივიდუალური შინამრეწველობა და ხელოსნობა რაიონში სუსტადაა განვითარებული და მათი ხვედრითი წონა რაიონის მეურნეობაში სრულიად უმნიშვნელოა.

რაიონის სოფლებში განლაგებული სამეჯდელობის, წისქვილებისა და სხვა წვრილი სახელოსნოების რიცხვი 40-ს უაბლოვდება.

სამეჯდელო სახელოსნოებში აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთებას, სადურგლო სახელოსნოებში — ურმებისა და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფ. მზისას სამეცდლოში აკეთებენ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანის ნაწილებს. როგორც სამეცდლოები, ისე სახელოსნოები კოლმეურნეობებს ეკუთვნის, გარდა ერთი სამეცდლოსი, რომელიც საბავშვო სახლების დამზმარე მეურნეობის განკარგულებაშია. საკოლმეურნეო საწარმოებში მუშაობს ერთი ან ორი კაცი. წისქვილები წყლის ენერგიით მუშაობს, გარდა სოფ. ახალშენის ერთი ელექტროწისქვილისა.

ასეთია ქლუხორის რაიონის მრეწველობის თანადროული მდგომარეობა. რაიონის სამრეწველო საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებების მუშაობასთან.

ქლუხორის რაიონის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წონა მთელი საქართველოს სსრ სამრეწველო პროდუქციაში ჯერჯერობით უმნიშვნელოა.

რაიონის დღევანდელ სამრეწველო საწარმოებს მხოლოდ 3 — 4 წლის არსებობის ისტორია აქვს, და გასაკვირველი არაა, რომ ასეთი მდიდარი ნედლეულისა და ენერგორესურსების მქონე ქლუხორის რაიონს ამჟამად საქართველოს სხვა ეკონომ-გეოგრაფიულ რაიონებთან შედარებით მცირე ხვედრითი წონა აქვს.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ რაიონის ხელისუფლების მიერ სერიოზული მუშაობა ჩატარდა: მრეწველობის დარგში მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა ომით გამოწვეული შედეგები, აღდგენილია ბევრი საწარმო, რომლებიც ომის დაწყებამდე მოქმედებდნენ.

წარმოების მექანიზაცია საკმაოდ სწრაფი ტემპით მიდის. ასე, მაგალითად, რაიმრეწვკომბინატის 1945 წ. 13 დაზგა და მანქანა გაჩნდა, 1947 წ. — 23, 1948 წ. კი უკვე—30-მდე, ელექტროძრავების რაოდენობა 1945 წ. 18 უდრიდა, ხოლო 1947 წ. 30.

მაგრამ ომისშემდგომი ხუთწლედის ამოცანები ამით როდი ამოიწურება. რაიონის მრეწველობას კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი ადგილობრივ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენება-ათვისების დარგში.

რაიმრეწვკომბინატს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების დარგში. რაიონის ნედლეულისა და ენერგეტიკის რესურსები საშუალებას აძლევენ მას ისე განავითაროს თავისი მრეწველობა, რომ, გარდა ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, მას რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობაც მიეცეს. მაგალითად, გეოლოგიური ძიება, რომელიც წარმოებს კოლტუბეს ქვანახშირის საბადოების რაიონში, მალე მოკვეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ფართო ხასიათი მიეცეს საშენი მასალების მრეწველობის განვითარებას (მარმარილოს, გრანიტის ქვისა და სხვა სახით).

თუ მხედველობაში მივიღებთ რაიონის მდიდარი ტყეების მასივებს, შეიძლება ითქვას, რომ ხე-ტყის დამუშავებითი მრეწველობა, რომელსაც ამჟამათაც რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვს, მალე რაიონის მრეწველობაში წამყვანი დარგი გახდება. ხე-ტყის დამუშავებასთან ერთად შეიძლება განვითარდეს მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა ფიხის, სკიპიდარისა და კუპოის გამომუშავება და სხვა.

რაიონში მეცხოველეობის შემდგომ განვითარებასთან ერთად ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებაზე შეიძლება გადაყვანილ იქნეს ისეთი საწარმოები, როგორიცაა ტყავის, ფეხსაცმლის, სამთელაო და სხვა.

ამავე ბაზაზე შეიძლება განვითარდეს კვების პროდუქტების საწარმოები (ყველისა და კარაქის ქარხნებისა და სხვა სახით).

მოსახლეობის ზრდასთან ერთად დიდად გაიზრდება ტურისტებისა და დამსვენებელთა ნაკადიც, რასაც თან უნდა სდევდეს ზრდა პურის ცხობისა, უალკოჰოლო სასმელებისა და ლუდის წარმოებისა. საკურორტო საქმის განვითარებასთან ერთად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული რაიონის მინერალური წყლები, რომლებსაც კარგი სამკურნალო თვისებები ახასიათებს. რაიონის კვების მრეწველობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე გარეული ხილი და კენკრეული.

ფართო პერსპექტივა აქვს აგრეთვე სარეწაო კოოპერაციას, რომელმაც თავისი წარმოება უნდა გადაიყვანოს ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებაზე (სახელდობრ ხე-ტყე, საღებავები, კვების სხვადასხვა საწარმო და სხვა).

ზემოაღნიშნულის გარდა, შეიძლება ორგანიზებულ იქნეს მოპობა-დამუშავება ბარიტის, გოგირდის, მშრალი საღებავებისა (ოხრა) და სხვა.

ამგვარად, თავისი ბუნებრივი სიმდიდრეების საფუძველზე რაიონმა ძირითადად სამთო-მოპობითი და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის დარგები უნდა განვითაროს. მაგრამ მრეწველობის შემდგომი გაშლა-განვითარების საკითხი, და პირველ რიგში ზემოთ აღნიშნული დარგებისა, ვერ გადაწყდება ვიდრე ყოველმხრივ არ იქნება შესწავლილი წიაღისეული სიმდიდრეები და მასთან ერთად არ იქნება გაფართოებული და გაუმჯობესებული არსებული გზების ქსელი.

ეს საკითხი, ისევე, როგორც სამკურნალო დანიშნულებისათვის მინერალური წყლების გამოყენება, დაკავშირებულია გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის შემდგომ ნაყოფიერ მუშაობასთან და აგრეთვე საგზაო მშენებლობის გაფართოებისა და ტვირთის გადაზიდვის საკითხების ჯეროვან მოგვარებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. საკ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის ინსტ. ფონდები.
2. **У. Алиев.** Карачай Микоян-Шахар, 1927.
3. **А. Н. Дьячков—Тарасов.** В горах Большого и Малого Карачая. Тифлис, 1900.
4. Советский Карачай. 1920 — 1940 г. г. Микоян — Шахар, 1940.
5. **В. Н. Сысоев.** Карачай в географическом, бытовом и историческом отношении. Тифлис, 1913.
6. **Г. Д. Чурсин.** Поездка в Карачай. Тифлис, 1915.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. გურგენიძე და ლ. კარბელაშვილი

სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება[1]

1. სოფლის მეურნეობის ხასიათი და მიმართულება

ქლუხორის რაიონის სოფლის მეურნეობა ძირითადად საშუალო და მაღალმთიან ზონაშია მოქცეული, რის გამო მისი ხასიათი და მიმართულება ბუნებრივი მდგომარეობით საგრძნობლად არის შეპირობებული.

უხვი ალპური და სუბალპური საძოვრები და სათიბები განსაზღვრავენ მის მეურნეობრივ პროფილს საქართველოს სსრ-ის სახალხო მეურნეობის ერთობლიობაში, როგორც სამთო მესაქონლეობის რაიონისას.

ქლუხორის რაიონი თავისი მესაქონლეობით, რომლის განვითარებისთვის საუკეთესო პირობები არსებობს, ერთი მხრივ, კურორტ თებერდის დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების რძის პროდუქტებით მომარაგებასთან ერთად უზრუნველყოფს ადგილობრივ მრეწველობას ნედლეულით (რძე და ტყავი) და, მეორე მხრივ, აფხაზეთის კურორტებს მოამარაგებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით (რძის ნაწარმი, ხორცი და სხვ).

რაიონის შედარებით მაღალი მდებარეობისა და კონტინენტური ჰავის გამო მემცენარეობაში მეურნეობრივად ეფექტის მომცემ კულტურათა დანერგვა სათანადო მიჩურჩისებური ყინვაგამძლე ჯიშების შერჩევას ძოითხოვს.

სახნავ-სათესი ფართობების სიმცირის მიუხედავად, საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებით და ახალი მიწების მარცვლეული კულტურებით ათვისებით რაიონი წარმატებით ეჩრის მარცვლეულის პრობლემას და მალე მოთხოვნილების საგრძნობი ნაწილი საკუთარი პურეული პროდუქტებით იქნება უზრუნველყოფილი.

ვარდა მარცვლეულისა, ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში მნიშვნელოვანი პერსპექტივების მქონეა აგრეთვე მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებაც, განსაკუთრებით კი კარტოფილის კულტურა, რომლის მოსავალი რაიონის მოთხოვნილებას ბევრად აღემატება და ძირითადად სასაქონლო ხასიათს ატარებს.

სულ სხვა იყო ქლუხორის რაიონის რეკოლუციამდელი ეკონომიკა, როდესაც მისი თვალუწვდენელი საძოვარ-საბალახოები და სათიბები ერთ მუჭა მემამულეთა კუთვნილებას შეადგენდა; თითზე ჩამოსათვლელ კულაკ-მესაქონლეთა გვერდით სოფლის ფართო გლეხური მოსახლეობა დიდ მატერიალურ გაჭირ-

[1] „მორწყვა“ და „მეხილეობა“ დაწერილია ლ. კარბელაშვილის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებას განიცდიდა; მემინდვრეობიდან მიღებული ხორბლის, სიმინდისა და ქერის მოსავალი მოსახლეობის საკვებად საკმაო იყო მხოლოდ ერთი-ორი თვის განმავლობაში. სრულებით არ იყო განვითარებული მებაღეობა და მებოსტნეობა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოეღო ბოლო ქლუხორის სოფლის მეურნეობის უსისტემო და მტაცებლურ ექსპლოატაციას. დაიწყო მისი გამოუყენებელი, ე. წ. „უვარგისი" მიწების ათვისება; ბუნებრივი პირობებისა და რაიონის ეკონომიკის შესაბამისად მოეწყო მხარისათვის დამახასიათებელი სამთო მესაქონლეობა, მისი სასაქონლო ნაწილის ზრდა.

მართალია, მესაქონლეობა რევოლუციამდეც იყო წამყვანი და ამ კუთხის სოფლის მეურნეობის ერთადერთი დარგი, მაგრამ იგი მთლიანად ექსტენსიურ, მომთაბარე ხასიათს ატარებდა. გაზაფხულზე იწყებოდა პირუტყვის საზაფთრო სადგომებიდან დაძვრა მთებისკენ და მთელი ზაფხულის განმავლობაში საქონელი თითქოს ფეხდაფეხ იპყრობდა თოვლის საფარისაგან განთავისუფლებულ ახალ-ახალ საძოვარ—საბალახო ადგილებს. რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებანი პირუტყვის წესიერი გამოკვებისათვის არ ტარდებოდა, უკანასკნელი ასე ვთქვათ, ბუნებრივ თვითდინებას იყო დამორჩილებული. შემოდგომის დაწყებიდან პირუტყვი ძოვებით ძირს ეშვებოდა და თანდათან კვლავ უბრუნდებოდა ძველ სადგომს, სადაც ბუნებრივ და ნახევრად ბუნებრივ პრიმიტიულ სადგომებში ატარებდა ზამთარს.

წლების მანძილზე აქაური პირუტყვს არავითარი ხარისხობრივი ცვლილება-გაუმჯობესება არ ეტყობოდა. კვებისა და მოვლის ასეთი სისტემის დროს საქონლის პროდუქტიულობა ერთომ დაბალი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს რევოლუციამდელი, ნახევრად ნატურალური, კერძო საკუთრებაზე დამყარებული მესაქონლეობა, სოციალისტურ პრინციპზე დაფუძნებულ მსხვილ მაღალსაქონლურ მეურნეობად ქცეული, დროებით ოკუპაციაში მოხვედრით ძირფესვიანად განადგურდა და რაიონის განთავისუფლების შემდეგ საჭირო შეიქნა მისი ხელახლად მოწყობა.

2. სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია

ქლუხორის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ათვისება საქართველოს სსრ-ის ფარგლებში დიდი სამამულო ომის ბოლო წელს დაიწყო და დღეს წარმატებით ხორციელდება მისი სოციალისტური რეკონსტრუქცია. უკვე ორგანიზებულია კოლმეურნეობები: ახალშენის, თებერდის, მზისას, მადნისხევის, ზედეკაის, მთის—ძირისა და ზედა მადნისხევის. ამათგან პირველ სამს უკვე ოთხი წლის ისტორია აქვს და მათი საქმიანობა საგრძნობი წარმატებით ხასიათდება. კოლმეურნეობები საკმაოდ მომაგრდნენ, წლითი წლობით ზრდიან საკოლმეურნეო დოვლათს და ბედნიერი ცხოვრების უშუალო მონაწილენი ხდებიან.

საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ ბარის უახლოესი პერსპექტივა, სადაც 1948 წლის მიწურულიდან დაიწყო სოფელ კრასნოზავოდსკოეს ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოსახლებულ ქართველ კოლმეურნეთა მოწყობა. ეს ის მთიელი მოსახლეობაა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ მეფის დროს უმიწაწყლობამ და შიმშილმა აიძულა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებულიყო.

ბარის კოლმეურნეობა რაიონის კოლმეურნეობებში ერთ-ერთი უმსხვილესი კოლმეურნეობა იქნება. მის კარგ მუშაობაზე საგრძნობლად იქნება დამოკიდებული მასთან ყველაზე ახლო მდებარე ახალყანის სათესი ფართობების ჯეროვანი ათვისება. საგულისხმოა, რომ ახალყანის სახნავ-სათესი ფართობი (3000 ჰექ-მდე) ქლუხორის საერთო ნათესების ფართობს რამდენჯერმე აღემატება.

რაიონის კოლმეურნეობათა დისლოკაცია 1948 წლის პირველი იანვრისათვის ასეთი იყო:

№ № რ. რ.	სოფელი	კოლმეურნეობის დასახელება	კომლთა რიცხვი
1	თაბერდა	სტალინის სახელობის	135
2	მზისა	ლენინის „	76
3	ახალშენი	ბერიას „	107
4	ზედვაკე	ჩარკვიანის „	61
5	მადნისხევი	მოლოტოვის „	56
6	ზედა მადნისხევი	ორჯონიკიძის „	33
7	მთისძირი	ჟდანოვის „	44
			512

კოლმეურნეობებიდან სახნავ-სათესი ფართობით, პირუტყვის სულადობით და სხვა ყველაზე მძლავრია სოფელ თაბერდის კოლმეურნეობა, მას მოსდევენ სოფელ ახალშენისა და მზისას კოლმეურნეობები.

რაც შეეხება ყუბანის ხეობის კოლმეურნეობებს, მათი უხვი საძოვარ-საბალახოები, სოფლების გარშემო პატარ-პატარა მიწის ნაკვეთების დიდი რეზერვი, გამრჯე ხელი და მუყაითი შრომა იმის თავდებია, რომ ისინი სულ მალე გაუტოლდებიან რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებს. რაიონის ყველა კოლმეურნეობა მესაქონლეობის ხასიათისაა. მომავალში ამ მიმართულებითვე უნდა გაიშალოს საკოლმეურნეო მშენებლობა. კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა უკვე ელექტრონთთაა განათებული.

რაიონის ტრაქტორიზაცია, მისი მთაგორიანი და დასერილი რელიეფის გამო, საგრძნობლად შეზღუდულია, რამდენადაც მიწის ფართო მასივები ნაკლებად გვხვდება. ტრაქტორების ფართოდ გამოყენების პერსპექტივა ახალყანის მასივს აქვს, სადაც მიწის ძირითადი სამუშაოები უკვე ტრაქტორით სრულდება. ტრაქტორი გამოყენებულია აგრეთვე ნაწილობრივ ახალშენისა და მზისას კოლმეურნეობებში. მოსავლის აღება სალეწი მანქანებით ხდება. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ მიწის სამუშაოთა საგრძნობი ნაწილი ცოცხალი გამწევი ძალის საშუალებით სრულდება.

4. გეოგრაფიის ინსტ. შრომები, ტ. IV, ნაკვეთი 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქ ქლუხორისა და კურორტ თებერდის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების საქმეში კოლმეურნეობებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აქ მოწყობილ მეცხოველეობისა და მემინდვრეობის მიმართულების დამხმარე მეურნეობებს.

1948 წლის 1 ივლისისათვის რაიონში არსებული 22 დამხმარე მეურნეობიდან 17 ემსახურებოდა ქალაქ ქლუხორის მოსახლეობასა და წარმოებადაწესებულებებს, ხოლო ხუთი—კურორტ თებერდის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს.

აღსანიშნავია, რომ დამხმარე მეურნეობებში გაერთიანებული იყო რაიონის მთელი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის 8%-ზე მეტი. მესაქონლეობის შემდეგ ცალკე აღნიშვნის ღირსია მეფუტკრეობა, რომელიც ჯერჯერობით შედარებით ნაკლებად არის განვითარებული, მაგრამ საუკეთესო ბუნებრივ პირობათა გამო საერთოდ რაიონში და კერძოდ დამხმარე მეურნეობებში საგრძნობად უნდა გაიზარდოს.

მემცენარეობიდან დამხმარე მეურნეობებში ძირითადი კულტურა იყო კარტოფილი და ბოსტნეული (ხახვი, კომბოსტო, პარხალი, კიტრი, სტაფილო და სხვა).

მოქმედი დამხმარე მეურნეობიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ქალაქ ქლუხორის ის მეურნეობანი, რომლებიც მოწოდებული არიან საქართველოს სსრ რაიონებთან შედარებით აქ ფართოდ წარმოდგენილი სბავშვო სახლებისა და სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლეთა მოსამარაგებლად და კურორტ თებერდის დამხმარე მეურნეობანი—ავადმყოფთა და დასვენებელთა რძის პროდუქტებითა და ახალი ბოსტნეულით წლის განმავლობაში შეუფერხებელი მომარაგებისათვის. ამ მხრივ, კერძოდ კურორტის დამხმარე მეურნეობებში, სასათბურო მეურნეობათა მოწყობას ახლო მომავალში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

აღსანიშნავია, რომ თებერდის საკავშირო მნიშვნელობის კურორტების შემდგომი გაზრდა-გაფართოება გადაუდებლად მოითხოვს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგებაში სეზონურობის დაძლევას და მუდმივი მტკიცე ბაზის შექმნას.

რაიონის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის, მისი ზრდისა და განვითარების პერსპექტივების გასათვალისწინებლად ფრიად საინტერესოა სოფლის მეურნეობის მიმართულებით აქ განხორციელებული კაპიტალური დაბანდებანი; რაიონის კოლმეურნეობების ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება და განყოფილი ფონდები 1947 წელს შედარებით 1945 წელთან ერთი ორად გაიზარდა.

ამ მხრივ ძნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახელმწიფოს მიერ გაღებულმა გრძელვადიანმა სესხებმა (კოლმეურნეობებს ერთნაირევარ მილიონ მანეთამდე მიეცა). სოფელ ბარში კოლმეურნეთა ახალი ჯგუფის დასახლებასთან და მოქმედ კოლმეურნეობათა შემდგომ დაფინანსებასთან დაკავშირებით ეს ღონისძიება კიდევ უფრო ფართო ხასიათს ღებულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მეცხოველეობის განვითარება და განლაგება

მესაქონლეობის განვითარებისათვის ფრიად მნიშვნელოვან ამ რაიონში დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე სრულიად უსაქონლო იყო გლეხური მოსახლეობის ერთი მეოთხედი, ხოლო ისეთი პირველი მნიშვნელობის პირუტყვი, როგორიცაა ძროხა და ცხვარი, პირველი არ გააჩნდა მოსახლეობის ერთ მესამედს, ხოლო მეორე ნახევარზე მეტს, და ეს მაშინ, როდესაც ცხვართა სულადობის მაღალი მაჩვენებლების მხრივ (100 ძროხაზე) ეს მხარე მთელს კავკასიაში გამოირჩეოდა.[1])

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეს მდგომარეობა არსებითად შეცვალა და, მსგავსად ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხეებისა, სოფლის მეურნეობა, პირველ რიგში კი სოციალისტური მეცხოველეობა აქაც აღმავლობის გზას დაადგა. დავიწყებას მიეცა ძველი უკუღმართი ცხოვრების გადმონაშთი—ერთი მხრივ კულაკური მეურნეობანი, ხოლო მეორე მხრივ უმიწაწყლო, უძროხო და უცხვარო გლეხური მეურნეობანი, სოფელი საკოლმეურნეო მშენებლობამ მოიცვა.

როგორც ავღნიშნეთ, დიდმა სამამულო ომმა მესაქონლეობის ეს მდიდარი მხარე მთლიანად გააპარტახა. ქალაქ ქლუხორსა და ქლუხორის რაიონში ჰიტლერელებმა მოსპეს ათი ათასობით მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

მიუხედავად ამისა, რაიონში მეცხოველეობის ხელახალი აღმავლობის სულ ორიოდე წლის შემდეგ (1946 წლის 1 იანვრისათვის) მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით ასეთი მდგომარეობა გვქონდა:

მეურნეობათა კატეგორიები	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	ცხვარი და თხა	ღორი	ცხენი	ვირი	სულ
კოლმეურნეობები	910	28	60	40	30	1068
კოლმეურნეები	220	921	313	—	3	1457
სახელმწიფო მეურნეობები	282	74	35	59	3	453
მუშა მოსამსახურეები	420	319	203	15	21	978
დანარჩენი მეურნეობები . .	1305	1038	159	113	23	2638
სულ	3137	2370	770	231	80	6594

როგორც ცხრილიდან ჩანს, რაიონის პირუტყვის საერთო სულადობა, 6,6 ათასს უდრიდა, აქედან საკოლმეურნეო პირუტყვი კოლწესრთა ჩათვლით-38%. პირუტყვის საერთო სულადობის თითქმის ნახევარი მსხვილფეხა რქოსან საქონელს ეკავა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ღორების სულადობა, რომელიც ამ კუთხის სოფლებში ადრე სრულიად არ იყო გავრცელებული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ამ მხარეში მეცხვარეობის მძლავრად განვითარების პერსპექტივა, ვინაიდან საკვები ბაზის მხრივ, რაიონის მაღალ მთიანი

[1] П. Н. Раждаев. Основные черты организации крестьянского хозяйства на Северном Кавказе, Ростов-Дон, 1925 г., стр. 39-40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებარეობის გამო, მეცხვარეობა მსხვილფეხა რქოსან საქონელთან შედარებით უპირატესად არის უზრუნველყოფილი. ახლო მომავალში კახეთსა, აღმოსავლეთ კავკასიონსა და მეცხვარეობით ცნობილ სხვა კუთხეებთან ერთად ქლუხორიც საქართველოს სასაქონლო მეცხვარეობის რაიონად უნდა გადაიქცეს.

ამჟამად საერთო ზრდითა და თავისი მნიშვნელობით რაიონის სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მეცხოველეობის, პროფილის მიმცემია მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, რომლის დინამიკა 1944—1948 წლებში შემდეგს გვიჩვენებს (%%-ით სათანადო წლების 1-ლი იანვრისათვის შეფარდებით 1944 წელთან):

1944 წ.	1945 წ.	1946 წ.	1947 წ.	1948 წ.	1949 წ. (გეგმა).
100	145,7	227,9	261,5	273,6	303,0

მსხვილფეხა რქოსანი საქონელი საერთოდ ერთი სამად გაიზარდა, ხოლო ძროხების სულადობა ერთი-ორად.



ნახ. 1. პირუტყვის დინამიკა

რაიონის სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობის მნიშვნელობის გასათვალისწინებლად აღსანიშნავია ისიც, რომ კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული შრომადღეების საერთო რაოდენობისა და ფულადი შემოსავლის მესამედზე მეტი (36%—1947 წ.) მეცხოველეობაზე მოდიოდა. მომავალში მემცენარეობის პროდუქციის საერთო ზრდასთან ერთად თავისი ხვედრითი წონით მეცხოველეობის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაური მსხვილფეხა რქოსანი საქონელი თავისი წველადობით, ხორციანობით და საერთო გამოსავლიანობით საქართველოს მთელ რიგ რაიონებზე წინ დგას. ჯერ კიდევ 1946 წლის პირველი იანვრისათვის ჯიშიანი საქონელი (ეგრეთწოდებული შვიცის, სიმენტალის, წითელი სტეპის, ნაცრისფერა უკრაინისა და მათთ მეტისები) 400 ზე მეტ სულს უდრიდა. 1944 წლიდან მეტიზაცია მიმდინარეობს შვიცის ჯიშის მეწარმეობლებით. სადღეისოდ გაბატონებულია მეტისი შვიცისა და სიმენტალისა. რაიონში ჯიშიანი პირუტყვის მოშენება წელიწადში ერთ სეფურაეე ძროხაზე 1500—2000 ლიტრ რძეს მოგვცემს.



ნახ. 2. პირუტყვის შემადგენლობა 1948 წ. იანვრისათვის

1947 წელს ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებში, გარდა სიმენტალისა და შვიცის ჯიშებისა, ბლომად ჰყავთ აგრეთვე სვანეთიდან გადმოყვანილი ძროხები, რომლებიც შედარებით მომცრო ტანისანი არიან, წველადობის მხრივ თითქმის ყველა ზემოაღნიშნული ჯიშის ძროხებს ჩამორჩებიან, მაგრამ რძის ცხიმიანობისა და გამრავლების უნარიანობის მიხედვით წინ უსწრებენ.

ღორებიდან გავრცელებულია „თეთრი ნსხვილი“ მეტისების ჯიშის ღორები, რომლებიც ხასიათდებიან სწრაფი ზრდით, დიდი ცოცხალი წონით და ამასთანავე მეტი დაგოშიანების უნარის მქონენი არიან. გვხვდება აგრეთვე ჩამოსახლების ადგილიდან წამოყვანილი ღორები. მაგალითად: სოფელ მზისას ლეინის სახელობის კოლმეურნეობაში რაჟიდან (სოფ. ღები) ჩამოყვანილია შავი ღორი (გავრცელებულია რაჟალეჩხუმში) რომელიც კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს.

ცხენები ძირითადად გავრცელებულია ადგილობრივი ჯიშისა. მომავალში მათი გეგმაენი გაუმჯობესება დაწყებულ უნდა იქნეს ე. წ. ინგლისურ-ყაბარდოული მწარმოებლებით.

ქლუბორის რაიონის კოლმეურნეობებში ფართო შესაძლებლობაა პირუტ-ის სულადობისა და პროდუქტიულობის ყოველწლიური განუხრელი ზრდისათვის. რაიონში არსებული საძოვრებისა და სათიბების საგრძნობი რაოდენობა ჯერ კიდევ მეურნეობრივად მთლიანად არაა გამოყენებული. რაიონის პირუტყვის ყველა სახეს თუ პირობით მსხვილფეხა რქოსანი საქონლით გამოვხატავთ (1946 წლ. ცნ.), მივიღებთ, რომ ერთ სულ საქონელზე მოდის: სახნავი-0,5 ჰა, სათიბი—9 ჰა და საძოვარი-19,5 ჰა, ესე იგი საკვები ბაზით ეს რაიონი ფრიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფილია პირუტყვის არსებული სულადობის მკვეთრად გადიდებისათვის.

რაიონის უხვი სათიბ — საძოვრები იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ძოვების მთელ პერიოდში აქაური ბალახი ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ კვების მაღალუნარიანობას. რაიონის მეცხოველეობის საკვები ბაზა დასახლებული პრნქტებიდან დაშორების მიხედვით შეიძლება სამად გავყოთ: თვით სოფლის ფარგლებში მდებარე, მთის კალთებზე 1700 — 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სათიბები და უფრო მაღლა (2800 — 3000 მ. ზ. დ.) მდებარე საძოვრები, რომლებიც სოფლებიდან 10—30 კილომეტრითაა დაცილებული.

ჩვეულებრივად აქაური სათიბები ორი ჯგუფისაა: ხეობათა სიღრმეში მდებარე ნაკლებად დაქანებული რელიეფით და მთის ბუნებრივი მდელოები, რომლებიც ძირითადად მთების ფერდობებს გასდევენ. მთის ფერდობები ერთ მთლიან მასივს არ ქმნიან, ისინი პატარ-პატარა ფართობების სახით არიან წარმოდგენილნი, რომელთაც ქვემო წელზე ტყე არტყავს, ზემოთ კი ე. წ. უვარგისი მიწები კლდეებისა და მყინვარების სახით. ამ მხრივ თიბვის მექანიზაცია ნაწილობრივ შეზღუდულია.

სათიბების ერთი ნაწილი, რომელიც ირწყვება, ერთისამად მეტ მოსავალს იძლევა. თებერდის ველზე შესაძლებელია ზაფხულის განმავლობაში ბალახის ორჯერ გათიბვა, თუკი ამ ნაკვეთებზე მაისის ბოლომდე პირუტყვი არ იქნება გაშვებული საძოვრად.

თიბვის პერიოდი საერთოდ დაბლობებში ივლისის შუა რიცხვებიდან იწყება, მთებში—აგვისტოში, ხოლო სექტემბერში მთავრდება. რაც შეეხება ძოვების პერიოდს, სიმაღლითი ზონის მიხედვით ის ერთგვარი არ არის. მაღლობ ადგილებში ძოვება 1—1,5 თვე გრძელდება, დაახლოებით 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე; საშუალო სიმაღლის ადგილებში (დაახლოებით 2000 მ. ზ. დ.) კი 3—3,5 თვე—პირველი ივლისიდან 15 ოქტომბრამდე; ხოლო უფრო ქვემოთ, დაბლობ ადგილებში, 6—7 თვეს (მაისიდან ნოემბრამდე).

კოლმეურნეობების ნაწილს წლის განმავლობაში, ზოგს კიდევ ზაფხულობით, ძროხები საძოვრებზე ჰყავს. მაგ., თებერდის კოლმეურნეობას მუხის ხეობაში (სოფლიდან 20 კმ. მანძილზე), სადაც იქვე მოწყობილია აგრეთვე ყველ-კარაქის საწარმო. აქ რჩებიან მაისის ბოლო რიცხვებიდან აგვისტოს ბოლომდე რაც შეეხება მოზარდ პირუტყვს, ჯოგი ზამთარ-ზაფხულ გორმანის მთაზე ჰყავთ, რომელიც სათიბიც არის და საძოვარიც. იქვე მზადდება მათი გამოზამთრებისათვის თივა.

ახალშენის კოლმეურნეობას როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრები გამოყოფილი აქვს ინდისში, სოფლიდან 30 კმ-ზე (ყუბანის ხეობაში — მადნისხევთან). აქვეა მოწყობილი ყველის საწარმო; წლის განმავლობაში დაუთის მთაზეა მადნისხევის კოლმეურნეობის პირუტყვი; ზაფხულის პერიოდში—მაისიდან ოქტომბრის ბოლომდე — საზაფხულო საძოვრებზე სოფლიდან 12-კმ-ის დაშორებით იმყოფება აგრეთვე სოფელ ზედვაკ-ს კოლმეურნეობის პირუტყვი და სხვა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მიუხედავად აღნიშნულისა, რაიონის მაღალი მდებარეობისა და საზამთრო საძოვრების შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით არსებობის გამო, აქაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წელიწადში შვიდი თვის განმავლობაში ბაგური გამოკვებაა საჭირო, რაც თავის ხხრივ მოითხოვს სამუშაოთა ისე გაძღოლას, რომ პირუტყვი ამ ხნის განმავლობაში თივითა და სილოსით დროულად იქნეს უზრუნველყოფილი. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აქაური თოვლ-ყინვიანი ზამთრის კარგად გადასატანად და პირუტყვის წესიერი გამოზამთრებისთვის სათანადო საზამთრო სადგომებით უზრუნველყოფას.

რაც შეეხება ცხვარს, მისი გამოკვება გაადვილებულია, რამდენადაც ცხვრის ბაგური კვება ორ-სამ თვეს არ აღემატება და ზამთრის პერიოდშიც მოსახერხებელია საძოვრებზე ყოფნა (მაგალითად, ნარზანის მინერალური წყლების რაიონში).

მომავალში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მეფუტკრეობას, რომლის განვითარებისათვის რაიონში საუკეთესო ხელშემწყობი პირობები არსებობს (თაფლოვანი მცენარეულის სიუხვე), ჯერჯერობით ეს დარგი რაიონის შესაძლებლობასთან შედარებით ნაკლებ განვითარებულია. ასე, მაგალითად, 1946 წლის 1 იანვრისათვის რაიონში იყო 250 ფუტკრის ოჯახი, მათ შორის 73 საკოლმეურნეო, რომელიც ორ საკოლმეურნეო საფუტკრეში იყო გაერთიანებული. ახლო მომავალში მეფუტკრეობამ ქლეხორის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში სპეციალი ადგილი უნდა დაიკავოს, მან უნდა დააკმაყოფილოს ქალაქ ქლეხორისა და თებერდის ჯგუფის კურორტების მზარდი მოთხოვნილება თაფლზე. მნიშვნელოვანი ნაწილი აგრეთვე გატანილ უნდა იქნეს აფხაზეთსა და თბილისში გასაყიდად, რაც კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეთა ფულად შემოსავალს საგრძნობლად გაზრდის.

მეფრინველეობა მცირედ არის განვითარებული. რაც შეეხება მეთევზეობას, მას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. თევზმერა ძირითადად მდ. ყუბანსა და თებერდაზე წარმოებს. გავრცელებული ჯიშია კალმახი.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის კოლმეურნეებმა მასობრივად უკან მოიტოვეს არტელის წესდებით დათქმული წლის განძვალობაში გამოსამუშავებელი შრომადღეები, ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ და შრომის დამატებით ანაზღაურებას ღებულობენ. ახლო მომავალში რაიონის თვითეულ კოლმეურნის ოჯახს პირად სარგებლობაში ეყოლება ამ რაიონისათვის წესდებით გათვალისწინებული 5 ძროხა თავისი ნამატით, ცხვარი და თხა 25-მდე, ორი დედა ღორი თავისი ნამატით, ფუტკარი 20 ოჯახი და ცხენი.

აქ ჩამოსახლებულ კოლმეურნეთა მონდომებული შრომა და საქმისადმი სიყვარული ზემოაღნიშნულის მასობრივად მიღწევის საწინდარი იქნება.

4. ᲛᲝᲠᲬᲧᲕᲐ

ზაფხულის პერიოდში რაიონში ნალექთა ნაკლებობა და საკმაოდ მაღალი ტემპერატურა საპირო ხდის ნათესებისა და სხვა კულტურების სისტემატურ მორწყვას ივლის-აგვისტოს განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწყავი არხები რაიონში ყუბანისა და თებერდის ხეობებშია განლაგებული; სარწყავი წყალი გაყვანილია მდინარე თებერდიდან, ყუბანიდან და მათი შენაკადებიდან. წყალთა მეურნეობის დარგში უკანასკნელად ჩატარებული სამუშაოებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი სარწყავი არხების აღდგენა-გაწმენდა და 1947 წ. ახალშენის არხის მშენებლობა (3,53 კმ სიგრძით), რის შედეგადაც მიღებულ იქნა 60 ჰექტარი სარწყავი ფართობი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლების დასახელება	სარწყავი არეების სიგრძე კილომეტრობით	ირწყვოდა 1947 წელს (ჰექტარობით)						
		მარცვლეული	კარტოფილი	ბოსტნები	სათიბები	ბალები	საკარმიდამო	სულ
1. ახალშენი	3,7	21	7	10	22	9,0	—	69,0
2 თებერდა	33.0	215	40	5	450	1,5	35	746,5
3. ზედვაკე	13,3	72	5,5	1,5	33	0,7	27	139,7
4. მადნისხევი	13,4	55	—	1,5	47	—	26,5	130,0
5. ზემო მადნისხევი . .	1,9	44	2	1,0	32	—	13,0	92,0
6. მთისძირი	1,5	42	4	1.5	3.5	1.2	1,2	64,2
სულ	66,8	449	58,5	20.5	587.5	12,4	113,4	1241.4
%%-ში	—	36.2	4,7	1.6	47,4	1,0	9,1	100 %

სარწყავი ფართობის უდიდესი ნაწილი სათიბებზე და მარცვლეულ კულტურებზე მოდის, ხოლო მცირედი — საკარმიდამო ნაკვეთებზე და კარტოფილის ნათესებზე.



ნახ. 4. სარწყავი მიწების განაწილება სას.-სამ. კულტურების მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწყავი ქსელით წვიერი სარგებლობა დიდად გაზრდის რაიონში სას.-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას და საერთო მოსავალს (იხ. ნახ. 5).

5. მემინდვრეობის განვითარება და განლაგება

მემინდვრეობა ბოლო დროამდე რაიონის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. იგი მეცხოველეობის უბრალო დამატება იყო.

მოსახლეობა, ერთი მხრივ, შემოზიდული პურით იკმაყოფილებდა თავს, ხოლო მეორე მხრივ, აქაურ კოლმეურნეობებს რაიონის გარეთ სტავროპოლის მხარეში ბლომად ჰქონდათ გამოყოფილი სახნავ-სათესი მიწები მარცვლეული კულტურებისთვის.

სამამულო ომის წლებში რაიონის დროებითმა ოკუპაციამ ისედაც ჩამორჩენილი მემინდვრეობა განადგურებამდე მიიყვანა, რის გამო მემინდვრეობის აღდგენაც მეცხოველეობასთან ერთად 1944 წლიდან დაიწყო.

1945 წლისათვის მარცვლეულ კულტურებს ათას ჰამდე ეკავა, რაც სრულიად უნიშვნელოა, მაგრამ როგორც ახლად წამოწყებული საქმე თავისი მზარდი ტემპებით ფრიად საგულისხმოა (იხ. ნახ. 6).

მარცვლეულიდან პირველ ადგილზეა ხორბალი შემოდგომისა (ძირითადია „კრასნოდარკა“, მცირედ „უკრაინკა“) და გაზაფხულისა (ძირითადია საქართველოდან ჩამოტანილი დიკა, უფმო ფორმებიდან—რაჭული, ფხიანიდან—შავფხა და თავთუნი. ეს სამი უანასკნელი შემოდგომაზეც ითესება); ყუპანის ხეობის კოლმეურნეობებში გავრცელებული სვანეთიდან ჩამოტანილი წითელფხა, იგი გვალვის ამტანია და აქაურ კოლმეურნეთა გამოთქმით „მთიანი ადგილების პურია“. მას მოსდევს გაზაფხულის ქერი (ახალთესლი) და, ბოლოს, სიმინდი (ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა, გვხვდება წითელი კაჟოვანაც. ე წ. შვიდკვირა. ეს უკანასკნელი უპირატესად ითესება ყუბანის კოლმეურნეობებში, და ფეტვი (ადგილობრივი ცოცხის მსგავსი), სთესენ აგრეთვე რაჭიდან გადმოტანილ ლობიოს (მინდვრის წითელი).

გაზაფხულის ადრეული კულტურების თესვა მარტ-აპრილ-მაისიდან იწყება, შემოდგომისა—სექტემბრიდან ოქტომბრის დამლევამდე.

მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია (10 ცენტნერამდე). მიწის დამუშავების დარგში საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებათა მთელი სისტემის გატარების გარდა საჭიროა ერთი სამად და მეტად გაიზარდოს აგრეთვე მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობებიც ყამირი მიწების ათვისების ხარჯზე (ახალყანის მასივი და სხვა). ამ მხრივ რაიონში გაკეთებული მუშაობა წარმოებს. მაგალითად, სოფელ ახალშენისა და მზისას კოლმეურნეობებმა, ახალყანის მიდამოებში თვითეულმა უკვე ასობით ჰექტარი ყამირი გატეხა. ახალი მიწების ნაკვეთებს ითვისებენ აგრეთვე ზედაკაის, მადნისხევისა და სხვა კოლმეურნეობები (იხ. ნახ. 7).

ახალყანის მასივს თუ არ მივიღებთ მხედველობაში კოლმეურნეობების სახნავ-სათესი მიწები და ბაღ-ბოსტნეული თვით სოფლებში და მის მახლობლად არის განლაგებული, რაც უზრუნველყოფს მათ უკეთეს მოვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის მემცენარეობის რაციონალური ორგანიზაციისა და მეცნიერულ საფუძველზე განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თებერდის ნაკრძალში საცდელ ნაკვეთზე მოწყობილ ნარგავ ნათესსა და სანერგეს, სადაც ერთსა და იმავე კულტურის სხვადასხვა ჯიშის თესვასთან ერთად თესვა წარმოებს სხვადასხვა დროს და განსხვავებულ პირობებში (სხვადასხვა სიმაღლითი ზონის არეალებში) ამ ღონისძიებათა მიზანია კლიმატურად და აგრონომიულად მისაღები აიალი ეკონომიურ არეალს დაუახლოოს და მას რაიონში მასობრივად გავრცელებით სამრეწველო ხასიათი მისცეს[1].



ᲡᲘᲠᲗᲮᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ:

თებერდის სასოფლო საბჭო

მადნისხევის „ „

ზედვაკის „ „

ახალშენის „ „

ნახ. 5. სარწყავი მიწების განაწილება სასოფლო საბჭოების მიხედვით (%%-ით)

ნაკრძალის მიერ ჩატარებული ცდები საუკეთესოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქლუხორის რაიონის უკლებლივ ყველა სოფელსა და კოლმეურნეობაში, მიუხედავად მათი მაღალმთიან ზონაში მდებარეობისა, მესაქონლეობის გვერდით სათანადო მიჩერონულლიენკოს ჯიშების შერჩევით საგრძნობლად შეიძლება განვითარდეს მემინდვრეობა, მებოსტნეობა და მებაღეობა. ამის საუკეთესო დადასტურებას ტურისტულ-ალპინისტური ბანაკი დომბაი იძლევა და, ბოლოს, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, ორგანული სასუქების მეტი რაოდენობით გამოყენებით, რწყვის უკეთესად მოწყობით, თესლბრუნვის შემოღებით და სხვა მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს მიწის დამუშავების კულტურა, რაც შექმნის მეტ საკოლმეურნეო დოვლათს, გაზრდის შრომადღის ღირებულებას და კიდევ უფრო აამაღლებს კოლმეურნეთა მატერიალურ კეთილდღეობას.

6. მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა

ქლუხორის რაიონის თითქმის ყველა სამოსახლო პუნქტში ყველაზე მაღლა მდებარე ზედვაკის, მადნისხევისა და თებერდის ჩათვლით, საკმაოდ ხელსაყრელი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებია კონტინენტური მეხილეობისათვის, განსაკუთრებით მიჩურონული ჯიშის ხეხილის გავრცელებისათვის. აღნიშ-

[1] ამის შესახებ დაწერილებით იხ. გ. ზარდალიშვილის სტატიაში: „თებერდის სახელმწიფო ნაკრძალი და ტყის მეურნეობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულს გვიდასტურებს როგორც აქ გაშენებული ხეხილის ბაღები, ისე უხვად გავრცელებული და საკმაო თამამად მზარდი გარეული ხილი (მაჟალო, პანტა და სხვა), რომლის უზარმაზარ ხეებს მნიშვნელი განცვიფრებაში მოჰყავს. აქაური ბაღები საკმაოდ მაღალი მოსავლიანობითა და ხილის კარგი ხარისხით ხასიათდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქლუხორის რაიონში არსებული შესაძლებლობანი ჯერ-ჯერობით მცირედ არის გამოყენებული მეხილეობის განვითარებისათვის; მეხილეობის შემდგომ განვითარებას საკმაოდ ხელსაყრელი ეკონომიური და ბუნებრივი პირობები აქვს. ამ პირობების მაქსიმალური გამოყენება სამიწათმოქმედო ორგანოებისა და კოლმეურნეობათა ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

1945 წ. ხეხილისა და კენკროვანთა ნარგავების ბაღების აღწერით ხეხილით დაკავებული მთელი ფართობი უდრიდა (ჰექტარობით): სახელმწიფო მეურნეობებში — 9,5 ჰექტ., კოლმეურნეობებში-23,5 ჰექტ. და დანარჩენ მეურნეობებში (კოლმ. წევრები, ინდივიდუალური მეურნენი და მუშა მოსამსახურენი) — 10,9 ჰექტ., სულ — 43,9 ჰექტარს. სახელმწიფო მეურნეობებში უმთავრესად თესლოვანი და კურკოვანი ხეხილია გაშენებული, ხოლო კოლმეურნეობებში — კურკოვანი და თესლოვანი ხეხილი. ხეხილის ბაღების უმეტესი ნაწილი რიგზეა დარგული და უმთავრესად ცოცხალი გაწევი ძალით მუშავდება. მიუ-



ნახ. 6. ნათესი ფართობის დინამიკა მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით

ხედავად იმისა, რომ ხეხილი ძლიერ ხშირადაა დარგული, იგი კარგი ზრდით ხასიათდება და საკმაოდ ჯანმრთელია. შესამჩნევად გავრცელებულ რაიმე მავნებლებს ან დაავადებებს აქ ადგილი არა აქვთ, რაც ახსნილ უნდა იქნას როგორც ხეხილის მაღალმთიან ზონაში მდებარეობით, ისე ნარგავთა „ახალგაზრდობით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაურ ბაღებში თესლოვანი ხეხილიდან უმთავრესად ვაშლი და მსხალია გავრცელებული, კურკოვანთაგან — გარგარი, ქლიავი, ტყემალი და მეცირედ — ალუბალი და ბალი, ხოლო კაკლოვანთაგან უმთავრესად კაკალი. კენკროვანთა გავრცელებას რაიონში თუმცა ხელსაყრელი პირობები აქვს, მაგრამ მათი ფართობი ჯერ ჯერობით მეტად მცირეა.

მეურნეობათა კატეგორიებისა და ხეხილის სახეობათა მიხედვით 1945 წელს შემდეგი მდგომარეობა იყო (ძირობით):

მეურნეობათა კატეგორიები	თესლოვანი		კურკოვანი		კაკლოვანი		მთლიანად	
	ს ულ	მათ შორის ნაყოფის მომცემი	ს ულ	მ. შ. ნაყოფის მომცემი	ს ულ	მ. შ. ნაყოფის მომცემი	ს ულ	მ. შ. ნაყოფის მომცემი
1 დამხმარე მეურნეობები . . .	921	861	984	944	331	242	2236	2047
2. კოლმეურნეობები	1253	295	1411	1022	101	10	2765	1327
3. კოლწევრები	1802	1545	3017	2439	59	11	4878	3995
4. ერთპიროვნული მეურნეები	5085	4443	5800	5241	15	12	10900	9700
5. მუშა-მოსამს. და დანარჩენნი .	1509	1123	3537	2978	132	84	5178	4180
ს უ ლ . .	10570	8271	14749	12619	638	359	25957	21249

ხეხილის უდიდესი ნაწილი ნაყოფის მომცემ ასაკშია. საკოლმეურნეო ბაღების ხილის მოსავალი ყოველწლიურად ათასობით ცენტნერს უდრის; მოსავლის უდიდესი ნაწილი უმთავრესად ადგილობრივ საკოლმეურნეო ბაზარზე (ქ. ქლუხორში) იყიდება.

ქლუხორის რაიონის მეხილეობის შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რაიონში გასაშენებლად გამოსადეგი ხეხილის კულტურებისა და მათი ჯიშების სწორად შერჩევას.

როგორც ხეხილის სანერგის მოწყობისას, ისე ერთიანი ხეხილის ბაღების გაშენებისას და საკარმიდამო ნაკვეთებზე გიფანტვით ხეხილის ჩაყრისას საჭიროა ზუსტად იქნეს დაცული სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ ორგანოთა მიერ რეკომენდირებული ხეხილის ჯიშთა დანერგვა-გავრცელება. გასავრცელებლად რეკომენდირებულ ჯიშთა შერჩევას ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებთან ერთად საფუძვლად აქვს დადებული სახელმწიფო დ. კვეთა რაიონის მეხილეობისადმი და მისი პროდუქციის რაოდენობა — ხარისხისადმი.

ქლუხორის რაიონის სამიწათმოქმედო ორგანოთა ძირითად ამოცანას ადგილობრივი ხილით უზრუნველყოფა წარმოადგენს არა მარტო ქ. ქლუხორისა და მისი რაიონის სოფლის მოსახლეობის, არამედ რაიონში მოქმედ ტურისტულ-ალპინისტურ დაწესებულებებით მოსარგებლე მრავალრიცხოვან პირთა და კუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რორტ თებერდის სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში მოსიარულე ავადმყოფ და დამსვენებელთა ხილზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც.



ნახ. 7. საკოლმეურნეო ნათესი ფართობის დინამიკა კულტურების მიხედვით

აღნიშნული მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ერთიანი ხეხილის ბაღების გაშენებას, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილის ფართო გავრცელებას.

როგორც ადგილობრივ ბუნებრივ-ეკონომიურ პირობათა შესწავლამ დაგვანახა კენკროვან კულტურებთან ერთად (მოცხარი, კინკრიჟა, ჟოლო და ა. შ) აქ შეიძლება ფართოდ იქნეს გავრცელებული ვაშლის, მსხლის, ქლიავის, გარგარის, ჭერამის, ბლისა და ალუბლის საუკეთესო და ყინვაგამძლე ჯიშები, ისეთ მაღლა მდებარე დასახლებულ პუნქტებშიც კი, როგორიცაა ზედვაკე და მადნისხევი — მდ. ყუბანის სათავეებში, ხოლო კურორტი თებერდა — მდ. თებერდის სათავეებში.

მეხილეობის განვითარება უნდა მოხდეს როგორც მიჩურინული ხეხილის ფართოდ გავრცელებით, ისე ადგილობრივ ჯიშთაგან მაღალხარისხოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეხილის შერჩევით და საქართველოს შიგნით რაიონებში გავრცელებული ხეხილის მდიდარი ასორტიმენტის სათანადო ჯიშების შემოტანით.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ქლუხორის რაიონისათვის რეკომენდირებული ხეხილის ჯიშთა ის საბეები, რომელიც საკმაოდ სრულად არის დასახელებული აგრონომ ა. ბუჩუკურის საინტერესო შრომაში[1].



ნახ. 8. ხეხილის ნარჯავთა განაწილება მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით

ქლუხორის რაიონისათვის ავტორს რეკომენდირებული აქვს ვაშლის ჯიშებიდან: ასტრახანული წითელი, ზაფხულის ატმისებური, ვაგნერის ჯილდო, ზამთრის ოქროს პარმენი, ბელფლორი ყვითელი, რუხი ფრანგული რენეტი, შამპანური რენეტი, სუისლეპერი, პეპინ შაფრანი, ანტონოვკა ჩვეულებრივი, შტრეიფლინგი, თეთრაშაული, აბილაური, ყინულა, რკინავაშლი და კეხურა.

მსხლის ჯიშებიდან ავტორი ასახელებს შემდეგს: ვილიამსი, ბერე ბოსკი, სენ ჟერმენი, კიურე, შავი მსხალი, ილინკა, კლაპის ფავორიტი და ხეტეტური.

ქლიავიდან შესაძლებლად ცნობს გავრცელდეს ატმისებრი, ალტანის რენკლოდი, შავქლიავა, იტალიური ვენგერკა, ჭანჭური, მწვანე რენკლოდი, ჯეფერსონი, მეჩიბუხეს ალუჩა და გულდედავას ტყემალი.

გარგარიდან და ჭერამიდან ავტორს გასავრცელებლად რეკომენდირებული აქვს: აღჯანაბადი, ალიპრიალა, შირაზული, შალახი, წითელი პარტიზანი; ბალი მაისისა სადრეო, ქართული შავი, დროგანა ყვითელი, ნაპოლეონი ვარდისფერი და ფრანგისი, ხოლო ალუბლიდან — ქართული ალუბალი, პოდსელსკი, შპანკა მსხვილი და ინგლისური საადრეო.

ცხადია, ცალკეული დასახელებულ ჯიშთა გავრცელება — დანერგვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ცალკეული მიკრორაიონის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები.

მართალია, ქლუხორის რაიონში ეზი ახლა იკიდებს ფეხს, მაგრამ შეიძლება გადაწყვეტით ითქვას, რომ რაიონის რიგ მიკროუბნებში, სათანადო აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარების პირობებში, ვაზის კულტურის დანერ-

1 ა. ბუჩუკური. ხეხილის ბაღების გაშენება და მოვლა. სახელგამი, თბილისი. 1948 წ., გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვა შესაძლებელია, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ახალშენის კოლმეურნეობის მიერ გაშენებული ვენახი, სადაც ვაზი საკმაოდ ძლიერ არის გან-



ნახ. 9. ხეხილის ნარგავების განაწილება (ძირობით) ხეხილის სახეობის მიხედვით

ვითარებული და ტანაყრილი და წესიერი მოვლის პირობებში იმედია ნაყოფსაც საკმაოდ გამოიღებს.

7. ბოსტნეულ-ბაზჩეულ კულტურათა და კარტოფილის განლაგება

რაიონში ბოსტნეულ-ბაზჩეული კულტურები სწრაფად ვრცელდება; მათი გავრცელება მებაღეობასთან ერთად, დიდი სამამულო ომის წინა წლებში დაიწყეს. გარდა საკუთარი კოლმეურნეობრივი მოხმარებისა, ბოსტნეულზე მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება ქალაქ ქლუხორის მოსახლეობისა და კურორტ თებერდის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმართულებით. ახლო მომავალში რაიონში მიღებულმა ბოსტნეულის სასაქონლო პროდუქციამ მთლიანად უნდა დაკმაყოფილოს ამ მხარის მოთხოვნილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნეულიდან მოჰყავთ: კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, ხახვი, პამიდორი, კტრი, გოგრა და სხვა. ამ კულტურათა განვითარებისათვის საჭირო ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები საკმაოდ ოპტიმალურია.

სადღეისოდ აქ მოსული ბოსტნეული ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოა. იგი რაიონის მოთხოვნილებას სრულად ვერ აკმაყოფილებს. ახლო მომავალში ქალაქ ქლუხორისა და კურორტ თებერდასთან ახლოს მდებარე კოლმეურნეობებმა ისე უნდა გაშალონ მეშაობა, რომ საკოლმეურნეო ბოსტნეულის ნათესებს (კარტოფილთან ერთად) მთლიანად სასაქონლო ხასიათი მიეცეს, ხოლო თვითეულ კოლმეურნეს საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე უნდა მოჰყავდეს პირადი მოხმარებისა და ნაწილობრივ პირუტყვის გამოსაკვებად საჭირო ბოსტნეულ-ბახჩეული და კარტოფილი.

ბაღ-ბოსტნეულის საქონლიანობით რაიონში პირველ ადგილზეა სოფელ ახალშენის კოლმეურნეობა, რომელმაც ჯერ კიდევ 1947 წ. ამ კულტურებიდან 100 ათას მანეთამდე ფულადი შემოსავალი მიიღო.

როგორც ცნობილია, ზაფხულის პერიოდში, დაწყებული ივნისიდან, განსაკუთრებით ივლის-აგვისტოში, თებერდის ნაკრძალს, — სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მყოფთა გარდა, — ათასობით მნახველი ჰყავს ტურიზმის, ალპინიზმისა და სხვადასხვა სპორტული საზოგადოების სახით. ამ კონტინგენტის ყოველმხრივი მომსახურება მოითხოვს, რომ ამ პერიოდში ხილთან ერთად ისინი ახალი ბოსტნეულითაც შეუფერხებლად მარაგდებოდნენ; მეორე მხრივ, ცალკეულ კოლმეურნეობათა მიერ ზემოადნიშნული სოფლის მეურნეობის პროდუქტების საქონლიანობის ზრდა საგრძნობლად მაღლა ასწევს კოლმეურნეობის და ამდენად კოლმეურნეთა ფულად შემოსავალსაც და შეძლებული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცევა.

ბოსტნეულთან შედარებით უფრო უკეთესი პირობები გვაქვს კარტოფილის კულტურის დარგში. როგორც ცნობილია, კარტოფილი მაღალმოსავლიანი ზონის მიწათმოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი კულტურაა და უხვ მოსავალსაც იძლევა. კარტოფილის ნათესების ფართობის სათანადო გაზრდით და საარაინოლაშორისო მიმოსვლის გაუმჯობესებით ახლო მომავალში ქლუხორის რაიონი გადაიქცევა საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და კარტოფილის სამრეწველო გადამუშავებისა, ამ პროდუქტით მოამარაგებს აგრეთვე აფხაზეთის ჯგუფის კურორტებს.

აღსანიშნავია, რომ რაიონში კარტოფილის საშუალო მოსავალი 1947 წელს 1945 წელთან შედარებით ორ-ნახევარჯერ გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ კარტოფილის სუფთა ნათესი (ჯიშობრივი) არა გვაქვს. სადღეისო ძირითადი გავრცელებული ჯიში არის ეოლტმანი, მცირედ შენარევის სახით გვხვდება ლორხი. კარგად გაიხარა რაჭიდან გადმოტანილმა თეთრმა კარტოფილმა (ადრეული ჯიში), რომელიც ადგილობრივ წითელ საგვიანო კარტოფილთან შედარებით უკეთეს მოსავალს იძლევა.

ამნაირად. სულ სამ-ოთხ წლის განმავლობაში ქლუხორის რაიონის სოფლის მეურნეობა მტკიცე აღმავლობის გზას დაადგა. რაიონში ყოველწლიურად ეზრდება პირუტყვის სულადობა და მისი საქონლიანობა. ახლო მომავალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქლუბორის მეცხოველეობის პროდუქტებს რესპუბლიკური მნიშვნელობა ექნება. ასეთივე მნიშვნელობის იქნება კარტოფილის კულტურა.

რაიონში განუწყვეტლივ იზრდება მარცვლეულის ნათესი, რომელმაც მალე აღგილობრივი მოთხოვნილება მთლიანად უნდა დაკმაყოფილოს; იზრდება აგრეთვე ხეხილის ნარგავები და ბოსტნეულის ნათესი, რომელიც საუკეთესო ბაზა იქნება ქალაქ ქლუბორისა და კურორტ თებერდის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამრიგად, ეს რაიონი საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთობლიობაში სამთო მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ტიპობრივ რაიონად იქცევა.

8. პერსპექტივები

რაიონის სოფლის მეურნეობის რაციონალურად მოწყობისა და განვითარების მიზნით საჭიროა სათანადო კვლევა-ძიება ჩატარდეს როგორც მემინდვრეობის, ისე მეცხოველეობის დარგში. კერძოდ მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს, როგორც რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგის, შემდგომი განვითარებისათვის პირველ რიგში საჭიროა: შესწავლილ იქნეს რაიონში მეცხვარეობის განვითარების პრობლემა, საკვები ბაზა და ახლო მომავლის რეალური შესაძლებლობანი; ჩამოყალიბდეს მეცხვარეობის მძლავრი საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც მომავალში ნაწილობრივ მომთაბარე ხასიათი ექნება. გამოზამთრებისათვის ცხვრის ნაწილი გარეკილი იქნება ჩრდილოეთ კავკასიაში; ამასთანავე, თითოეულმა კოლმეურნეობამ მეცხოველეობის ფერმის მოწყობით უნდა იყოლიოს ცხვართა გარკვეული სულადობა;

პირუტყვის საერთო ჯიშობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა რაიონში დიდი რაოდენობით შემოყვანილი იქნეს წმინდა ჯიშის მშარმოებლები;

ქლუბორის გადასავლელზე საავტომობილო გზის აღდგენამ და საცალფენო გზების კეთილმოწყობამ აფხაზეთსა და სამეგრელოს შესაძლებლობა უნდა მისცეს, რომ მათი პირუტყვის საგრძნობი რაოდენობა საზაფხულო საძოვრებად იყენებდეს ქლუბორის რაიონის ტერიტორიას, რაც თავის მხრივ კარგ ეფექტს მოგვცემს იქაური სუბტროპიკული რაიონების მიწების უფრო მაღალხარისხოვანი გამოყენებისათვის;

აქაური საძოვარ-საბალახოების შემდგომი ათვისებისათვის სასურველია ქვემო ქართლში მოწყობილი ყარაიისა და მუხროვანის მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობები გადმოტანილ იქნეს ქლუბორში;

კოლმეურნეობებში უნდა მოეწყოს საფუტკრეები.

მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ი ს, კ ე რ ძ ო ვ ე მ ე მ ი ნ დ ვ რ ე ო ბ ი ს, შემდგომი განვითარების ამოცანაა რაიონის მოთხოვნილების ძირითადად საკუთარი მარცვლეულით დაკმაყოფილება. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა: ახალყანისა და მარის ხეობის მასივების უპირატესად მარცვლეულითა და ნაწილობრივ კარტოფილისათვის მთლიანად ათვისება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა სოფლის ახლო მდებარე სარწყავი მიწები, ახლა სათიბებად გამოყენებული ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებთან შეფარდებით სხვა კულტურებს დაეთმოს (მარცვლეულს, ბოსტნეულს, ხეხილს და სხვ.);

სოფლების (პირველ რიგში ყუბანის ხეობის) საკარმიდამო ნაკვეთების სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის გამოყენება;

მიჩურინ-ლისენკოს ყინვაგამძლე და საერთოდ რაიონის კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებთან შეგუებული კულტურების მასობრივი გავრცელება.

მეხილეობის შემდგომი განვითარებისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს:

ა) თებერდის ნაკრძალთან მძლავრი სანერგის ორგანიზაცია;

ბ) მიჩურინისებური ჯიშის ხეხილისა და კენკროვანთა შემდგომი გავრცელება;

გ) ტყის ხეხილზე კულტურული ჯიშების დამყნობის შემოღება და ნარგავების რაოდენობის გაზრდა;

დ) მეხილეობა-მევენახეობის მცოდნე კადრების მოწვევა საქართველოს სსრ შიდა რაიონებიდან.

ქალაქ ქლუხორის მოსახლეობისა და თებერდის კურორტზე სამკურნალოდ ჩამოსულთა ზამთრის პერიოდში ახალი ბოსტნეულით შეუფერხებელი მომარაგებისათვის საჭიროა სათანადოდ გაიშალოს საკოლმეურნეო-სასათბურო მეურნეობათა მოწყობა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები.
2. გაზეთ „განთიადის“ 1946—48 წლების ნომრები.
3. Курорт Теберда. Схема организации территории района. Текстовая часть. ч. 1. Москва, 1941 (ფონდ Курупра теберды).
4. А. Малышев. Опыт продвижения сельскохозяйственных культур в высокогорные зоны Карачая, 1939 (ფონდ ТГЗ).
5. П. Н. Раждаев. Основные черты организации крестьянского хозяйства на Северном Кавказе, Ростов-Дон, 1925 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ზარდალიშვილი

თეგერდის სახელმწიფო ნაკრძალი და ტყის მეურნეობა

1. თეგერდის სახელმწიფო ნაკრძალი

თეგერდის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებზე, ქლუხორის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ნაკრძალი შექმნილია 1936 წელს, ხოლო 1944 წლის იანვარში გადაეცა საქართველოს სსრ ნაკრძალთა მთავარ სამმართველოს.

ნაკრძალის საზღვრებს წარმოადგენს ჩრდილოეთით მდინარე ჯამბათი ეჩჩიკის გადასასვლელიდან მდ. თეგერდის შესართავამდე და მდ. მუხუ ამავე სახელწოდების გადასასვლელიდან მდ. თეგერდის შესართავამდე; აღმოსავლეთით დაუთის წყალგამყოფი ქედი — ეჩჩიკის გადასასვლელიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე, სამხრეთით — საკუთრივ კავკასიონის მთავარი ქედის თხემი და დასავლეთით აქსაუთის წყალგამყოფი ქედი მუხუს გადასასვლელიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე.

ნაკრძალის დადებითი მხარეებია ტყის სიუხვე და ხელსაყრელი კლიმატური პირობები, მნიშვნელოვანი საკურორტო ცენტრის თეგერდის არსებობა, მისი შედარებითი უზრუნველყოფა სამიმოსვლო და საცალფეხო გზებით და სხვასთი ლირსშესანიშნავი თვისებების გამო თეგერდის სახელმწიფო ნაკრძალი ბუნებრივ-ისტორიულად შექმნილ მუზეუმს წარმოადგენს, რომელსაც უდიდესი სამეცნიერო-პრაქტიკული და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ნაკრძალის მთავარი დანიშნულებაა: ა) პირველყოფილი ბუნებრივი პირობების შესწავლა მასზე ადამიანის ზეგავლენამდე (თუმცა თავისი მაღალმთიანი მდებარეობისა და რელიეფის ძლიერი დასერილობის გამო ადამიანის ზეგავლენა შედარებით ნაკლებად ეტყობა, აქ მხოლოდ ერთი დასახლებული პუნქტია კურ. თეგერდა, რომელიც ცალკე ზონადაა გამოყოფილი ნაკრძალის ტერიტორიიდან, და ტურისტული ბანაკი დომბაი); ბ) ბუნებრივ საწარმოო რესურსთა დაცვა-აღრიცხვა და მათი რაციონალური გამოყენება (ტყე, მდინარეები...); გ) არსებული და ახლად შექმნილი ბიოცენოზების (მცენარეულისა და ცხოველების) დაცვა-გამრავლება ფართო აკლიმატიზაციისა და რეაკლიმატიზაციის შესაძლებლობათა სა ფ-ძველზე, რაც ნაკრძალის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობას შეადგენს, აგრეთვე ენდემური და იშვიათი სახის ცხოველებისა და მცენარეთა დაცვა მოსპობა გადაშენებისაგან; დ) კულტურულ მცენარეთა ვერტიკალური გავრცელების სიმაღლის დადგენა და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკრძალის საერთო ფართობი 69,5 ათას ჰექტარს უდრის, რაც მთელი ქლუხორის რაიონის დაახლოებით ერთ მეხუთედს შეადგენს (19,7%). საკმარისია აღინიშნოს, რომ თავისი ფართობით თებერდის სახელმწიფო ნაკრძალი ყველაზე დიდია საქართველოს 23 ნაკრძალს შორის.

სავარგულების მიხედვით ფართობი შემდეგნაირად ნაწილდება:

კლდე — ყინვარი	— 40,596	ჰა,	ანუ 58,7%
ტყე — ბუჩქნარი	— 16,639	„	23,9%[1]
მდელო — საძოვარი	— 11,457	„	16,4%
ტბა — მდინარე	— 387	„	0,34%
საკარმიდამო	— 471	„	0,66%

ამრიგად ფართობის ნახევარზე მეტი კლდეებსა და განსაკუთრებით ყინვარებს უკავია და ეს გასაგებიც არის, რადგანაც კავკასიონის მთავარ ქედზე, რომელიც ნაკრძალის სამხრეთ საზღვარს წარმოადგენს, თავმოყრილია ყინვარების დიდი მასა.



ნახ. 1. თებერდის სახელმწიფო ნაკრძალის მიწის ფონდი სავარგულების მიხედვით (%%-ით)

ნაკრძალის რელიეფისათვის დამახასიათებელია ძლიერი დასერილობა, ღრმა ტროგისებური ხეობების არსებობა — ცირკებისა და კარების განვითარებით ფერდობებზე, ორი მთავარი — ყუბანისა და თებერდის — ხეობის მერიდიონალური მიმართულება, რომელთაც გარდიგარდმო ჰკვეთენ უფრო მცირე, კანონისებური ხეობები; რელიეფის თანდათანობითი დაქანება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ე. ი. კავკასიონის მთავარი ქედიდან ყუბანის დაბლობისაკენ, და გამყინვარების ძლიერი კვალის არსებობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნაკრძალის ტერიტორიაზე (კავკასიონის მთავარ ქედზე) თავმოყრილია 86 ყინვარი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიცაა ალიბეკის (ფართობი 1720 ჰა), ამანაუსის (1302 ჰა), დომბაი-ულგენისა (1000 ჰა) და სხვა, რომლებიც სათავეს აძლევენ მდინარეებს.

[1] ნაკრძალის ტყეთ დაფარული ფართობი 22 ათას ჰექტარს აღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ ნაკრძალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თავისებურებაა **სიმაღლეთი** მდებარეობა. საკმარისია **აღინიშნოს**, რომ მისი უმდაბლესი წერტილის სიმაღლე ზღ. დ. 1260 მეტრს უდრის (მდ. ჯამაათის შესართავი მდ. **თებერდასთან**), უმაღლესი კი 4048 მ. (მწვერვალი დომბაი-ულგენი). ამრიგად, განსხვავება **უმდაბლეს** და **უმაღლეს** ადგილს შორის 2788 მეტრს უდრის. ნაკრძალიოსთებელია ის გარემოებაც, რომ ფართობის ორი მეხუთედი 40,5% 2000 მეტრის ზევით მდებარეობს.

თებერდის ნაკრძალის ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია წაღილისეული სამდიდრენი და მინერალური წყლები, კლიმატი და საკურორტო ადგილები, მდინარეები და საძოვრები, მეცნარეული საფარი და ცხოველთა სამყარო.

ნაკრძალის ტერიტორიის წაღილისეული ჯერ კიდევ სუსტადაა შესწავლილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოვლინებულია რიგი მთამადნეული, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. მცირე ხეობებში მრავლადაა წარმოდგენილი პიროტური წვრილმარც�eლოვანი გრანიტები, რომლებშიც გვხვდება მინდვრის ქარსი, კვარცი და მუსკოვიტი. აღმოჩენილია აგრეთვე რიგი ძვირფასი ლითონები, რომელთა ექსპლოატაცია მეტად გაძნელებული იქნება უგზოობის გამო. ყველაზე მნიშვნელოვანია მარმარილოს საბადო კურორტ თებერდის **მახლობლად** (ჯამაათის ხეობაში), **რომელიც** კარგ საშენ **მასალას** წარმოადგენს მთელი რაიონისა და კურორტ თებერდის მომავალი კეთილმოწყობისათვის.

მნიშვნელოვანი ბუნებრივი **რესურსია** კლიმატი, **რომელიც**, **გეოგრაფიულ** მდებარეობასა და **მცენარეულ საფართან** ერთად, **საფუძველს უქმნის** კურორტების **არსებობასა** და **ტურიზმის** განვითარებას. ნაკრძალის **კლიმატი** ტიპობრივი **მაღალმთიანი** კლიმატის **ჯგუფს** მიეკუთვნება, თუმცა ნაწილობრივ, ჩრდილოეთიდან, განიცდის **ტყე-სტეპის** უფრო **მშრალი** **კლიმატის** **გავლენას**. **რელიეფის** **ძლიერი** **დასერილობის** **გამო** **კარგადაა** **გამოხატული** **კლიმატური** **ზონალობაც**. ტყის **გავრცელების** **ზონაში** **დამახასიათებელია** **დასავლეთ** **ევროპის** ტიპის **ზომიერი-ცივი** ტყის **კლიმატი**, **სადაც** **წარმატებით** **შეიძლება** **მაღალმთიანი** **მიწათმოქმედების** **განვითარება**, **უფრო** **ზევით** **კი** **იწყება** **ცივი** **და** **შემდეგ** **პოლარული** **ტიპის** **კლიმატი**.

ნალექების **განაწილება** **ნაკრძალის** **ტერიტორიაზე** **გარკვეულ** **კანონზომიერებას** ემორჩილება. კურ. **თებერდიდან** (719 მმ.) **ნალექების** **რაოდენობა** **სამხრეთისაკენ** **თანდათან** **მატულობს** **და** **დომბაის** **ტაფობსა** (1349 მმ.) **და** **კავკასიონის** **მთავარ** **ქედზე** (3000 მმ.) **მაქსიმუმს** **აღწევს**.

ნაკრძალის **ჩრდილო** **ნაწილის** **კლიმატი** **უფრო** **თბილი** **და** **ზომიერია**, **ვიდრე** **სამხრეთ** **ნაწილისა**, **ამიტომ** **ჩრდილო** **ნაწილის** (**კურორტ** **თებერდის** **ზონა**) **მუხუსა** **და** **ჯამაათის** **ხეობების** — **დამახასიათებელია** **ნალექების** **საკმაო** **რაოდენობა** **და** **მათი** **თანაბარი** **განაწილება** **გაზაფხულ-ზაფხულსა** **და** **შემოდგომაზე**, — **ზამთარი** **არა** **ძლიერ** **ცივი** **და** **საკმაოდ** **თბილი** **ზაფხულით**, **მზიან** **დღეთა** **სიმრავლე**, **ძლიერი** **ქარების** **არ** **არსებობა** (**გარდა** **ფიონებისა**), **რაც** **მეტად** **ხელსაყრელ** **პირობებს** **ქმნის** **საკურორტო** **მშენებლობისათვის**, **ერთიმხრივ**, **და** **მაღალმთიანი** **მიწათმოქმედების** **განვითარებისათვის**, **მეორემხრივ**. **ამ** **უკანას-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კურორტ თებერდის, ტურისტული ბანაკის დომბაისა და მწყემსების ბინების ბოსტნეულითა და ხილეულით მომარაგებისათვის.

თებერდის სახელმწიფო ნაკრძალთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება დიდ სამუშაოს ატარებს კულტურულ მცენარეთა ვერტიკალურად გავრცელების საქმეში, არა მარტო ნაკრძალის, არამედ მთელი ქლუხორის რაიონის მასშტაბით. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩატარებული ცდებით დამტკიცდა, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების ოპტიმალური სიმაღლე 1900 — 2000 მეტრამდე აღწევს, განსაკუთრებით ხეობათა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე, რომელთათვისაც დამახასიათებელია მზის მეტი რადიაცია და სითბოს არსებობა (დაქანებით არა უმეტეს 20 გრადუსისა).

ორი ათას მეტრ სიმაღლემდე კარგად ხარობს მარწყვი, მ. შ. მიჩურინისეული ჯიშები „კომსომოლკა“, „ბისოვკა“ და „კორაიკა“, აგრეთვე კარტოფილი, რომელიც უფრო ზევითაც ადის. კურორტის ზონისა და მუხეს ხეობაში კარგად ხარობს სიცივის გამძლე ალუბალი, ბალი, ჭერამი, ვაშლი, ხურტკმელი, ბოსტნეული (კომპოსტო, ბოლოკი, ხახვი, სტაფილო, კიტრი და სხვ.), მარცვლეული (ქერი, უგრეხელი, ფეტვი) 1300 — 1400 მეტრ სიმაღლეს არ სცილდება. ჩატარებული ცდები ადასტურებს, რომ ნაკრძალისა და მთელი ქლუხორის რაიონში სავსებით შესაძლებელია მაღალმთიანი მიწათმოქმედების არსებობა-განვითარება, რასაც ნათლად ადასტურებს მაღალმთიანი ზონის კულტურულ მცენარეთა დემონსტრირება მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ნაკრძალის ბუნებრივ საწარმოო რესურსთაგან ყველაზე ძლიერაა წარმოდგენილი საძოვრები და ტყის მასივები. პირველის ფართობი მეტად მნიშვნელოვანია (11,5 ათ. ჰა) და ძირითად საკვებ ბაზას წარმოადგენს ცხოველებისათვის. თებერდის ნაკრძალის სამეცნიერო დაწესებულების გამოანგარიშებით თითოეულ ჰექტარზე 30 — 40 ცენტნერ მწვანე ბალახს ღებულობენ და საძოვართა მთელ ფართობზე წლიურად შეიძლება დამზადდეს 150 ათას ცენტნერამდე მწვანე ბალახი, რაც სავსებით საკმარისი იქნება არა მარტო აკლემატიზებულ ცხოველთა გამოსაკვებად ზამთარში, არამედ შესაძლებელია გამოიკვებოს შინაური პირუტყვის საკმაო რაოდენობაც. საძოვარ-მდელოები სამი ათასი მეტრის სიმაღლემდე ვრცელდება, განსაკუთრებით ალპურ ზონაში, ტყის ზონაში კი საძოვრები მცირე ფართობის მდელოების სახით გვხვდება.

თებერდის ნაკრძალის მცენარეული საფარი შედის გეობოტანიკურ პროვინციაში, რომელსაც აკად. გ რ ო ს ჰ ე ი მ ი „კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო კალთებს“ უწოდებს და ნაკრძალს ამ უკანასკნელის ფართობის თითქმის მეათედი უჭირავს (11 %), ნაკრძალის ტერიტორიაზე გამოვლენებულია 1000-1100-მდე სახის მცენარეული, რაც მთელი გეობოტანიკური პროვინციის სახეობათა სამ მეხუთედს შეადგენს (59%), მ. შ. ენდემებისა და ნახევარენდემების რიცხვი 350-მდე აღწევს. კოლხეთის ფლორა სუსტადაა წარმოდგენილი, მათ შორის აღსანიშნავია მცირე რაოდენობით კავკასიის სოჩი, აღმოსავლეთის ნაძვი, ურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხმელი, ლამაზი ნეკერჩხალი, კავკასიის მოცვი და იშვიათად წყავი. ამასთანავე გვხვდება სტეპის ფლორის წარმომადგენლებიც, რადგანაც ქალაქ ჩერქესკიდან დაწყებული ორი მთავარი ხეობის—ყუბანისა და თებერდის ხეობის—მიმართულებით ძირითად ფიტოლანდშაფტთა ცვალებადობასთან დაკავშირებით, სტეპისა და ტყე-სტეპის სივრცეები მაღლამთიანი ტყეებით იცვლება.

თებერდის ნაკრძალის ტყეებისათვის დამახასიათებელია დიდი სიმაღლითი გავრცელება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ტყეს უკავია არა მარტო ქვედა (ტყის) ზონა, არამედ მთელი სუბალპური ზონაც და მხოლოდ მცირე რაოდენობით იკავება ალპური ზონაში. ტყეების განაწილება სიმაღლითი ზონების მიხედვით შემდეგია (%%-ით).

1260 — 1500 მეტრებით	— 13,5%
1500 — 2000 „	— 46%
2000 — 2500 „	— 40%
2500 და ზევით	— 0,5%

ამრიგად, ტყის მთელი მასივების გავრცელების ზონა ათას მეტრს შუა (1500 — 2500) მერყეობს.

ტყეების ხედს უპირატესად წიწვიანები და უფრო ნაკლებად ფოთლოვანნი გამოხატავენ, როგორცთა შეფარდება შემდეგია:

წიწვიანები	— 63,93%
ფოთლოვანები	— 34,94%
შერეული	— 1,13%

წიწვიანებიდან ჭარბობს სოჭი (3,077 ჰა) და ფიჭვი, ხოლო ნაკლებად წარმოდგენილია ნაძვი; ესენი შესანიშნავ პირობებს ქმნიან საკურორტო მშენებლობისათვის, მათი გავრცელება მეტად თავისებურია. სამხრეთ მიმართულების კალთებზე, განსაკუთრებით კი იქ, სადაც არ არის მიწიისქვეშა წყლები, ხოლო ნალექები საკმაო რაოდენობისაა, წყალი დიდი სისწრაფით ეშვება დაბლა და გარდა იმისა, რომ ხდება ნიადაგის ჩამორეცხვა, მცენარეული საფარი ვერ იყენებს მას, რასაც ადგილი არა აქვს ჩრდილო მიმართულების კალთებზე. სადაც თოვლი ნელა დნება და ნიადაგი დიდი რაოდენობით ისარუტავს წყალს. ამის გამო, ჩრდილო ექსპოზიციის კალთები უფრო სიმშრალისმოყვარული სოჭნარი და სოჭნარ-ნაძვნარითაა დაკავებული, სამხრეთ ექსპოზიციის კალთები კი უფრო სინოტივისმოყვარული ფიჭვნარებით.

წიწვიანებიდან ფართობით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ფიჭვი (2.777 ჰა), რომელიც უპირატესად მდ. თებერდის სანაპიროებიდან ტყის ზედა საზღვრამდე ეროვნდება სხვადასხვა ექსპოზიციის ხეობებში, ტერასებზე, ციცაბო კალთებზე. გამოტანის კონუსებზე. კავკასიონის მთავარი ქედის მიმართულებით მას სცვლის სოჭნარი — ძირითადად დომბაის ტაფობსა და განაჩხირის ხეობაში, სადაც სოჭნართა მასივები ასი ჰექტარობით გვხვდება სოჭნარ-ფიჭვნარი შესანიშნავ საანძო მასალას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის გემთმშენებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიწვიანთა მესამე წარმომადგენელია ნაძვი, რომელიც ძირითადად სოჭნარებსა და არყნართან გვხვდება, მცირე მასივებია მდინარეების ამანაულისა და განაჩხირის შეერთების ადგილას, ნაწილობრივ ბადუკისა და ალიბეკის ხეობებში.

წიწვიანებთან შედარებით ფოთლოვანი ჯიშები, ნაკლები რაოდენობითია წარმოდგენილი და მათი საერთო ხვედრითი წონა ერთ მესამედს უდრის. მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია არყი, რომელსაც მთელი ტყის ფართობის 22,3%, ხოლო ფოთლოვანებს 64 პროცენტი უჭირავს. არყი სამი სახისა გვხვდება — ბუმბულოვანი არყი, მეჭეჭოვანი არყი და უფრო იშვიათად რადეს არყი. ბუმბულოვანი არყი ტყის ზედა საზღვრამდე აღწევს, მდინარე ამანაულისა და მდინარე ქლუხორის სათავეებში, უპირატესად ბუჩქნარების სახით, მეჭეჭოვანი არყი კი სხვა ჯიშებთან შერევით (უფრო ხშირად დეკასთან) დაბლობ ადგილებში გვხვდება.



ნახ. 2. თებერდის სახელმწ. ნაკრძალის ტყის შემადგენლობა (%%-ით)

ფოთლოვანი ჯიშებიდან თავისი მნიშვნელობით ყველას სჯობია წიფელა, თუმცა მისი ფართობი ერთობ მცირეა (775 ჰა); მთავარი მასივებია თებერდის ხეობაში — სოხუმის სამხედრო გზის გასწვრივ — მცირე ხატიპარადან დომბაის ტაფობამდე, უფრო მეტად სანაპირო ტერასებსა და დამრეც კალთებზე. ზოგიერთ ხეობაში წიფელა ტყის ზედა საზღვარს აღწევს, თუმცა დაბალტანიანების სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთლოვანებიდან არყისა და წიფლის შემდეგ აღსანიშნავია ევრხვი და ნეკერჩხალი, მცირე რაოდენობით თხმელი (ნაცრისფერი და შავი), მუხა (უპირატესად მუხუს ხეობაში), ურთხმელი, თელა და სხვ. სულ ფოთლოვანი ჯიშების რაოდენობა 94 აღწევს, მათგან 34 ხეა, დანარჩენი კი ბუჩქნარი.

ნაკრძალის ტყეებს ნიადაგდაცვითი და საკურორტო მნიშვნელობის გარდა სხვა გამოყენებაც აქვს — ეს არის ხე-ტყის დამზადება (თუმცა მეტად უმნიშვნელო რაოდენობით, ისიც სპეციალურად განკუთვნილ ადგილებზე).

ბუჩქნარებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია თხილი და ცხრატყავა, დაბალტანიანი ტირიფი, დეკა, რომელიც მაღალმთიან ზონაში ხშირი მასივებითაა წარმოდგენილი, აგრეთვე ღვია. დეკას ჩრდილო ექსპოზიციის კალთები უკავია, ღვიას კი სამხრეთ კალთები, რაც მათი ბიოლოგიური თვისებებითაა გამოწვეული. ყურადღების ღირსია კაზაკური ღვია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამთო მელიორაციული სამუშაოებისათვის.

დასასრულს, ნაკრძალის ერთ-ერთ მთავარ სიმდიდრეს, ტყის მასივებთან ერთად, მისი ცხოველთა სამყარო შეადგენს, თუმცა ეს უკანასკნელი მთლიანად არ გამოხატავს კავკასიის მრავალფეროვანი ფაუნის სახეს. ვ. კნიაზევის მიხედვით ნაკრძალში 1946 — 47 წლებში აღრიცხული იყო 31 სახის ძუძუმწოვარი, 7 სახის რეპტილია, 5 სახის ამფიბია, 17 სახის ფრთოსანი და სხვ., მაგრამ მათი რაოდენობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვთ. გავრცელებულია აგრეთვე არჩვი, ფსიტი, წავი, გარეული კატა, სინდიოფალა, მელა, მგელი, დათვი, ჯიხვი, გარეული ღორი და ტყის კვერნა. სამი უკანასკნელი სახეობა თავისი მნიშვნელობითა და რაოდენობით ყურადღების ღირსია. ჯიხვი (ან სევერცოვის ჯიხვი — Capra Severtcovi, m.) სუბალპურ და ალპურ ზონებშია, ძნელად მისასვლელ ადგილებში ბინადრობს, რითაც აიხსნება მათზე ნადირობის სიძნელე. გარეული ღორი მრავლადაა ნაკრძალისა და ქლეხორის ოლქის მთელ ტერიტორიაზე და დიდ ზიანს აყენებს ნათესებსა და მეურნეობას. მე-19 ს. დამლევს, ინტენსიური ნადირობის გამო, გარეული ღორის რაოდენობა დიდად შემცირდა, შემდგომ კი, განსაკუთრებით სამამულო ომის წლებში, მათი რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და დღეს იგი მონადირეობის ერთ-ერთი მთავარი საგანია.

გარეულ ნადირთა შორის ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება ტყის კვერნა, რომელიც დიდად გამრავდება ალტაის ცოცვისათვის საკვები ბაზის შექმნასა და გაფართოების გამო. ამავე დროს ტყის კვერნა ანადგურებს საუკეთესო ქურქის მქონე ცოცვს, თუმცა, როგორც ცნობილია, ტყის კვერნის ქურქი რამდენიმეჯერ უკეთესი და ძვირფასია ცოცვის ქურქზე. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ცოცვის გავრცელების არეალი მეტად დიდია, ტყის კვერნის მიერ ცოცვის განადგურება დიდად ვერ შეამცირებს ამ უკანასკნელის რაოდენობას და, მაშასადამე, ვერ დაუკარგავს მას სამრეწველო მნიშვნელობას. ამრიგად, ნაკრძალი გეველინება როგორც ძვირფასი ქურქის მქონე ტყის კვერნისა და ცოცვის გამრავლება-გავრცელების მნიშვნელოვანი ბაზა მთელს საქართველოში.

ნაკრძალის ტერიტორიაზე 1870 წლამდე გვხვდებოდა ზუბრი (დომბა), კავკასიის კეთილშობილი ირემი კი მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში მოისპო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამჟამადაც ირემი ხშირად გადმოდის ნაკრძალის ტერიტორიაზე შეზობელი აფხაზეთის ტერიტორიიდან, სადაც ჯერ კიდევ შერჩა კავკასიის კეთილშობილი ირმის ჯოგები. ირმისა და ზუბრის არსებობას ნაკრძალის ტერიტორიაზე ასაბუთებს არა მარტო ადრინდელი ლიტერატურული წყაროები, არამედ დღემდე შერჩენილი გეოგრაფიული სახელწოდებებიც. მაგ. ტურისტულ-ალპინისტური ბანაკის დომბაის სახელი ჩერქეზულ (ადიღეურ) ენაზე „ზუბრს“ ნიშნავს (ანუ დომბას), ხოლო უმაღლესი წვეტიანელის დომბაი-ულგენის სახელწოდება — (ადგილს სადაც) „მოკლული (იქნა) ზუბრი“[1]. ამავე ერთი ერთი ხეობის სახელწოდება „ბუ-ულგენი“ კი (ადგილს სადაც) „მოკლული (იქნა) ირემი“. ხატიპარას მთას რუსები უწოდებენ „Оленья балка“, რაც „ირმის ხევს“ ნიშნავს.

ამრიგად, თებერდის ნაკრძალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გადაშენების გზაზე დამდგარ ცხოველთა მომრავლება, ეოთი მხრივ, ხოლო ახალი სახის სასარგებლო ცხოველთა აკლიმატიზაცია — მეორე მხრივ. ამ მიმართულებით ნაკრძალის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ნაყოფიერ მუშაობას ატარებს უსურის ენოტისებური ძაღლის, ალტაის ციყვისა და ხალიანი ირმების აკლიმატიზაცია-მომრავლების დარგში.

უსურის ენოტისებური ძაღლი (Nictereutes procionoides grau) სიდიდით მაზრდილ მელას წაგავს და შესანიშნავი მოშავო ქურქის მქონეა. თებერდის ნაკრძალში პირველად გაშვებულ იქნა 1934 — 1935 წლებში 130 ცალის რაოდენობით, რომელიც სოჩოვის მონადირეობის საბჭოთა მეურნეობიდან მოიყვანეს (ვორონეჟის ოლქი). პირველსავე წლებში ენოტისებური ძაღლი სწრაფად გავრცელდა ტყის ზონაში და ნაწილობრივ სუბალპურ და ალპურ ზონაშიც ადიოდა. უკანასკნელ წლებში მისი რაოდენობა დიდად შემცირდა და მას სამეცნიერო მნიშვნელობა ჯერჯერობით არა აქვს. ენოტისებური ძაღლის მთავარი მტერია მგელი და შინაური ძაღლი. გარდა ამისა, სამამულო ომის პერიოდში სოხუმის სამხედრო გზის მშენებლობა სწორედ მათი მოთავარი თავმოყრის ადგილებში წარმოებდა, რის გამოც მათი დიდი რაოდენობა დაფრთხა და ნაკრძალის გარე ტერიტორიაზე გაიფანტა.

აკლიმატიზებული ცხოველებიდან ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ალტაის ციყვს (sciurus vulgaris altaicus). ცნობილია, რომ თავისი ფაროო გავრცელების გამო ალტაის ციყვს შემოსავლიანობით პირველი ადგილი უჭავია საბჭოთა კავშირის ბეწვეულის სარეწში. მთელს კავკასიაში გავრცელებულია მხოლოდ მცირე აზიის ციყვის (sciurus persicus anomalis), რომლის ბეწვი მეტად დაბალი ხარისხისაა და მას თითქმის არავითარი სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს.

1937 წელს თებერდის ნაკრძალში გაშვებულ იქნა ალტაის ციყვის პირველი პარტია (134 ცალი), რაც ციყვის აკლიმატიზაციის პირველ ცდად ითვლება მთელს საბჭოთა კავშირში. ცდამ ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა. ალტაის ციყვმა, საუკეთესო ბუნებრივი პირობებისა და მდიდარი საკვები ბა-

[1] საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონით „დომბა კამეჩს ჰგავს“ (ოთხფ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის არსებობის გამო, სწრაფად იწყო გავრცელება და უკვე ორიოდე წლის შემდეგ მისი გავრცელების არეალი ნაკრძალის ტერიტორიას გასცილდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ციყვი დიდი რაოდენობით გვხვდება არა მარტო მთელ ქლუხორის რაიონში (თებერდისა და ყუბანის ხეობებში), არამედ აქსაუთის ხეობაში, ჩერქესკის მიდამოებში და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზედაც, უპირატესად ძაძვნარ-ფიჭვნარში; მისი სიმაღლითი გავრცელება 2300 მეტრს, ე. ი. ტყის ზედა საზღვარს, არ სცილდება.

ნაკრძალსა და მთელს რაიონში საუკეთესო ქერქის მქონე ალტაის ციყვის აკლიმატიზაცია მტკიცე ბაზას შექმნის საქართველოში ბეწვეულის სარეწისათვის. ქლუხორის რაიონში დამზადებული ბეწვეული (დამზადების პერიოდია XI — XII — I — II — III თვეები) ცნობილი იქნება უკვე არა „ალტაის ციყვის“, არამედ „თებერდის ციყვის“ სახელწოდებით, რადგანაც აქ დაიწყო მისი პირველი წარმატებითი აკლიმატიზაცია, გავრცელება და აქ ჰპოვა მან თავისი მეორე სამშობლო.

აკლიმატიზებული ცხოველებიდან მესამეა ხალიანი ირემი. იგი რელიქტური ცხოველია და მისი გავრცელების არეალი მეტად შეზღუდულია (ჩრდილო მანჯურია და კორეა, უსურის მხარე). ხალიანი ირმის რქებისაგან (პანტი) მზადდება ძვირფასი სამკურნალო წამალი — **პანტოკრინი**, რის გამოც მისი გამრავლების საკითხს დიდი ყურადღება მიექცა. ხალიანი ირმის აკლიმატიზაციის ცდები ჩატარდა ალტაის მხარესა და ზაბაიკალიეთში, მაგრამ ეს ირემი ყველაზე კარგად თებერდის სახელმწიფო ნაკრძალის ბუნებას შეეგუა. 1938 წელს ნაკრძალში შორეული აღმოსავლეთის საბჭოთა მეურნეობიდან, „ლენინიხოსა“ და „სიდიმიდან“, მოიყვანეს და გაუშვეს 54 ირემი, რომელიც ძირითადად მდინარე თებერდა ამანაულის მარცხენა მხარეზე გავრცელდა, ე. ი. სოხუმის სამხედრო გზის მოპირდაპირე მხარეზე (დათვის ღელეს, ხატიპარას, ჰაჯიბესა და განაჩიირის ხეობების მიდამოებში).

ხალიანი ირემი, ისევე როგორც ენოტისებური ძაღლი და ალტაის ციყვი, კარგად შეეგუა თებერდის ნაკრძალის პირობებს და სამამულო ომის დაწყებამდე მისმა რაოდენობამ ერთიორად იმატა, მაგრამ სამამულო ომის პერიოდში მკვეთრად შემცირდა მტაცებელი ცხოველების, განსაკუთრებით მგლის, გავრცელების გამო, ძლიერი ბრაკონიერობითა და აგრეთვე ნაწილობრივი მიგრაციით აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ხალიანი ირემი კავკასიის კეთილშობილ ირემს გაჰყვა. 1945/46 წლებში აფხაზეთში შემჩნეული იქნა ხალიანი ირმის მცირე ჯგუფები.

ჯერჯერობით ხალიანი ირმის გავრცელების არეალი იმდენად შეზღუდულია, რომ მას სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მომავალში, შესაძლებელია, თებერდის ნაკრძალი გადაიქცეს ძვირფასი სამკურნალო პრეპარატის პანტოკრინის დამამზადებელ მეორე ბაზად მთელს საბჭოთა კავშირში.

ამრიგად მდიდარი ბუნებრივი საწარმოო რესურსების გამო თებერდის სახელმწიფო ნაკრძალის არსებობა საფუძველი გამამართლებელია როგორც მეცნიერული, ისე სამეურნეო თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრძალის სამეურნეო სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:



ამრიგად, ნაკრძალი გარდა იმისა, რომ საკურორტო და ტურისტულ-ალპინისტური მოძრაობის გავრცელების მნიშვნელოვანი ბაზაა, იგი ახლო მომავალში საქართველოს მისცემს საანძო ხე-ტყეს, მარმარილოს, ბეწვეულს. გარდა ამისა, ნაკრძალი იქნება დამაკავშირებელი რგოლი ქლუხორის რაიონსა და დასავლეთ საქართველოს შორის.

თებერდის ნაკრძალის საგზაო ქსელი მთელ ქლუხორის რაიონის უშუალო ნაწილს წარმოადგენს. მასზე გადის სოხუმის სამხედრო გზა, რომლის სიგრძე კურ. თებერდიდან „ჩრდილო თავშესაფარამდე" („სევერნი პრიუტი") 33 კმ უდრის. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს მეეკუთვნება გზა ტურისტულ ბანაკ დომბაიამდე (22 კმ), მუხუს ხეობაში — ყველის ქარხანამდე (8 კმ) და ჯამაათის ხეობაში — ნარზანის წყლის გამოსავლამდე (6 კმ). ყველაზე მნიშვნელოვანია დომბაის გზა, რომლითაც ზაფხულის თვეებში ხდება ბანაკების მომარაგება და ტურისტთა მოძრაობა, თუმცა, ეს გზა კეთილმოწყობილი არ არის.

დიდი მნიშვნელობა აქვს საცალფეხო გზებსა და ბილიკებს, რომლებითაც სარგებლობენ ტურისტ-ალპინისტები, მწყემსები, დამსვენებლები, ხდება ტყის ხანძრების ჩაქრობა, ხე-ტყის გამოზიდვა, ურთიერთობის დამყარება მეზობელ რაიონებთან და სხვ. გზები საესებით ვერ აკმაყოფილებენ როგორც ალპინიზმ-ტურიზმს, ისე მთელი ნაკრძალის სამეურნეო მოთხოვნილებებს.

გერმანელ ოკუპანტთა მიერ დროებით ოკუპაციამ უდიდესი ზიანი მიაყენა ნაკრძალის მთელ მეურნეობას. დანგრეულ იქნა შენობები, გაზიდულ იქნა სატრანსპორტო მოწყობილობანი, დიდძალი სათბობი და მზა მასალა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. სპეციალური გამომკვლევი კომისიის ცნობით, გერმანელ ოკუპანტთა მიერ ნაკრძალისათვის მთლიანად მიყენებული ზარალი სამ მილიონ მანეთს აღემატება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ნაკრძალთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს მეურნეობის აღდგენისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერებისათვის. დაწესებულებას ჰყავს ათი მეცნიერი მუშაკი, გააჩნია მუზეუმი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, მეტეოროლოგიური სადგური და მოზრდილი ფართობი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ათვისებისათვის ცდების დასაყენებლად მაღალმთიანი ტერიტორიის პირობებში.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია რიგი ღონისძიებები, რომელთა მეოხებით კიდევ უფრო გაუმჯობესდება ნაკრძალის სამეურნეო-მეცნიერული ათვისება-გამოყენების ხარისხი. 1949 — 1950 წლებში სამეცნიერო დაწესებულება მოახდენს ნაკრძალის ტყის ტიპების დადგენას და მდინარე-ტბების შესწავლას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

1946 წლამდე ჩატარებულ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა სისტემატიზაციასა და განზოგადებას, გამოიცემა სამეცნიერო შრომები და გზის მაჩვენებელი, მოეწყობა დენდროლოგიური ბაღი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აკლიმატიზებული ძვირფასი ცხოველების აღრიცხვა-შომრავლების საქმეს (ენოტისებური ძაღლი, თებერდის ციყვი, ხალიანი ირემი).

თებერდის სახელმწიფო ნაკრძალის — „საქართველოს ამ მარგალიტის" — მომავალი სამეცნიერო-სამეურნეო მნიშვნელობის ზრდა განვითარება პირველ რიგში მოითხოვს ქლუხორის გადასასვლელით მიმოსვლის მოგვარებასა და არსებული საგზაო ქსელის კეთილმოწყობას, განსაკუთრებით დომბაის გზისას. აუცილებლად საჭიროა გზის აღრიცხვა, გზის მაჩვენებლის გამოცემა და ნაკრძალის რაიონირება, სადაც განკუთვნილი იქნება ტურისტ — დამსვენებელთათვის სპეციალური მარშრუტები, რათა სასარგებლო ცხოველები არ დაფრთხნენ, გამოიყოს გზის მაჩვენებლები და, რაც მთავარია, აკრძალული ზონები. ტურისტულ ბანაკთან დომბაის რეგულარული კავშირის დამყარების მიზნით აუცილებელ საქიროებას წარმოადგენს პირდაპირი სატელეფონო ხაზის გაყვანა კურორტ თებერდიდან დომბაიმდე.

2. ტყის მეურნეობა

ქლუხორის რაიონის ტყის მასივებს თავისი ფართობითა და ჯიშობრივი შედგენილობით ერთ-ერთი საპატო ადგილი უკავია საქართველოს სამრეწველო მნიშვნელობის ტყის მასივების შორის. საკვირისია აღინიშნოს, რომ მთელი ტყის ფართობი 105 ათას ჰას[1].

რაიონის ტყის შედგენილობაში ჭარბობენ ფოთლოვანნი, წიწვიანებს გაცილებით ნაკლები ფართობი უკავია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხე-ტყის დამზადების მთავარ საგანს წიწვიანები შეადგენენ (სოჭი და ფიჭვი). წიწვიანთა და ბუჩქნართა შეფარდება შემდეგია — 59,6%: 40,4%.

ქლუხორის რაიონის ტყეებს, როგორც მაღალმთიანი რაიონისას, უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მეურნეობისათვის: ნიადაგდაცვითი, საკურორტო და როგორც წყლის რეგულატორი, ხოლო რაც მთავარია, — ტყე ძვირფასია როგორც სათბობი და საშენი მასალის ბაზა. ეს უკანასკნელი საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი დღევანდელ ქლუხორის რაიონში.

ხე-ტყის დამზადება წარმოებს სპეციალურად განკუთვნილ მასივებზე, მათ შორის:

1) ქლუხორის მასივი — მდინარე ჯინგირიკის მიდამოები;

2) თებერდის მასივი — მდინარე მუხუს ხეობა;

3) მადნისხევის მასივი — ჯახკრაჭალასა (ს. მაღაროსთან) და მდ. ხუდესის ხეობები, მთისძირი და მახარა;

4) ყუბანის მასივი.

---

1 საქ. სსრ „აეროფოტო ტყის მომწყობი კანტორის" ცნობით 1948 წელს ქლუხორის რაიონის ტყის ფართობი უდრის 99 ათას ჰექტარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასივებიდან ხე-ტყე საეპაპანო ტრანსპორტით გამოაქვთ გზატკეცილამდე, შემდეგ კი ავტომობილებით ეზიდებიან ხე-ტყის სახერხ ქარხანამდე (ახალშენსა და ქლუხორამდე), აქედან მზა მასალა რკინიგზის სადგურ ჯუგუთათი თბილისისაკენ იგზავნება (ბაქოს მიმართულებით).

ასე, მაგ. თბილისის ხე-ტყის დამამზადებელ კანტორას 1 კუბ. მეტრი მერქნის ადგილზე დამზადება და თბილისამდე გამოზიდვა 239 მან. და 50 კაპ. უჯდება, რაც სვანეთისა და სხვა რაიონებიდან მოტანილი მერქნის ღირებულებაზე გაცილებით მეტია.

ქლუხორის რაიონში ტყის ექსპლოატაცია ჯერ კიდევ მე-19 ს. დამდეგს დაიწყო, სახელდობრ 1889 წელს. მდინარე თებერდით ხე-ტყეს აცურებდნენ ქალაქ ბათალფაშინსკამდე (ჩერქესკი), მაგრამ მისი ინტენსიური ექსპლოატაცია დაიწყო მხოლოდ პირველი ბსოფლიო ომის წინ, სახელდობრ 1911 წელს, როდესაც საეჩორო გახდა დიდაღი ხე-ტყე ნევანომისკ-ბათალფაშინსკს შორის რკინიგზის მშენებლობისათვის, მაგრამ ომის დაწყების გამო დამზადება შეწყდა.

ქლუხორის რაიონის ტყეების გეგმაზომიერი ექსპლოატაცია მხოლოდ 1929 წლიდან იწყება; ხე-ტყის დიდი ნაწილი თებერდის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში იხერხებოდა, ნაწილობრივ კი მდინარე თებერდით აცურებდნენ ჩერქესკამდე.

1932 — 1935 წლებში, ჩერქესკ-ქლუხორის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით, დამზადება კვლავ გაძლიერდა, მაგრამ თებერდის სახელმწიფო ნაკრძალის გამოყოფისა (1936 წ.) და რკინიგზის მშენებლობის შეწყვეტის გამო დამზადებამ შემდეგ იკლო.

1944 წლიდან დამზადებას აწარმოებდნენ სამეურნეო ორგანიზაციები, მათ შორის რაიმრეწკომბინატი, რაისატყეო მეურნეობა, საკურორტო სამმართველო, ქალაქი თბილისი, ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა, ყველაზე მეტ ხე ტყეს ამზადებს თბილისის ხე-ტყის დამამზადებელი კანტორა (ჩამოყალიბდ 1947 წ. მარტს), უპირატესად ქალაქ თბილისის მშენებლობისათვის. საკმარისი აღინიშნოს, რომ 1947-48 წელს მარტო აღნიშნულმა კანტორამ 12,167 კუბ საქმიანი მერქანი დაამზადა.

ყველა დამამზადებელი ორგანიზაციის მიერ უკანასკნელი წლების განმავლობაში ხე-ტყის დამზადების ოდენობა ასეთია (კუბ. მეტრობით):

	საქმიანი მერქანი	შეშა	ფიჩხი	ღირებულება მან,
1747 წ.	18,314	5,469	343	343,822
1948 წ.	17,516	7,560	148	333.500

(I ნახ.)

თუ ამას დავუმატებთ თებერდის სახელმწიფო ნაკრძალში დამზადებულ ხე-ტყეს, სპეციალურად განკუთვნილ ადგილებში, მაშინ ეს რაოდენობა გაიზრდება. ასე, მაგ., 1945 წ. ნაკრძალში დამზადებულ იქნა 3300 კუბ. მეტრი ხე-ტყე, 1947 წელს კი 4,325 კუბ. მეტრი.

ქლუხორის რაიონის მდიდარი მასივების ექსპლოატაცია მომავალში მოითხოვს რიგ ღონისძიებებს; მათ შორის მთავარია, პირველ რიგში ხე-ტყის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზიდი გზების გაუმჯობესება და კეთილმოწყობა, განსაკუთრებით ყუბანის ხეობაში, სამუშაოთა მექანიზაცია და მუშახელით უზრუნველყოფა, ბრძოლა ტყის ხანძრებსა და ტყის მავნებლებთან, მორების დაცურების მოწყობა მდინარეების საშუალებით, რაც განტვირთავს ავტოტრანსპორტს და დიდად შეამცირებს როგორც გამოზიდვის დროს, ისე ხარჯებს. რაც მთავარია, აუცილებელია ახალი, დამატებითი ტყის მასივების გაშენება, რათა კომპენსირებულ იქნეს ექსპლოატაციაში მყოფი მასივები.

როგორც აღვნიშნეთ, მდინარე თებერდასა და ყუბანზე ძველად წარმოებდა ხე-ტყის დაცურება თვით ქალაქ ჩერქესკამდე, მაგრამ შემდგომ მოისპო. ქლუხორის რაიონის ხე-ტყის მოეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით დამთავრდა მორების დამჭერი ნაგებობის მოწყობა მდინარე ყუბანზე და ახალი დიდი ხე ტყის სახერხი ქარხნის აგება სოფელ ახალშენთან.

მორების დამჭერი ნაგებობა მოწყობილია სოფელ ახალშენთან, სადაც თავს იყრის მდინარე ყუბანით დაცურებული ხე-ტყე, საშუალოდ 15 ათასი კუბური მეტრის რაოდენობით.

მდინარე ყუბანის სიგანე სახერხი ქარხნიდან (25—40 კმ მანძილზე) 58 მეტრიდან 285 მეტრამდე მერყეობს, სიღრმე 1,5—1,9 მეტრია, საშუალო სიჩქარე — 1,0—1—5 მეტრი სეკუნდში (წყალდიდობის დროს კი 3,0 მ/სეკ.), რაც მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის დაცურებისათვის. (საშუალოდ 0,30 მ დიამეტრისა და 3,5 მეტრის სიგრძე მორების დაცურებისა).

ახალი ნაგებობის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ახლო არის, ერთი მხრივ, ქალაქ ქლუხორთან და ქლუხორ-მადნისხევის მაგისტრალთან, და რაც მთავარია, დაცურებული მასალა იხერხება სოფელ ახალშენის მახლობლად არსებულ ხე-ტყის სახერხ ქარხანაში.

მორების დამჭერი ნაგებობის მშენებლობა 300 ათასი მანეთი დაჯდა, რაც შემდეგში დიდ ბიძგს მისცემს რაიონის სატყეო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გეოგრაფიის ინსტიტ. საფონდო მასალები.
2. საქ. ნაკრძალთა სამმართველოს მასალები.
3. В. Князев. Тебердинский государственный заповедник. Тбилиси, 1946.
4. С. Анисимов. Теберда. М., 1925.
5. Б. Борткевич. Исследование дорожной сети ТГЗ в целях установления маршрутов для работ научных, хозяйственных и туристических. ТГЗ, 1939. 38 стр., (рукопись).
6. Д. Волгунов. Флора ТГЗ. 284 стр. (рукопись в Глав. Упр. зап. ГССР).
7. Н. Липин, О. Липин. Водоем ТГЗ, 69 стр. (рукопись, в Гл. управл. зап. ГССР).

8. И. Броннер. Теберда (Путеводитель), 1934.
9. А. Малышев. Акклиматизация пятнистого оленя в условиях ТГЗ, 1938. 52 стр., (рукопись в ТГЗ).
10. А. А. Малышев. Изучение влияния комплекса экономических условий высокогорные зоны на культурные растения. 1940, ТГЗ (рукопись).
11. К. Красоцкий. Опыт продвижения плодово-ягодных культур в высокогорнои зоне. 1879, ТГЗ, 73 стр., зоне. (рукопись).
12. М. В. Курапова. Отчет об обследовании динамики численности аклматизируемой фауны ТГЗ проведен. в 11/XII-1947, ТГЗ, 1, 1948 (рукопись).
13. А. А. Малышев. Акклиматизация пятнистого оленя в условиях ТГЗ, 1938, 52 стр.
14. М. Курапова. Акклимат. пятн. оленя в условиях ТГЗ, 1938. 25 стр. (рукопись).
15. П. Степанов. Акклимат. Уссурийской енотовидной собаки в условиях ТГЗ., 1938. стр. 26 (рукопись).
16. С. Рябов-Северкин. Дикорастущие кормовые растения пятнистого оленя. тр. ДВ Филиала А. Н., т. II. 1937.
17. П. Степанов. Акклиматизация енотовидной собаки в условиях ТГЗ, 1937, 26 стр. (рукопись в ТГЗ).
18. М. Куратова. П. Степанов. Алтайскаи белка на Кавказе. Журн. „Природа“, 1941, № 2.
19. И. Тумаджанов. очерк болотной долины Теберды. (Труды Тбилиского ботанического инст., т. XII, 1948.
20. С. Преображенский. Государственные заповедники СССР („Наука и жизнь“, 1947, № 3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. კარგელაშვილი

საკურორტო მეურნეობა, ტურიზმი და ალპინიზმი ქლუხორის რაიონში

1. კურორტი თებერდა

საკავშირო მნიშვნელობის მაღალმთიანი კლიმატური კურორტი თებერდა საქართველოს სს რესპუბლიკის და მთელი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ფრიად ლამაზი და სახელგანთქმული კურორტია.

კურორტი თებერდა თავისივე სახელწოდების სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარეობს და თებერდის ხეობის სამხრეთ ნაწილშია გაშენებული; მისი კოორდინატებია 43° 26′ ჩრდილოეთის განედისა და 41° 45′ აღმოსავლეთ გრძედის. კურორტი თებერდა 1350 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან (1280 — 1420 მ ს. ზ. დ.).

კურორტის საზღვრებია: ჩრდილოეთით — მდინარე მუხას ქვედა ნაწილი (მდ. თებერდის შესართავამდე), დასავლეთით — მაღალი მთები (ხატიპარას მწვერვალები), სამხრეთით — წითელი ველი (კურორტ თებერდის ბოლო) და აღმოსავლეთით — მაღლა აღმართული ტყიანი მთის ძირი.

ქ. ქლუხორიდან კურორტი თებერდა 45 კილომეტრით არის დაშორებული, რომელსაც კარგი ასფალტირებული გზით უკავშირდება; ეს გზა კურორტ თებერდიდან სამხრეთით მიიმართება და თებერდისა და განაჩხირის ლამაზი ხეობებით კავკასიონზე გადადის (ქლუხორის უღელტეხილით), საიდანაც აუხაზეთის ასს რესპუბლიკაში ეშვება.

კურორტი თებერდა რკინიგზის სადგურ ჩერკესკს საავტომობილო გზით უკავშირდება. ქლუხორიდან კურორტ თებერდამდე გზა მდინარე თებერდას მისდევს, — ჯერ მისი მარჯვენა ნაპირით, ხოლო შემდეგ — მარცხენა ნაპირით, სოფ. მზისას სამხრეთით. თვით კურორტ თებერდაში გზა კვლავ მდინარე თებერდაზე გადადის და აქედან მისი მარჯვენა ნაპირით მიიმართება ქლუხორის უღელტეხილისაკენ დომბაიზე განშტოებით (მე-18 კილომეტრზე კურორტ თებერდიდან).

ქლუხორ-თებერდის გზის პირას მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე მთები, თავიანთი ლამაზი ფოთლოვან-წიწვიანი ხშირი ტყეებით, მშფოთარე მდინარე თებერდაში და განაჩხირში ეშვებიან.

გზის გასწვრივ პატარ-პატარა სოფლებია გაშენებული, — ჯერ შუქურა და ბარი, ხოლო შემდეგ — მზისა და თებერდა, რომლის შემდეგაც თვით კურორტი თებერდაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერდის ხეობის მიმზიდველი სილამაზე და კურორტის მოხდენილი მდებარეობა, ფიჭვნარ-ნაძვნარით შემკული მთები და მისი კალთები, უიერანი ტყეებისა და მდელოების სურნელებით გაჟღენთილი სუფთა ჰაერი, ანკარა ცივი წყლები, ლურჯად მოლივლივე მთის პატარ-პატარა ტბები და ჩანჩქერები, შორს მანძილზე აღმართული მარად თოვლიან-ყინულოვანი კავკასიონის სხვადასხვა სიმაღლის მწვერვალები (სოფრუჯუ, ბალალაკაია, ამანაული და სხვა), ბუნების მრავალფეროვნება და პეიზაჟების კონტრასტები განსაკუთრებით მიმზიდველ კომპლექსს ქმნიან არა მარტო ტურისტულ-ალპინისტური საქმისათვის, არამედ მშრომელთა ჯანმრთელობის აღდგენისა და დაავადებულთა სამკურნალო თვისებებითაც, რითაც დიდად გაითქვა სახელი კურორტმა თებერდამ მთელ საბჭოთა კავშირში.

კურორტ თებერდას, აღნიშნულ პირობებთან ერთად, ფრიად ხელსაყრელი კლიმატური პირობები ახასიათებს [1].

საშუალო წლიური ტემპერატურა კურორტ თებერდაზე 6,5° უდრ-ს. ცალკეული თვეების მიხედვით (მრავალწლიანი დაკვირვებით) ტემპერატურის მერყეობა ამგვარად ხასიათდება (გრაფიკებით) [2]:

ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
დეკემბერი 1,1	მარტი 1,8	ივნისი 13,6	სექტემბერი 11,3
იანვარი 3,4	აპრილი 5,8	ივლისი 15,3	ოქტომბერი 7,8
თებერვალი 1,8	მაისი 10,7	აგვისტო 15,4	ნოემბერი 2,4

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, კურორტ თებერდაში ზამთარი შედარებით თბილია, ხოლო ზაფხული—გრილი. წლის მანძილზე ტემპერატურის ცვალებადობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კისლოვოდსკში ან აბასთუმანში, ხოლო დღის განმავლობაში ტემპერატურა საკმაოდ მერყეობს. ამასთან ერთად კურორტი თებერდა მზის საგრძნობი განათებით ხასიათდება (1767 საათი წელიწადში); თებერდაში მზის რადიაცია საკმაოდ ძლიერია, მიუხედავად იმისა, რომ, ხეობის მერიდიონალური მიმართულების გამო, დღის ხანგრძლივობა აქ შედარებით ნაკლებია [3].

ღრუბლიანობა თებერდაში გაცილებით მცირეა, ვიდრე კისლოვოდსკსა და აბასთუმანში. აქაური ჰაერი საკმაოდ მაღალი იონიზაციით, სისუფთავითა და სიმშრალით ხასიათდება. ნალექთა რაოდენობა მხოლოდ 600 — 700 მილიმ. აღწევს წლიურად. ძლიერი ქარები იშვიათია.

რიგი კლიმატური მაჩვენებლებით თებერდას უფრო ხელსაყრელი პირობები ახასიათებს, ვიდრე კისლოვოდსკს, აბასთუმანს ან შეეიცარიული ალპების ცნობილ კურორტ დავოსს.

---

[1] Курорты СССР. М. — Л, 1936.

[2] ვ. კორძაძია და ე. ნაფეტვარიძე. ქლუბორის რაიონის კლიმატი.

[3] Курорт Теберда. Схема организации территории, стр. 142 — 150

სურ. 1. კურორტ თებერდის ერთ-ერთი ნაწილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი ეს საკმაოდ აძლიერებს თებერდის, როგორც სამთო-კლიმატური კურორტის, სამკურნალო მნიშვნელობას ტუბერკულოზით დაავადებულ პირთა საექმოდ.

კურორტ თებერდის სამკურნალო მნიშვნელობას საკმაოდ აძლიერებს მის ახლოს (7 — 8 კილ.) მდებარე ჯემაგათის ხეობის მინერალური წყლები.

კურორტ თებერდის სამკურნალო შეფასება ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ამ გარემოებას ხაზს უსვამენ როგორც ცალკეული სპეციალისტები, ისე სპეციალური თათბირები და სამკურნალო დაწესებულებები[1], რომლებიც ამ პრობლემას საგანგებოდ სწავლობდნენ.

როგორც ქვემოთ მოცემული დახასიათებიდან ჩანს, კურორტ თებერდის სამკურნალო მაჩვენებლები ფრიად მრავალმხრივია. „ქ მკურნალობენ:

„Предрасположение к туберкулёзу, туберкулёз бронхиальных желез взрослых, компенсированный и субкомпенсированный туберкулёз легких всех трех стадий, остатки и последствия туберкулёзных плевритов, эмфизема легких, но с полной компенсацией со стороны сердечно-сосудистой системы, бронхиты, реконвалесценциты после перенесённых острых заболеваний и операций; анемия, бронхиальная астма без органических изменений легких и сердца“[2].

კურორტის ასეთი მრავალმხრივი სამედიცინო მნიშვნელობა ფრიად ზრდის მის როლს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნების საქმეში.

სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების გარდა, კურორტ თებერდის მცხოვრებთა საცხოვრებელი სახლების უმეტესობა მსუბუქი ტიპისაა და უმთავრესად ხის ერთსართულიანი შენობებისაგან შედგება. სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შენობები კი ორ-სამ სართულიანია, ქვიტკირისაა და ავადმყოფ-დამსვენებელთა მთელი წლის განმავლობაში მკურნალობა-დასვენებისთვისაა გამოყენებული.

თებერდის ხელსაყრელმა სამკურნალო თვისებებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის მე-80-იან წლებში მიიპყრო ყურადღება, ხოლო საკურორტო მშენებლობა აქ 1909 — 1910 წ. წ. დაიწყო.

1910 წლისათვის კურორტის ტერიტორიაზე გაშენებულ აგარაკებს ორი კილომეტრი ეჭირა სიგრძით[3].

პირველად დაიწყო პატარ-პატარა კერძო აგარაკებისა და პანსიონების მშენებლობა და შემდეგ კი საკურორტო საქმე თანდათან განვითარდა.

აღნიშნული დროის შემდეგ კურორტის სამკურნალო და ტურისტული მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა, რასაც თან სდევდა კერძო პირთა გაძლიერებული საქმიანობა და კურორტით მოსარგებლეთა რიცხვის ზრდა. დამსვენებელ ავადმყოფთა მიზიდვის მიზნით ფართო სარეკლამო საქმიანობა გაი-

---

1 Курорты СССР. М. — Л., 1936 г., стр. 133

2 Курорты СССР. М. — Л, 1936.

3 Чурсин. Поездка в Карачай. 1915, стр. 8.

შალა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხშირად მიმართავდნენ ეპითეტებს: „კავკასიის მარგალიტი“, „რუსეთის დაგესი“, „განსაცვიფრებელი თებერდა“ და სხვა. ამავე დროს დაისვა საკითხი მთელი თებერდის ხეობის კლიმატურ-სამკურნალო ნაკრძალად გამოცხადებისა და ჩერკესკიდან თებერდამდე რკინიგზის გაყვანის შესახებ, მაგრამ არც ერთი ეს სურვილი არ განხორციელებულა წარსულში.

კურორტ თებერდაზე სამკურნალოდ და დასასვენებლად მოსულ პირთა რაოდენობა 1910 წელს 500 კაცამდე ავიდა, ხოლო 1914 წ. 2000 კაცს აღწევდა.

თუ რას წარმოადგენდა კურორტი თებერდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ამაზე ნათელ წარმოდგენას ვღებულობთ შემდეგი სიტყვებიდან: „от устья реки Мухи, где имеется единственная в Карачае большая березовая роща, версты на две тянутся дачные постройки. Переезжаем правую карачаевскую сторону р. Теберды, тут уже сплошной поселок из деревянних хибарок, изображающих дачи. Среди этих построек имеются: гостиница „Кавказ“, меблированные комнаты, две столовые, мясные и хлебные лавки, аптека, приемный покой и пр“[1].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თებერდის საკურორტო პირობების მშრომელთა ჯანმრთელობის აღდგენა-განმტკიცებისათვის გამოყენებას.

1925 წელს აქ პირველად დაარსდა საკურორტო დაწესებულებანი (დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების ტიპის) კერძო აგარაკების გამოყენების ბაზაზე. 1936 წელს აქ უკვე სამი სანატორიუმი და ერთი დასასვენებელი სახლი იყო[2].

გარდა აღნიშნულისა, ამბულატორიული ავადმყოფები კერძო სახლებში ბინავდებოდნენ, ხოლო საექიმო დახმარებას საოლქო ჯანმრთელობის განყოფილების სანატორიუმში ღებულობდნენ. შემდეგ წლებში მუშაობა უფრო გაიშალა და დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, გარდა სამი სანატორიუმისა, თებერდაში ორგანიზებული იყო სამი დასასვენებელი სახლი[3].

სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების წლიური გამტარუნარიანობა 6 — 7 ათ. კაცს აღწევდა, კერძო დამსვენებელთა რიცხვი კი 300 — 400 სულამდე ადიოდა.

დიდი სამამულო ომის წლებში, ჭლუხორის მთელ რაიონთან ერთად, კურორტმა თებერდამ უდიდესი ზარალი განიცადა ფაშისტური ბარბაროსებისაგან; გატაცებულ იქნა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქონება, მოიშალა კომუნალური საწარმოთა მუშაობა, სამკურნალოდ მყოფი 50-ზე მეტი ავადმყოფი ბავშვი იმსხვერპლეს და სხვა[4].

---

1 Чугсин. Поездка в Карачай. 1915, стр. 8 — 9.

2 Курорты СССР. М.— Л. 1936.

3 Советский Карачай. 1920 — 1940, стр. 98.

Н. Белоусов. Теберда. „Заря Востока“. 1946, № 211, стр. 3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტრის მიერ კურორტ თებერდაში არსებული სანატორიუმებისათვის, დასასვენებელი სახლებისათვის, კომუნალური მეურნეობისა და სხვა დარგებისათვის მიყენებული ზარალის აღსადგენად და კურორტის მეშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად ფრიად დიდი მეშაობაა ჩატარებული საქართველოს საკურორტო და სამედიცინო ორგანოების მიერ; მარტო ფულადი თანხა, ამ მიზნით დახარჯული, დღიდან კურორტის მტრისაგან განთავისუფლებისა (1947 წ. დამლევამდე) რვა მილიონ მანეთს აღწევს [1].

კურორტი თებერდა თავისი სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებით და სხვა დაწესებულებებით თანდათან ფართოვდება და უმჯობესდება.

1948 წლისათვის კურორტ თებერდაში უკვე ხუთი სანატორიუმია („დომბაი", „ბოლშევიკი", „მთის ხეობა" და სკკკს ორი სანატორიუმი) ცხრაასამდე საწოლით, ორი დასასვენებელი სახლი (ასოცდახუთი საწოლით) და ორასადგილიანი ტურისტული ბაზა, რომლებიც ავადმყოფებს, დამსვენებლებსა და ტურისტებს საკმაოდ მაღალ კვალიფიციურ მომსახურებას უწევენ.

კურორტ თებერდაში ყოველწლიურად ათასობით ავადმყოფი მკურნალობს და ამაზე მეტი დამსვენებელი და ტურისტი ისვენებს და ჯანმრთელობას აღიდგენს.

ამჟამად კურორტ თებერდას 10 კვ. კილომეტრამდე ტერიტორია უკავია, რომელზედაც განლაგებულია: სანატორიუმები (23 კორპუსი), საერთო საცხოვრებლები (48) და კერძო სახლები (156). კურორტ თებერდის მიერ დაკავებული ხეობის ნაწილი სიგრძით 6 კილომეტრს უდრის, სიგანით კი 1—3 კილომეტრს [2].

კურორტი თებერდა შედარებით კეთილმოწყობილი კურორტია, აქ მოქმედებს: წყალსადენი, კლუბი, სრული საშუალო სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რადიოკვანძი, ბიბლიოთეკა, თებერდის ნაკრძალის სამმართველო საკმაოდ მძლავრი მეცნიერ მუშაკთა კოლექტივით და სხვა.

კურორტის განვითარებასთან ერთად იზრდება თებერდის მოსახლეობაც. ამჟამად კურორტ თებერდაში დაახლოებით ორი ათასი მუდმივი მაცხოვრებელია, გარდა სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და ტურისტულ ბაზაში თავმოყრილ ავადმყოფთა და დამსვენებელ-ტურისტთა.

კურორტ თებერდაში სამკურნალოდ და დასასვენებლად მოდიან მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, ციმბირიდან და შორეული აღმოსავლეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიიდან და ამიერკავკასიის მომე რესპუბლიკებიდან.

ჩვენს მიერ კურორტ თებერდის ორი დიდი სანატორიუმის არჩევითი გამოკვლევით გამოირკვა, რომ (1948 წ. VII-ში) აქ გატარებულ ათასამდე ავადმყოფიდან ჩამოსული იყო: რსფსრ-დან 687 ავადმყოფი, უკრაინის სსრ-დან 140, საქართველოს სსრ-დან 82, აზერბაიჯანის სსრ-დან 33, სომხეთის სსრ-დან 35 და დანარჩენი — სსრ კავშირის სხვა შორეული მხარეებიდან და ოლქებიდან.

---

[1] „ჯანთიადი", 1948, № 6 — 7, გვ. 3.

[2] „ჯანთიადი", 1948, № 2, გვ. 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 2. კურორტი თებერდა. სკპკს სანატორიუმი № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თებერდის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ქართველების გვერდით მხარდახარ მუშაობენ რუსები, უკრაინელები, ოსები, ებრაელები და სხვა ეროვნებათა წარმომაეგენელნი.

მშვენიერ კლიმატურ პირობებსა და მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებასთან ერთად, საკურორტო დაწესებულებებში მყოფ მშრომელთა ჯანმრთელობის აღდგენისათვის გადამწყვეტი მიიშვნელობა აქვს ავადმყოფთა და დამსვენებელთა უხვ კვებას, რისთვისაც კურორტი საჭირო საქონლის ფონდებს ღებულობს როგორც ცენტრალიზებული წესით, ისე ადგილობრივ და სტავროპოლის მხარეში ორგანიზებული დაჩხმაოე მეურნეობებიდან და მეცხოველეობის ფერმებიდან.

კურორტი თებერდა მომავალში მუხის ხეობის მიმართულებით უნდა გაფართოვდეს. კურორტის მოსახლეობა, როგორც წესი, დასახლებულ უნდა იქნეს მდინარე თებერდის მარჯვენა ნაპირზე, ჯემგათის მიმართულებით, ხოლო მარცხენა მხარე ძირითადად სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლებისათვის უნდა იქნეს განკუთვნილი.

თებერდის სოფლის მოსახლეობის კონცენტრაცია წარმოებულ უნდა იქნეს კურორტის ჩრდილოეთ ნაწილში (სოფ. თებერდის მიმართულებით), სადაც კოლმეურნეობაში გაერთიანებული მოსახლეობა დააარსებს მეცხოველეობის ფერმებს და მძლავრ საგარეუბნო და სასათბურო მეურნეობას შექმნის კურორტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

კურორტსა და საკოლმეურნეო უბანს შორის სასურველია მწვანე ნარგავთა მძლავრი ზოლის გაშენება.

ამ საქმეზე არსებული გეგმების გადამუშავება, ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, და საკითხის ამომწურავი შესწავლა სათანადო ორგანოთა გადაუდებელი ამოცანაა.

კურორტ თებერდის შემდგომი განვითარება-გაფართოვებისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს შემდეგი ღონისძიებების ჩატარება:

1. საკურორტო ტერიტორიის საზღვრების დაზუსტება, მისი ორგანიზაცია, სამთო სანიტარული დაცვის საქმის გაუმჯობესება და გამწვანების გაძლიერება.

2. ჯემაგათის ხეობისა და ახლობელი მთიანი ზონის კლიმატურ-ბალნეოლოგიური პირობების შესწავლა.

3. სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რაციონალური დისლოკაცია-განლაგება, მათი კურორტის მცხოვრებთაგან იზოლაციის მიზნით, ვინაიდან წარსულში სათანადო მშენებლობა ნაკლებ გეგმიანად წარმოებდა [1].

4. კურორტ თებერდის კეთილმოწყობა, გზების შეკეთება, კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის მშენებლობა (თეატრი, კინო, კლუბი და სხვა), საკურორტო სამეურნეო-დაწესებულებათა ორგანიზაცია (სასტუმრო, რესტორა-

---

[1] კურორტი თებერდა 1926 წლამდე ყარაჩაის ა. ო. ჯანმრთელობის განყოფილების ხელში იყო, 1927 წ. —ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო ჯანმრთელობის განყოფილების, 1928—1930 წწ.—ვლადი ყარაჩაის ა. ო. ორგანიზების ხელში, 1930 — 1934 წ. წ.—კრ.-სნოდარის ჯანმრთელობის ორგანოების ხელში, ხოლო 1934 წლიდან— რსფსრ-ის ჯანსაღმრთელობის მთავარ საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში.



სურ. 3. კურორტი თაბერდა. სანატორიუმი „მთის ხეობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, სასადილო, სავაპრო ქსელი და სხვა), შინა საკურორტო ტრანსპორტის ორგანიზაცია, კომუნალურ წამოწყებათა მშენებლობა (კანალიზაცია, სასაკლაო, ბანაო და სხვა), კავშირგაბმულობის მუშაობის გაუმჯობესება, დასასვენებელი პარკის მოწყობა, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და სხვა.

5. კურორტ თებერდის ქ. ქლუხორთან, ჩერკესკთან და დომბაისთან კავშირის გასაძლიერებლად საჭიროა კურორტზე მოეწყოს ერთიანი მძლავრი საავტომობილო ბაზა და განასლდეს ავტოპარკი.

2. დომბაი

დომბაის ველობი კურორტ თებერდიდან 22 კმ მანძილზე მდებარეობს. დომბაიში მიმავალი გზა ჯერ ქლუხორ-სოხუმის საავტომობილო გზით მიდის (18 კმ) და შემდეგ კი მდ. განაჩხირზე გადასვლით მდ. თებერდის მარჯვენა ნაპირს გაჰყვება.

დომბაი კავკასიონის ძირში მდებარეობს (1630 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან) მდ. მდ. ამანაუზისა და ალიბეკის შეერთების ადგილზე.

დომბაის კლიმატური პირობები შემდეგით ხასიათდება: საშუალო წლიური ტემპერატურა 4,3° უდრის, უყინვო პერიოდი 137 — 145 დღეს გრძელდება, ნალექთა რაოდენობა თებერდასთან შედარებით ორჯერ მეტია (1309 მილ.), ხოლო თოვლის საფარი ერთ მეტრს აღემატება (თითქმის მთელი ექვსი თვის განმავლობაში).

დომბაის მიდამოებში აღმართულია კავკასიონის საკმაოდ მაღალი მწვერვალები (აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ): დომბაი-ულგენი, მცირე დომბაი, სამხრეთ დომბაი, ამანაუზი, სოფრუჯე, ბალალაკაია და სხვა.

დომბაის ველობიდან რამდენიმე მაღალი გადასასვლელია ზოგიერთ კავკასიონზე (პტიშის, სოფურჯუს და სხვა), ისე გვერდით მდებარე მთებზე (ჩუჩხურის, ალიბეკისა და სხვა).

დომბაის რაიონში მდებარე ყინვარებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია: პტიშის, ალიბეკის, ორენიანი, ამანაუზისა და სხვა. ეს ყინვარები კავკასიონის ჩრდილოეთის კალთებზე მდებარეობენ.

დომბაის მიდამოებში მდებარე ჩანჩქერებიდან ყველაზე ცნობილია ჩუჩხურის მდ. ჩუჩხურზე.

მნიშვნელოვანი ტბები ამ რაიონში არ არის, ხოლო მცირედი ტბებიდან ცნობილია ჯიხოთა ტბა(ალიბეკის ყინვართან).

დომბაის ათვისება 1930 წ. დაიწყო, როდესაც აშენდა მეცნიერ მუშაკთა ტურისტული ბაზა. 1931 წელს აშენდა ტურისტთა სახლი, ხოლო 1935 წ. მოეწყო სასწავლო ალპინისტური ბანაკი და სხვა.

1948 წლის ზაფხულისათვის დომბაიში იყო: მეცნიერთა ერთი[1] სახლი (100-ადგილიანი), რომელიც კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს, ტურისტული

---

[1] ამჟამად იგი, საკმაოდ დაზიანებულია ფაშისტური ბანდების მიერ, სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზა (60 ადგილიანი), კარავთა ქალაქი (100 — 150-ადგილიანი), ტურისტული ბანაკები („ბუმაინეკი", „მოლნია" და კავშირგაბმულობის მუშაკთა — თვითეული ასადგილიანი). დომბაიდან მოშორებით (6 კმ მანძილზე) ალიბეკის ყინვართან, ორგანიზებული იყო ალპინისტური ბანაკი „მეცნიერება" (100 ადგილით).

დომბაის ველობიდან რამდენიმე ტურისტული მარშრუტი მიიმართება (ამანაუზისაკენ, ალიბეკის ყინვარზე, სოფრუჯუსაკენ, პტიშის ყინვარზე და სხვა).

ამნაირად, დომბაის ველობა მთელი ამ რაიონის ტურიზმისა და ალპინიზმის ცენტრს წარმოადგენს.

როგორც დომბაის ველობაზე, ისე განაჩხირის მიდამოებში მუდმივი მოსახლეობა მცირეა; ამ მიდამოებში ცხოვრების გაძლიერება ზაფუზულობით ხდება, როდესაც იწყება ტურისტულ და ალპინისტურ დაწესებულებათა ინტენსიური მუშაობა. ზამთრობით ამ დაწესებულებებში მხოლოდ მცირერიცხოვანი მოსახლეობა (ყარაულები) რჩება თავიანთი ოჯახის წევრებით. ამეკამად დომბაის მუდმივი მოსახლეობა ორ ათეულ სულს აღწევს.

მომავალში დომბაი და მისი მიდამოები ტურისტულ-ალპინისტური მოძრაობისა და დამსვენებელთა ცენტრად უნდა გადაიქცეს, ვინაიდან კურორტ თებერდაში მრავალრიცხოვან დაავადებულთა თავმოყრა მათთვის სახიფათოა. კურორტი თებერდა ტურისტთა მძლავრი გამტარებელი ბაზა უნდა გახდეს და მუშაობის სიმძიმის ცენტრი კი დომბაიზე უნდა იქნეს გადატანილი. ამ მიზნით დომბაიზე კარგი შოსირებული გზის გაყვანა და საჭირო მშენებლობის ჩატარება ერთ ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

კურორტ თებერდაში მოწყობილი ტურისტული ბაზა და დაწესებულებანი გადატანილ უნდა იქნეს კურორტის რომელიმე ნაპირზე (ავადმყოფთაგან იზოლირების მიზნით), სჯობია ჯერმავათის ხეობაში, რისთვისაც სპეციალური შენობები უნდა გაშენდეს, ხოლო მდინარე თებერდაზე ახალი ხიდი უნდა იქნეს აგებული (კურორტში შემოსვლამდე სოფ. თებერდის მხრივ). ამის შემდეგ კურორტი თებერდა გადაიქცევა ტურისტულ-ალპინისტური საქმის მძლავრ მაორგანიზებელ, ხელმძღვანელ და გადამცემ-მომმარაგებელ ცენტრად, ვინაიდან დომბაის ტერიტორიის განსაზღვრულობა და მუშაობის სეზონურობა ამ საქმის იქ ფართოდ დაყენების შესაძლებლობას არ იძლევა.

3. ტურიზმი

ტურიზმისა და ალპინიზმისათვის მთელ დასავლეთ კავკასიონზე, განსაკუთრებით კი თებერდისა და ყუბანის სათავეებში, ფრიად ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიური პირობებია[1]. მასთან ერთად აქაური კლიმატური პირობები ფრიად ხელშემწყობია როგორც საკურორტო საქმისათვის, ისე სამთო-სათხილამურო სპორტისათვის, რომელსაც ავრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს.

[1] Курор. Теберда. Схема организации территории района. Ч. 1, стр. 161. ქვემოთაც ამ წყაროთი ვსარგებლობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს საყურადღებოა შედარებით ხელსაყრელი მისადგომი რკინიგზა და საავტომობილო გზა (ჩერქესკი — ქლუხორი — თებერდა) და გადასასვლელი ქლუხორზე (სვანეთში ასასვლელად და იქიდან კი ავტომობილით ზუგდიდში ჩასასვლელად, შავი ზღვის სანაპირო რკინიგზაზე მისასვლელად და სოხუმში ჩასასვლელად).

თებერდა-ყუბანის სათავეები ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო საქმის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ობიექტია, დასაყრდენი პუნქტებით თებერდაში, დომბაიში, მახარის ხეობაში, ალიბეკჯე, განაჩხირზე და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელი ეს მხარე მცირედ გამოიყენებოდა ტურიზმ-ალპინიზმისათვის სოხუმის სამხედრო გზის მშენებლობის შემდეგაც კი; ძველად უმთავრესად უცხოელი ტურისტ-ალპინისტები დაიარებოდნენ ამ მხარეში და ადგილობრივი ტურიზმ-ალპინიზმი განვითარებული არ იყო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიექცა ყურადღება საბჭოთა ტურისტულ-ალპინისტური საქმის განვითარებას და საჭირო ორგანიზაციულ-საამშენებლო საქმიანობის გაშლას.

1926 წ. თებერდაში მოეწყო პირველი ტურისტული ბაზა და შემოღებულ იქნა ტურისტული მარშრუტი კისლოვოდსკი-თებერდა; 1927 წ. მოეწყო კარვები ქლუხორთან და ალიბეკის ყინვართან, 1929—30 წ. ორგანიზებულ იქნა თებერდის ტურისტული ბაზა და ალპინისტური ქოხი დომბაის ველობზე, 1932 წ. აშენდა ტურისტების სახლი დომბაიში, 1935 წ. მოეწყო პირველი ალპინისტური ბანაკი, 1938 წ. მოეწყო სამთო-მშველელი სადგური და ა. შ.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე თებერდის სათავეებში ორგანიზებული იყო შვიდი საკმაოდ მძლავრი და კეთილმოწყობილი ბანაკი (სამი—ალიბეკის ხეობაში, ერთი—დომბაი ულგენის ხეობაში, ერთი — ამანაუხის ხეობაში და ორიც — განაჩხირის ხეობაში).

კოროტკ თებერდაში მოქმედებდა ტურისტული სახლი (120 ადგილით), რომლის გამტარუნარიანობა ზაფხულობით 150 ადგილამდე ფართოვდებოდა; დომბაიში მოწყობილი იყო ტურისტთა სახლი და კარვები, ალპინისტური ბანაკები და სხვა. ალპინისტური ბანაკები ხის შენობებისაგან შედგებოდა; აქ წარმოებდა სასწავლო კულტურული მუშაობა და მოწყობილი იყო სასადილო, სამზარეულო და სხვა.

თებერდის ხეობაში მოქმედ ტურისტულ-ალპინისტურ დაწესებულებათა მუშაობა შემდეგით ხასიათდებოდა (ათასი კაც-დღეებით):

	1935 წ.	1936 წ.	1940 წ. (იან.-ოქტ.)
1. თებერდის ტურისტული სახლი	9,2	10,5	29,6
2. დომბაის „ „	—	3,6	19,5
3. „ ჩრდილოეთის კარავი	—	1,5	9,2

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერდის ტურისტების სახლი მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა, ზოლო დომბაის—ზაფხულ-შემოდგომებით.

ტურისტულ საქმიანობას ეწეოდნენ აგრეთვე თებერდაში მოქმედი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, რომლებიც ექსკურსიებს აწყობდნენ თავიანთი დამსვენებლებისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, თებერდის რაიონის შესაძლებლობანი ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის მთლად არ იყო გამოყენებული; ზაფხულობით ეს დაწესებულებანი ისე იყვნენ გადატვირთულნი, რომ ზოგჯერ მსურველებს უარს ეუბნებოდნენ სათანადო საგზურების გაცემაზე.

გერმანელთა ფაშისტური ბანდების მიერ ტურისტული საქმისათვის მიყენებული ზარალის აღდგენას დიდი ყურადღება მიექცა რაიონის ხელმძღვანელობისა და სათანადო ორგანოების მხრივ. თებერდის ცენტრალური ტურისტული ბაზის აღდგენა 1946 წ. ბოლოდან დაიწყო და 1948 წ. დასაწყისს დამთავრდა. ამ მიზნით საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა.

თებერდის ტურისტულმა ბაზამ მუშაობა 1948 წ. ივნისის დამლევს განაახლა, თავისი საქმიანობა საკმაოდ ფართოდ გაშალა (1948 წ. აგვისტომდე უკვე 11,5 ათასი საწოლ-დღე ჰქონდა გამომუშავებული) და დამტკიცებული მარშრუტების თანახმად 36 ექსკურსია ჩაატარა (800-მდე ტურისტის მონაწილეობით) გამოცდილ ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით.

თებერდის ხეობაში ტურისტების თავმოყრა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან ხდება; ტურისტთა ნაწილი ქლუხორის უღელტეხილით სოხუმში გადადის, ხოლო ნაწილი უკან ბრუნდება თებერდა-ქლუხორ-ჩერკესკით.

1948 წ. გატარებული ტურისტებიდან იყო: 464 კაცი რსფსრ-დან (მ. შ. 225 მოსკოვიდან და 75 ლენინგრადიდან), 125—უკრაინის სს რესპუბლიკიდან, 33—ბელორუსიის სს რესპუბლიკიდან და ა. შ.

ტურიზმის საქმის მომავალ განვითარებაში თებერდის ტურისტული ბაზა მიჩნეულ უნდა იქნეს ტურიზმის ცენტრალურ დასაყრდენ პუნქტად და მეთოდიკურ ცენტრად მთელ დასავლეთ კავკასიონში ტურიზმის განვითარების საქმისათვის [1].

თებერდის ხეობაში ტურიზმის განვითარება თებერდის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე მრავალგზის გაველენას ახდენს გზებისა და ბილიკების გაყვანის, გასაჩერებელი და ღამის გასათევი ადგილების მოწყობის, ბანაკებისა და საცხოვრებელი შენობების აგების, ტურისტთა მოძრაობისა და სხვა მხრივ [2].

ამ საქმის განვითარების დროს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ტურიზმი და ალპინიზმი, მშრომელთა დასვენებისა და ფიზიკულტურული მომზადების მიზნით, მთელ საბჭოთა კავშირში ძლიერ ვითარდება.

ჯანმრთელი დასვენება (მოძრაობის პირობებში) და სუფთა ჰაერზე ყოფნა, კომპლექსური ფიზიკულტურული მომზადება, საბჭოთა კავშირის მრავალ-

---

[1] Курорт Теберда. Схема организации территории района. Том 1, 1941 (материалы Курупра Теберды).

[2] В. Утяков. Воздействие туризма на природные условия ТГЗ (фонды ТГЗ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეროვანი და მდიდარი ბუნებრივი პირობების გაცნობა (განსაკუთრებით განაპირა მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების პირობათა) კოლექტიური საქმიანობა-ყოფის დანერგვის მხრივ მეტისმეტად ხელსაყრელ და მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს; მასთან ერთად ტურიზმი და ალპინიზმი ხელს უწყობს მონაწილეთა გასამხედროებას, მათ მიერ დისციპლინისა და ორიენტირების დაუფლებას. ამავე დროს ტურიზმი და ალპინიზმი არ თხოულობს მონაწილეთა მხრივ დიდ ხარჯებს და არც კაპიტალურ დაბანდებებს ამ საქმის ორგანიზაციისა და საჭირო პუნქტების მშენებლობისათვის. ტურიზმი და ალპინიზმი ხელს უწყობს ახალი რაიონების გაცნობა-ათვისებას, მათ პოპულარიზაციას და სწორი (ნობების გავრცელებას ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა და პირობების შესახებ საბჭოთა მშრომელებს შორის [1].

ტურისტული თვალსაზრისით თითქმის მთელი ქლუხორის რაიონი მეტად საინტერესო ობიექტს წარმოადგენს, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა [2]: მახარას ხეობა (2300 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან) თავისი მრავალნაირი მინერალური წყლებითა და უღრან ტყეებით; თებერდის ხეობა (1380 — 1500 მეტრი ზღვის დონიდან) თავისი ლამაზი მდებარეობით, კუურორტი თებერდითა და თებერდის ნაკრძალით, მინერალური წყლებით, სუფთა, მშრალი და რბილი მთის ჰაერით, მოწმენდილი მზიანი დღეებით და შედარებით გრილი ჰავით ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში; მდ. ინდიშის ხეობა (ქ. ქლუხორის სამხრეთით 20 კილომეტრის მანძილზე მდებარე) სასარგებლო, ესენტუკის მსგავსი მინერალური წყლებით; იალბუზის ძირში მდებარე ნარზანთა ხეობა, 3500 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან (11 კმ დაშორებული ზედეკიდან), მდიდარი მრავალი სახის მინერალური წყლებითა და სხვა ადგილებით.

ამჟამად მოქმედი ტურისტული მარშრუტებიდან, რომლებიც ორგანიზებულია თებერდის ცენტრალური ბაზის მიერ, ყველაზე მნიშვნელოვანია: თებერდა-ქლუხორის გადასასვლელი — სოხუში (171 კმ), ჯუმაგათის ნარზანი (10 კმ), ჩანჩქერი ხმაურა (4 კმ) და ბადუკის ტბები (9 კმ კურორტ თებერდიდან).

ტურისტული საქმის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა:

1. ყველა ტურისტულ მარშრუტზე საგზაო მშენებლობის ჩატარება და საცალფეხო გზების მოწყობა (ფარდულები, ღამის გასათევი შენობები, სავეჭრო წერტილები და სხვა).

2. თებერდაში ტურისტულ ბაზაზე კვალიფიციურ, გამოცდილ ინსტრუქტორ-გიდყოლთა კონტიგენტის გაფართოება, რომელნიც, ადგილობრივ პირობების (ოდნასთან ერთად, დაუფლებულნი იქნებიან მთელი დასავლეთ კავკასიონის ბუნების, ისტორიისა და მეურნეობის ცოდნას.

---

[1] Его же. Туризм в Тебердинском Государственном Заповеднике.

[2] У. Алиев. Карачай, стр. 290 — 299.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. თებერდის ტურისტულ ბაზასთან მოწყობა მძლავრი სპორტული მოედნისა, რომელზედაც შეიძლება გაშლა სხვადასხვა სპორტული ვარჯიშის (ფეხბურთი, ტენისი, რბენა და სხვა) და საკურორტო მშენებლობის გაძლიერება.

4. თებერდის ტერიტორიაზე მდებარე ყარა-გელის ტბის გაწმენდა და მასზე წყლის სპორტული სადგურის მოწყობა (საცურაოდ და, ნაკეთ სასიარულოდ).

5. ჯემაგათის ნარზანთან კეთილმოწყობილი პავილიონის მშენებლობა (ფარდული, საჯდომები, სავაჭრო წერტილი და სხვა), მასთან მისასვლელი გზის გაყვანა და საავტომობილო მიმოსვლის ორგანიზაცია.

4. ა ლ პ ი ნ ი ზ მ ი

საბჭოთა ალპინიზმი აღებულ მხარეში ახლა იწყებს განვითარებას.

ტურისტული საქმიანობის განვითარებასთან ერთად ქლუხორის რაიონში გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს ალპინისტური საქმის მყარ და ფართო ნიადაგზე დაყენებას.

ქლუხორის რაიონის მაღალმთიანი ზონა თავისი მარად თოვლიან-ყინულოვანი მწვერვალებით და სათხილამურო საქმის ფართოდ განვითარების შესაძლებლობით ალპინისტური საქმისათვის გამოყენების გაძლიერებულ ყურადღებას საჭიროებს. მთელი ეს მუშაობა მჭიდრო საგეგმო-ორგანიზაციულ კავშირში უნდა იყოს განხილული სვანეთისა და აფხაზეთის ასურ მაღალმთიანი ზონისა და ბალბუზის ალპინისტურ ათვისებასთან ერთად.

ალპინისტური საქმისათვის აქ არსებული ხელსაყრელი პირობები ამ საქმის ფართო განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

კარგ მისადგომ გზებთან და დასახლებულ პუნქტებთან ახლო მდებარეობა, მაღალი მწვერვალების (იალბუზი, ამანაუზი, ბალალაკაია და სხვა) და უღელტეხილების სიუხვე (ქლუხორის, მახარას, ეფჩიკისა და სხვა), რიგ ადგილებში (განსაკუთრებით დომბაის მიდამოებში) ყველა საფეხურის სიძნელეთა და ჯერ კიდევ სრულიად აუსვლელი მწვერვალების არსებობა, ხელსაყრელი რელიეფი და ღრმა თოვლი განსაკუთრებით საყურადღებოა როგორც ალპინისტური საქმის, ისე სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის [1].

ალპინისტური საქმის განვითარების მთავარ ცენტრად დომბაი უნდა ჩაითვალოს განაჩნერისა და ყუბანის ხეობებით. ალპინისტური ბაზების სათანადო განლაგება ხელს შეუწყობს მთელი ამ ხეობების ალპინისტურ ათვისებას როგორც მათი შესწავლის, ისე ვარჯიშისა და ლამაზ სანახაობა-ლანდშაფტების გაცნობა-დათვალიერების თვალსაზრისით.

აღნიშნული მიზნით, საზაფხულო ტიპის ბანაკებთან ერთად, დომბაიში და სხვა თავარ ჰუნქტებში უნდა მოეწყოს ზამთრის შენობები ისეთ ხელსაყოელ ადგილებში, სადაც ზვავების ჩამოწოლა და ქვების ჩამოგორების საშიშრობა არ იქნება. ასეთი ბანაკები შეიძლება აიგოს დომბაიში და მის

[1] Курорт Теберда. Схема организации территории района. Т. 1, 1941 (Рукописный фонд Гебердского Курупра).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლოველ ხეობებში (ალიბეკის, განაჩხირის, მახარას, ყუბანისა და სხვა). მასთან ერთად უნდა დაარსდეს მატერიალურ-ტექნიკურად კარგად მოწყობილი ძლიერი სამთო-მშველელი სადგურები (დომმაიში და მადნისხევში), რომელთაც დაეკისრებათ ალპინისტური საქმის ორგანიზაცია, ინსტრუქტაჟი, მეთოდიკური მუშაობა და საჭირო დახმარება. ამავე დროს ორგანიზებულ უნდა იქნეს მყარი საგზაო, სატელეგრაფო, სატელეფონო და რადიოკავშირი (მოძრავი რადიოების შემოღებასთან ერთად); ორგანიზებულ უნდა იქნეს მეტეოროლოგიური სადგურები როგორც სამთო-მშველელ სადგურებთან, ისე დომმაის, მადნისხევსა და თებერდას შორის კავშირის დამყარების მიზნით. მასთან ერთად დომმაიში[1] და მადნისხევში მოწყობილ უნდა იქნეს საერთო ტურისტულ-ალპინისტური დაწესებულებანი (კლუბი, კინო, სამედიცინო პუნქტი, ამბულატორია, აბანო, სავაჭრო ქსელი, ფურნეები, სასტუმროები და სხვა) ამ საქმეში ტექნიკის უკანასკნელი სიტყვისა და მიღწევათა სრული გამოყენებით. ტურისტულ-ალპინისტურ დაწესებულებათა ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე საგანმანათლებლო-საინსტრუქციო მუშაობა აღებული მხარის წარსულისა და თანადროული მდგომარეობის შესასწავლად, ნაკრძალში არსებული წესების გასაცნობად (მისი ბუნების ხელშეუხებლობის მხრივ) და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები.
2. ს. თ ვ ა ლ ჭ რ ე ლ ი ძ ე. თებერდა. „კომუნისტი“, 1947, 25/IV, გვ. 4.
3. მ. კ ო რ ძ ა ხ ი ა და ე. ნ ა ფ ე ტ ვ ა რ ი ძ ე. ქლუხორის რაიონის კლიმატი.
3. ალ. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი და რ. ქ ო რ ქ ი ა. ქლუხორი. „კომუნისტი“. 1944, № 438.
4. ალ. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი და რ. ქ ო რ ქ ი ა. ქლუხორი. გაზ. „კომუნისტის“ გამოცემა. 1945, 44 გვ.
5. ს. ჩ ი ქ ვ ი ნ ა ძ ე. კურორტ თებერდის აღორძინება. „კომუნისტი“, 6/II—1945 წ.
6. У. А л и е в. Карачай, 1927.
7. С. А н и с и м о в. Военно-Сухумская дорога. Курорт Теберда, 1930, 135 стр.
8. Н. Б е л о у с о в. Теберда. „Заря Востока“, 1946, № 211, стр. 4.
9. И. Г а м б и е в. Карачай прежде и теперь. Р./Д., 1931.
10. А. Е в с е е в. Карачай на социалистическом подеме. Р/Д., 1934.
11. И т о г и хозяйственного и культурного строительства Карачаевской А. О. Кисловодск, 1925.
12. В. К н я з е в. Тебердинский Госуд. заповедник. Изд. „Техника да Шрома“. 1946, стр. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. Н. Кузьменко. Больше внимания отдыхающим и благоустройству курорта. „Гантиади“ 1948, № 52.
14. Курорт Теберда. Схема организации территории района. Том 1, 1941 (Материалы Курорта).
15. Курорты Северного Кавказа. Теберда. Изд. управления Влад. жел. дорог. 1911.
16. Курорты СССР (справочник). М.—Л., 1936.
17. Образцово наладить работу санаториев. „Гантиади“, 1948, № 62.
18. Первая экскурсия преподавателей средних учебных заведений Кавказкого округа в Болшой и Малый Карачай летом 1909 г., Тифлис, 1909.
19. Санаторий в Теберде. „Заря Востока“, 1947, № 118, ст. 1.
20. В. Н. Смирнов. Путеводитель по волшебной Теберде, с 3 картами, панорамой и 20 видами. Р/Д., 1913.
21. Советский Карачай. 1920 — 1940 г. г., Микоян-Шахар, 1940.
22. Н. Е. Талицкий. Очерки Карачая. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 40.
23. Теберда. Путеводитель под ред. проф. Броинера, М. 1934.
24. Г. Токарев. Поездка на снеговой хребет с.-з. части Кавказа. „Современник“, 1851, т. 28.
25. Ф. Толмачев. 40 лет со дня первого восхождения на Эльбурус. Красная звезда, 1940, 31/VII.
26. С. А. Тресинский. Строение Эльбурса. Бюллетень Мосс. О-ва испытателей природы. Отд. Геол. 1946, № 3, стр. 17—37.
27. В. Утяков. Воздействие туризма на природные условия ТГЗ (фонды ТГЗ).
28. В. Утяков. Туризм в Тебердинском государственном Заповеднике (фонды ТГЗ).
29. А. К. Фон-мекк. Клухорский перевал, 1901.
30. Г. Ф. Чурсин. Поездка по Карачаю. Тифлис, 1915.
31. В. Эристави. Открывается новый санаторий. „Гантиади“, 1949, № 60.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ზარდალიშვილი

ქლუხორის რაიონის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის გეოგრაფია

ქლუხორის რაიონის ტრანსპორტის მდგომარეობის თანადროული დონე რაიონის სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების განვითარების დონის მაჩვენებელია. რაიონის მრეწველობა მხოლოდ განვითარების პროცესშია, მემანდვრეობა და განსაკუთრებით მესაქონლეობა მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში იწყებს აღმავლობას, ამიტომ სახალხო მეურნეობის ზრდა-განვითარებასთან ერთად თანდათან ვითარდება ტრანსპორტის სახეობანი.

საქართველოს სხვა ადმინისტრაციული რაიონებისაგან განსხვავებით ქლუხორის რაიონში ტრანსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მისი მომავალი განვითარება ხელს შეუწყობს და დაჩქარებს რაიონის სახალხო მეურნეობის აღმავლობას მთლიანად და მისი ცალკეული დარგების განვითარებას (სამთომოპოვებითი, კვების, ხე-ტყის მრეწველობა, კურორტ თებერდის შემდგომი ათვისება, მინერალური წყლების გამოყენება და სხვ.) და უშუალოდ დაკავშირებს საქართველოს სს რესპუბლიკასთან.

ტრანსპორტის პრობლემა რაიონისათვის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს, რაც პირველ რიგში რაიონის ეკონომიურ გეოგრაფიული მდებარეობითაა გამოწვეული. აღნიშნული ტერიტორია საუკუნეების მანძილზე ეკონომიურად და კულტურულად მოწყვეტილი იყო მნიშვნელოვან სამიმოსვლო გზებს. თითქმის არაევითარი ურთიერთობა არა ჰქონდა მიმდებარე ქვეყნებთან, მაგ შორის რუსეთსა და საქართველოსთან (გარდა თებერდის ხეობისა, ისიც ნაწილობრივ).

სამიმოსვლო გზები ქლუხორის რაიონის ტერიტორიიზე XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ არსებობდა და ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ საცალფეხო გზებით, ბილიკებითა და გადასასვლელებით სარგებლობდა. შედარებით კეთილმოწყობილი გზების გაყვანა მიეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც დაიწყო რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიის კოლონიზაცია (XIX საუკუნეში) და გზებს, ისევე როგორც საქართველოში, უპირატესად სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა (ამას ამტკიცებს გზების სახელწოდებებიც: საქართველოს სამხედრო გზა, სოხუმის სამხედრო გზა, ოსეთის სამხედრო გზა და ა. შ.).

ქლუხორის რაიონის ტრანსპორტის განხილვისას უნდა განვასხვავოთ ორი მთავარი ხეობის — ყუბანისა და თებერდის ხეობის გზების განლაგება და სამიმოსვლო საშუალებათა განვითარების დონე, რადგანაც თებერდისა და ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანის ხეობათა გზების გეოგრაფია, კეთილმოწყობა, მშენებლობა და ისტორიული განვითარება სხვადასხვა იყო და ისინი ამჟამადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ამ მხრივ პრიმატი თებერდის ხეობას ეკუთვნის, რომელიც ძველთაგანვე დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის დამაკავშირებელ გზას წარმოადგენდა. მთელს დასავლეთ კავკასიონზე ყველაზე აღვილად მისადგომი და ხელსაყრელი გზა ქლუხორის გადასასვლელზე გადადის (2816 მ ზღ. დ.), რომლითაც შუა საუკუნეებში სარგებლობდნენ რომაელები და ბიზანტიელები, ბერძნები და თურქები, ვენეციელები და გენუელები, ქართველები... ეს იყო ვაჭრობის დიდი გზა ჩრდილოეთისა სამხრეთთან, სტეპებისა შავ ზღვასთან.

პირველი საინჟინრო გზის გაყვანა თებერდის ხეობაში რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაიწყო (1877 — 78 წ.), მაგრამ მშენებლობა შეჩერებული იქნა. უფრო გვიან, როდესაც მეფის რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა სოხუმში და საჭირო გახდა უმიკლესი და სტრატეგიული მნიშვნელობის საუღელტეხილო გზის გაყვანა სოხუმსა და ქალაქ ხუმარას შორის (ქლუხორის გადასასვლელით). გზის მშენებლობა 1890 წლიდან დაიწყო და ათ წელიწადს გაგრძელდა. გზის სიგანე 1,5 მეტრს არ აღემატებოდა და ძირითადად ჩალანდრებისათვის იყო გათვალისწინებული.

თებერდის ხეობაში გზის კეთილმოწყობას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე საკავშირო მნიშვნელობის კურორტ თებერდის, ტურისტულ-ალპინისტური ბანაკის დომბაისა და ბოლო წლებში თებერდის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნამ (1936 წლიდან).

ყუბანის ხეობაში პირველი საჩალანდრო გზა ქალაქ ხუმარიდან სოფელ უჩკულანამდე (ამჟამად მადნისხევი) გაყვანილ იქნა ჯერ კიდევ 1829 წელს, როდესაც საჭირო გახდა რუსთა რაზმების ქვემეხების გადაზიდვა ხეობის სიღრმეში. 1870 წელს გზა გაფართოებულ იქნა, რომელსაც აგრეთვე წმინდა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ამ გზამ ერთდროულად ხელი შეუწყო პოლიტიკურების მდიდარი საბადოს ექსპლოატაციისა და სახზოგადოება „იალბუზის“ შექმნას (ამჟამად „მაღარო“). ყუბანის ხეობის გზები თავისი კეთილმოწყობითა და ტვირთბრუნვით ჩამორჩება თებერდის ხეობის გზებს და დღესაც სამიმოსვლო საშუალებათა განვითარების დონის სხვადასხვაობა ამ ორ ხეობას შორის ნათლად ჩანს.

ხუთწლედების მანძილზე გაუმჯობესდა არა მარტო გზების კეთილმოწყობა, ტექნიკური შეიარაღება და მათი მომსახურება, არამედ ქლუხორის რაიონის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ (1943 წლის დამლეგს) კიდევ უფრო გაძლიერდა ქლუხორის ეკონომიური მნიშვნელობა და ტვირთბრუნვა.

ქლუხორის რაიონის ტრანსპორტის მთავარი სახეობა სახმელეთო გზებია, რომელთა საშუალებით განხორციელებულია კავშირი როგორც რაიონის შიგნით, ისე საქართველოს მომიჯნავე რაიონებთან. გზების საერთო სიგრძე და სიხშირე მეტად დაბალია, რაც, ერთი მხრივ. გამოწვეულია რელიეფური პირობებისაგან. რაიონის ტერიტორიაზე არის მხოლოდ მერიდიონალური მიმართულების ორი ვიწრო და ერთმანეთისაგან განცალკევებული ხეობა. გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისა, დასავლეთით, აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით არსებული მაღალი და ძნელად მისასვლელი ქედების რკალი დიდად აძნელებს და ხშირად შეუძლებელს ქმნის ახალი გზების მშენებლობასა და არსებულის გაფართოებას.

რაიონის გზების ქსელი ძირითადად ორი მთავარი მაგისტრალითაა წარმოდგენილი, საერთო სიგრძით 251 კმ; მათ შორის:

საკავშირო მნიშვნელობის გზები — 91 კმ.

ადგილმბრივი მნიშვნელობის გზები — 160 კმ.

სიმშრივ ეს კვადრატულ კილომეტრზე შესაბამისად დაბალია (6,9 კმ) და ამ მხრივ ქლუხორის რაიონი (სვანეთთან ერთად) ჩამორჩება საქართველოს სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებს.

თებერდის ხეობაში გადის საკავშირო მნიშვნელობის (ასფალტირებული) გზა, რომელიც ჩერქესკ-სოხუმის საკავშირო გზის ერთ-ერთი უბანია, მარშრუტით ქ. ქლუხორი — კურორტი თებერდა — ქლუხორის გადასასვლელი — სოხუმი, სიგრძით 216 კმ. აქედან ქლუხორის რაიონზე მიდის 91 კმ. გზის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ეს არის უმოკლესი და ერთადერთი გზა რაიონსა და დასავლეთ საქართველოს შორის და ამავე დროს მომსახურებას უწევს თებერდის ხეობაში მდებარე სოფლებს, კურორტ თებერდასა და, ნაწილობრივ ტურისტულ ბანაკ დომბაისა და თებერდის სახელმწიფო ნაკრძალს. თავისი კეთილმოწყობის ვამო გზა გამოყენებულია მთელი წლის განმავლობაში (ქლუხორიდან კურ. თებერდამდე) და მიმისვლისა და ტვირთბრუნვის ხარისხიც საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში. ასე, მაგალითად, 1948 წელს თებერდის გზით გადაყვანილი იყო 23 ათასი მგზავრი („სოიუზტრანსის“ ხაზით) და დამსვენებელი, გადატანილი იყო დიდძალი სურსათი და სხვა სახის ტვირთი კურორტ თებერდის, ბანაკ დომბაისა და თებერდის ნაკრძალის საჭიროებისათვის [1].

თებერდის გზის უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი დაწყებული ქლუხორიდან ხეობის თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტზე გადის და ერთ მთლიანობაში აქცევს სოფლებს: ბარს, შუქურას, მზისას, თებერდას, შემდეგ გზა კურ. თებერდიდან სამხრეთით მიემართება. მდ. განაჩხირისა და ამანაუსის შეერთების ადგილას გამოეყოფა ადგილობრივი მნიშვნელობის გზა, რომელიც მიდის მდ. ამანაუსის მარჯვენა ნაპირით ტურისტულ ბანაკ დომბაისაკენ, მთავარი მაგისტრალი კი მდ. განაჩხირის მარჯვენა სანაპიროთი სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართება და ქლუხორის გადასასვლელით აფხაზეთში გადადის.

პირველი გზა კურ. თებერდა — დომბაი (22 კმ) მდ. განაჩხირ - ამანაუსის შეერთების ადგილიდან დომბაიმდე უპროფილო ყამირი გზაა. ამის გამო მისი გამოყენება მხოლოდ ზაფხულის თვეებშია შესაძლებელი.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზები ძირითადად ყუბანის ხეობაშია და შემდეგი მთავარი მიმართულებისაგან შედგება: მთავარი მაგისტრალი ქ. ქლუხორიდან მადნისხევამდე, რომელსაც განშტოება აქვს ზედვაკისკენ, გზები მოუ-

---

1 რაიონს მომსახურეობას უწევს ქ. ჩერქესკის „სოიუზტრანსი“, საკუთრივ რაიონში კი ავტომანქანების რაოდენობა მხოლოდ რამდენიმე ათეულს უდრის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყობელია, ამიტომ მათი გამოყენების შესაძლებლობაც მეტად დაბალია, ხოლო ზამთარში ხშირად მოძრაობასაც აფერხებს. თებერდის ხეობის გზებთან შედარებით ყუბანის გზების ტვირთბრუნვა, განსაკუთრებით კი მიმოსვლა, დაბალია, თუმცა ხეობის ყველა სოფელი უზრუნველყოფილია გზით. ტვირთბრუნვის მთავარ საგნებს წარმოადგენს ხე-ტყე და სასოფლო სამეურნეო პროდუქტები.

ორ ხეობას შორის გზების განსხვავება შემდეგია (კმ-ით):

	საკავშირო გზა	ადგილობრივი გზა	სულ
თებერდის ხეობა	91	36	127
ყუბანის ხეობა	—	134	134

ამრიგად, სიგრძითა და გზების კეთილმოწყობით თებერდის ხეობას უპირატესობა აქვს ყუბანის ხეობის გზებთან შედარებით, რაც თავისებურ გავლენას ახდენს მათი ეკონომიკის ზრდა-განვითარებაზე.

გზების შემდგომი მშენებლობა-გაუმჯობესება და კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს რაიონის შემდეგ ძირითად საკითხებს: ა) შესაძლებელი გახდება წიალისეულ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია და გამოზიდვა (ქვანახშირი, ოქრო, მარმარილო, პოლიფითონები, მათ შორის მაღაროს საბადოსი); ბ) ტყის მდიდარი მასივების უფრო გეგმაზომიერი ექსპლოატაცია, ამის საფუძველზე კი ხეტყის სახერხი მრეწველობის შექმნა და მისი პროდუქციის საქართველოში გამოზიდვა უმოკლესი გზით; გ) მესაქონლეობის განვითარება სუბალპური და ალპური საძოვრების საფუძვლებზე, მისი პროდუქციის გამოზიდვა; კვებისა და ტყავის მრეწველობის შექმნა; დ) დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესება კურ. თებერდაში; ე) თებერდის სახელმწიფო ნაკრძალის ათვისება და მტკაცე მეცნიერული ბაზის შექმნა და სხვ.

ოელიოფის სირთულის გამო ახალი გზების მშენებლობა ერთობ შეზღუდულია, მაგრამ რაიონის არსებული საგზაო ქსელი მომავალში მოითხოვს რიგ ღონისძიებათა ჩატარებას. ასეთებია: 1) რკინიგზის ხაზის გაყვანა სადგურ ჯუგუთამდან ქალაქ ქლუხორამდე; 2) გზის კეთილმოწყობა მდინარე ამანაუსისა და განაჩხირის შეერთების ადგილიდან ტურისტულ ბანაკ დომბაიმდე; 3) ყუბანის ხეობაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაუმჯობესება და კეთილმოწყობა; 4) გზის დამთავრება კურორტ თებერდიდან ნარზანის წყლის გამოსავლამდე (6,5 კმ); 5) გზის კეთილმოწყობა სოფელ ბარიდან ახალყანამდე (დუუარდონი, რომელიც მთელი რაიონის ყველაზე მნიშვნელოვანი სათესი ფართობია); 6) დასასრულ, ყველაზე მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს საავტომობილო მიმოსვლის მოგვარება ქლუხორის გადასასვლელით.

რაიონის შემდგომი კულტურულ-ეკონომიური განვითარება და საქართველოს სს რესპუბლიკასთან კავშირის გაძლიერება მოითხოვს გადასასვლელზე რეგულარული მიმოსვლის უზრუნველყოფას, რისთვისაც საჭიროა კედლების გამაგრება ზვავებისა და ჩანგრევის თავიდან აცილების მიზნით, ან გვირაბის გაყვანა დომბაის ტაფობიდან მდინარე ჩხალთას ხეობამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოდან ქლუხორის რაიონში მისასვლელი სამი გზაა: რკინიგზით ბაქოსა და სოხუმის მიმართულებით (ჩერქესკამდე) და საავტომობილო გზით ძაუჯიყაუდან — ჩერქესკამდე. ქლუხორის გადასასვლელზე რომ გზა გაიხსნება ეს იქნება უმოკლესი და ყველაზე ხელსაყრელი გზა საქართველოსა და რაიონს შორის. საილუსტრაციოდ ვათავსებთ თბილისადან ქლუხორის რაიონისაკენ ოთხი მისასვლელი გზის მარშრუტებსა და მანძილებს (ჩერქესკ-ქლუხორის საავტომობილო გზის ჩათვლით):


ბაქო
ბაკურიანი
ბორჯომი
ახალციხე
ბოლნისი
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაქო
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაკურიან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქლუხორის გადასასვლელით უმოკლესი გზა ერთდროულად შეამცირებს ტვირთზიდვისათვის საჭირო დროს და სატრანსპორტო ხარჯებს. გაზრდის და განამტკიცებს ტვირთბრუნვას, ერთი მხრივ, ქლუხორის რაიონსა და საქართველოს შორის, მეორე მხრივ) ჩრდილო კავკასიასთან, კიდევ უფრო გაზრდის კურორტ თებერდისა და ტურისტულ ბანაკ დომბაის ნნიშვნელობას და შესაძლებელს გახდის მათ გამოყენებას საქართველოს მშრომელებისათვის. ასე მაგალითად, სოხუმიდან კურორტ თებერდამდე მანძილი 171 კმ უდრის, ტურბანაკ დომბაიმდე კი მხოლოდ 150 კმ. დასასრულ, გადასასვლელის გზა სოხუმის ნავსადგურს უშუალოდ ჩრდილო კავკასიასთან დაკავშირებს.

ქლუხორის გადასასვლელზე არც რკინიგზის გაყვანის შესაძლებლობაა რეალობას მოკლებული, მით უმეტეს, რომ ნევინომისკისა და ძაუჯიყაუდან ტრანსკავკასიის 17-მდე პროექტია ცნობილი, მათ შორის რკინიგზის გაყვანის პროექტი ნევინომისკს — თებერდას შორის, რასაც ხელს უწყობს ხეობის პროფილი და დაქანებაც. ასე, მაგალითად, ქალაქ ქლუხორიდან კურორტ თებერდამდე სიმაღლითი განსხვავება მხოლოდ 430 მეტრია, რაც თვითეულ კილომეტრ მანძილზე 9,6 მეტრს უდრის (45 კმ მანძილზე). ასეთი ამაღლება საკმებით მისაღებია რკინიგზის მშენებლობისათვის.

რაიონის შიდაკავშირისა და განსაკუთრებით საქართველოსთან დასაკავშირებლად დიდი მნიშვნელობა აქვს გადასასვლელებსა და საცალფეხო გზებს. რომლებიც საავტომობილო გზების დამატებასა და ხშირად გაგრძელებას წარმოადგენენ. თუ კი ადვილად მისასვლელ თებერდისა და ყუბანის ხეობებში კეთილმოწყობილი გზებია გაყვანილი, მაღალ მთებსა და ძნელად მისასვლელ ადგილებში საცალფეხო გზებია შექმნილი, რომელთა მთავარი დანიშნულებაა მესაქონლეობის მომსახურება, ხე-ტყის გამოზიდვა საავტომობილო გზებამდე, ტყის ხანძრების ჩაქრობა, ტურისტების მომსახურება, მეზობელ რაიონებთან დაკავშირება და სხვ.

ყველა მნიშვნელოვანი საცალფეხო გზა აფხაზეთისა და სვანეთის მიმართულებით შემდეგი გადასასვლელებთ გადადის: ქ ლ უ ხ ო რ ი ს გადასასვლელი (2816 მ) აერთიანებს მდინარე ჩრდილო ქლუხორის ხეობას კლიჩისა და კოდორის ხეობებთან. აღნიშნული გადასასვლელი ყველაზე გვიან იკეტება და ადრე იხსნება, ადვილი მისასვლელია და ტურისტები დომბაის ტაფობადან აფხაზეთში გადმოსასვლელად უპირატესად ქლუხორის გადასასვლელით სარგებლობენ.

მ ა ხ ა რ ი ს გადასასვლელი მეორეა თავისი მნიშვნელობით (2880 მ). მდებარეობს ხუთი კილომეტრის მანძილზე ქლუხორის გადასასვლელის სამხრეთ აღმოსავლეთით და აერთებს მდინარე მახარის ხეობას კლიჩის ხეობასთან; ა ლ ი ბ ე კ ი ს გადასასვლელის (3207 მ) უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქლუხორის რაიონს აკავშირებს, ერთი მხრივ, აფხაზეთთან, მდ. ჩხალთას ხეობასთან და, მეორე მხრივ, სტავროპოლის მხარესთან მდინარე აქსაუთის ხეობასთან, დ ო მ ბ ა ი-უ ლ გ ე ნ ი ს (3006 მ) გადასასვლელი აერთებს ამავე სახელწოდების ხეობას ფტიშის (აფხაზეთის) ხეობასთან, შედარებით ძნელი მისადგომია და მით ნაკლებად სარგებლობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთისაკენ რამდენიმე გადასასვლელია, მაგრამ თითოეული მათგანის სიმაღლე სამი ათას მეტრს აღემატება, ძნელი მისასვლელებია და სარგებლობის ვადაც ერთობ შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, ყუბანის რაიონში მცხოვრები სვანები თითქმის მთელი წლის განმავლობაში სარგებლობდნენ ამ გადასასვლელებით სვანეთში მიმოსვლისათვის. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვ-



ნახ. 2. ავიახაზების მიმართულებანი ქ. ქლუხორიდან

ანია ბასას გადასვლელი (3033 მ), რომელიც დონღუზორუნის (3197 მ) და აზაუს (3267 მ) გადასასვლელების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. აქედან საცალფეხო გზა მდინარე მახარის ხეობით ზემო სვანეთის გზატკეცილზე გამოდის. აზაუს გადასასვლელით კი საცალფეხო გზა ზემო სვანეთის სოფელ ტერსკოლში ჩადის და ტერსკოლ-ბაქსანის გზატკეცილის საბოლოო პუნქტს წარმოადგენს. აღმოსავლეთით და დასავლეთით თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასასვლელი არ არის და რაიონის საგზაო ქსელში მათ არავითარი ხვედრითი წონა არა აქვთ.

ყუბანისა და თებერდის ხეობებს აკავშირებს ერთად-ერთი და შედარებით ადვილად მისადგომი ეჩჩიკის გადასასვლელი (2998 მ), რომელიც დაუთის წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს და მდ. პენდელუ-სუს ხეობას (მდ. დაუთის მარცხენა შენაკადი) აერთებს ჯამაათის ხეობასთან (კურ. თებერდის მახლობლად).

სახმელეთო გზების შემდეგ თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილზეა ავიატრანსპორტი, რომელიც სარაიონთაშორისო კავშირის ძლიერი რგოლია. ავიატრანსპორტის დადებითი მხარეა თბილისს-ქუთაისს-სოხუმსა და ქლუხორს შორის უმოკლესი კავშირის დამყარება და სისწრაფე.

რეგულარული ავიამიმოსვლა ქლუხორის რაიონსა და საქართველოს შორის მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში დაიწყო და ტვირთბრუნვა და მგზავრების გადაყვანა განუხრელად იზრდება. ქ. ქლუხორიდან ავიომიმოსვლა 13 მიმართულებით წარმოებს, მათგან 3 საქართველოსაკენ (სოხუმი — ქუთაისი — თბილისი) და 10 ჩრდილო კავკასიისაკენ. პირველი ხაზები რეგულარულია და მგზავრებთან ერთად წარმოებს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის გადაზიდვა. მეორენი სეზონური და ძირითადად მომსახურებას უწევს ჩრდილო კავკასიიდან მომავალ დამსვენებლებსა და ტურისტებს, უპირატესად ზაფხულის თვეებში.

მიუხედავად იმისა, რომ ავიახაზების რაოდენობა ჩრდილო კავკასიისაკენ სამჯერ მეტია, ვიდრე საქართველოსაკენ, ტვირთბრუნვისა და მგზავრების გადაყვანის თვალსაზრისით მასა მაინც საქართველოს რესპუბლიკაზე მოდის (90 პროცენტამდე). გარდა ამისა, ქლუხორის აეროპორტი მომსახურებას უწევს სტაროპოლის მხარის მახლობელ რაიონებს.

კურორტ თებერდასა და ტურისტულ ბანაკ დომბაის მომავალ ზრდასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ახალი ორი დამატებითი ავიახაზის შექმნა ქლუხორიდან ხარკოვისა და მოსკოვის მიმართულებით.

საჰაპანო ტრანსპორტის ძირითადი სახეობაა ურემი (კოლმეურნეობებში), რომლითაც გამოაქვთ ხე-ტყე გზატკეცილამდე და ეზიდებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს: ტრანსპორტის დანარჩენი სახეობანი რაიონში არა გვაქვს, თუმცა მომავალში გათვალისწინებულია მდინარეების (თებერდის, ყუბანისა და ზოგიერთი შენაკადის) გამოყენება ხე-ტყის დასაცურებლად.

კავშირგაბმულობა. რაიონში კავშირგაბმულობის ორი კანტორა (ქ. ქლუხორი, კურ. თებერდა) და სამი სააგენტო ითვლება (მადნისხევი, მზისა, თებერდა). ყველა სასოფლო საბჭოა დიდი დასახლებული პუნქტი უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირით, რომელთა საერთო სიგრძე 320 კილომეტრამდე აღწევს. გარდა ამისა, ქალაქი ქლუხორი სატელეფონო ხაზითაა დაკავშირებული თბილისთან მარშრუტით: ქლუხორი — ჩერქესკი — პიატიგორსკი — ძაუჯიყაუ — თბილისი, რაც დიდად აძნელებს რეგულარულ სატელეფონო კავშირს. აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით 1948 წელს დაიწყო პირდაპირი სატელეფონო ხაზის გაყვანა ქ. ქლუხორიდან სოხუმამდე (სოხუმის სამხედრო გზის გასწვრივ). ქლუხორის გადასასვლელზე სატელეფონო ხაზი 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმ მანძილზე მიწისქვეშაა ჩაფლული („სევერნი პრიუტიდან“ ღვანდრამდე), რომ დაცულ იქნას დაზიანებისაგან. აღნიშნული ხაზი (საავტომობილო გზის მსგავსად) ამცირებს მანძილს, დროს, ხარჯებს და შესაძლებელს ხდის რეგულარული სატელეფონო კავშირის დამყარებას სოხუმსა და თბილისთან.

ციტირებული ლიტერატურა

1. Фон-Мекк. Клухорский перевал. Ежегод. русск. геогр. общ. сб. 7.
2. Путешествие по Нахарскому перевалу. „Кавказ“, 1873, № 148, 1879, 130 — 132, 136 — 147.
3. М. Познанский. Из Сухума в Кисловодск через Клухорский перевал. „Зап. Крымского горн. клуба“. Одесса, 1913. № 3.
4. Пути из Кубанской долины через Главный Кавказский хребет к берегам Черного моря. КВВ 1867, стр. 46.
5. Ш. Н. От Пятигорска до Сухума через Нахарский перевал. „Кавказ“, 1873. стр. 148.
6. В. Шуровский. Семь недель по перевалам Западного Кавказа. Ежег. русск. геогр. об. 5.
7. В. Шуровский. От Малки через Сванетию в Карачай. Ежегоен. русск. геогр. об. 3. М. 1905 (1903).
8. А. Бернацкий. От Сухума до перевала Домбай — Ульген. „Кавказ“, 228 — 9, 1879.
9. А. Голубев. Пешком из Пятигорска на Эльбурс. Ежегодн. русск. геогр. сб. 9.
10. У. Алиев.. „Карачай“, Р. Д., 1927.
11. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ. გოგებაშვილი

სასაქონლო ფონდები და ეკონომიური კავშირი

1. სასაქონლო ფონდები და საქონელგრუნვა

რევოლუციამდელ ქლუხორის რაიონში კერძო ჩარჩ-ვაჭრები ყიდულობდნენ და უფრო ხშირად ცვლიდნენ სამრეწველო საქონლზე მესაქონლეობის პროდუქციას — პირუტყვს, ტყავს, ბეწვეულს, რძის ნაწარმს, კვერცხს და სხვ. ამისათვის მათ ჰქონდათ მოწყობილი დუქნები. 1914 წელს რაიონში 40 დუქანი იყო. დუქნების პატრონები იყვნენ ერთხელ მთის ებრაელები, ქართველები და რუსები. დღევანდელ მადნისხევში კვირაში ერთხელ ეწყობოდა ბაზრობა. ბაზრობაზე ყიდდენ ყუბანის ოლქიდან შემოტანილ ფქვილს, კარტოფილს, სიმინდს, საზამთროს, ბოსტნეულს და ადგილობრივ ცხენებს, ხარებს, ცხვრებს, ტყავებს, ბეწვეულს, ნაბდებს და სხვ.

პირუტყვს ყიდულობდნენ აგრეთვე სოხუმიდან მოსული ჩარჩ-ვაჭრები და ქლუხორის უღელტეხილის გზით ერეკებოდნენ სოხუმში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქლუხორის რაიონში კოოპერაციული ვაჭრობა განვითარდა, ხოლო 1935 წლიდან მოეწყო სახელმწ. ვაჭრობის ქსელი, რომელსაც ჰქონდა მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სავაჭროებისათვის სპეციალურად აგებული შენობებისა და სავაჭრო მოწყობილობის სახით. გერმანელმა ფაშისტებმა გაანადგურეს ეს ქსელი, მათ მიერ განადგურებული სავაჭრო ქსელის სასაქონლო-მატერიალური და ძირითადი საშუალებანი შეფასებულია 2 მილ მანეთამდე.

საქართველოს სსრ-თან შეერთების შემდეგ ქლუხორის რაიონში, სადაც ახლად დასახლებულ მცირერიცხოვან მოსახლეობას ჯერ ფართოდ არ გაუშლია სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, სასაქონლო ფონდები შედარებით მცირე რაოდენობისაა და საქონელბრუნვაც დიდი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ახლად მოსული რაიონის სოფლის მოსახლეობა ახალი კუთხის ათვისებას აწარმოებს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დიდი მზრუნველობისა და დახმარების გამო სავსებით იკმაყოფილებს თავის მზარდ მოთხოვნილებებს კოლმეურნეობებში მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით (ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, რძე, ერბო, კარაქი, ყველი, თაფლი, ხორცი) და ამავე დროს უკვე იძლევა სასაქონლო პროდუქციას. რაიონის სოფლები ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ დამზადებათა და საკოლმეურნეო ბაზრის საშუალებით ამარაგებენ ქ. ქლუხორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობას კარტოფილით, კარაქით, ერბოთი, ყველით, ხორცით, თაფლით, ხილით, კვერცხით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებები 1948 წ. თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა 1946 წელთან შედარებით.

ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო და სარეწაო კოოპერაციის მრეწველობაც უკვე იძლევა ფართო მოხმარების სასაქონლო პროდუქციას: ავეჯს, თიხის ჭურჭელს, შეკერილ ტანსაცმელს, ტრიკოტაჟს, ლუდს, უალკოჰოლო სასმელებს. მრეწველობის გაცემითი ფასებით ეს პროდუქცია იყო: 1945 წელს 3 მილ. მან., 1946 წ. — 5,5 მილ. მან. და 1947 წ. 9 მილ. მანეთისა. ამ პროდუქციის გასაღება, მცირე გამონაკლისის გარდა, ხდება ადგილობრივ რაიონში, მხოლოდ მცირე ნაწილი (ტრიკოტაჟი, წინდები, ნაბდის ჩექმები) იყიდება სტავროპოლის მხარის ¡მეზობელ რაიონებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შორის გზით თბილისიდან შემოტანილი ნედლეული და მასალები წარმოებას ძვირად უჯდება და ამასთანავე ნაწარმთა ხარისხიც არა დგას სათანადო სიმაღლეზე. ამიტომ ადგილობრივი მრეწველობის სასაქონლო პროდუქცია სწრაფად ვერ საღდება.

საქართველოს სსრ-თან შეერთების შემდეგ ქლუხორის რაიონში გაშლილია „საქვაპრობის“ (საქართველოს ვაპრობის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო საცალო ვაპრობის ორგანიზაციის ქლუხორის განყოფილების) საცალო ვაპრობის ქსელი. საქვაპრობის განყოფილება აწარმოებს საცალო ვაპრობას, საზოგადოებრივი კვების საქმეს და პურის ცხობას.

1948 წლის ივლისიდან რაიონის სოფლებში მოეწყო კიდევ ქლუხორის გარეუბნის სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების საცალო ვაპრობის ქსელი. ამ საზოგადოებაში 900 წევრი იერიცხება. კოოპერაციის საცალო ვაპრობის ქსელის გაშლის შემდეგ რაიონის სოფლებში დარჩება მხოლოდ კოოპერაციული ვაპრობა.

საქვაპრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ვაპრობის ქსელის საქონელბრუნვა და განლაგება 1948 წელს შემდეგი იყო:

სავაპროების ადგილმდებარეობა	სავაპროების რიცხვი	საქონელბრუნვა (ათასმანეთობით)
ქ. ქლუხორი	10	10107,7
კურორტი თებერდა	3	1369,7
სოფ. ახალშენი	2	317,2
„ მზისა	2	345,8
„ თებერდა	2	343,2
„ მთისძირი	2	130,8
„ მადნისხევი	2	328,1
„ ზემო მადნისხევი	2	147,2
„ ხიდვაკე	2	455,9
სულ	27	13,545,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქვაპრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ვაპრობის ქ! ელის გარდა რაიონში (ქ. ქლუხორში და კურორტ თებერდაში) არის კიდევ რაი-



ნახ. 1. საკონელბრუნვის დინამიკა

მრეწვკომბინატის, მუშათა მომარაგების განყოფილების „სტავროპოლუგოლის“, კურორტვაპრობის პიატიგორსკის განყოფილების, საქწიგნისა და საკავშირო

8. გეოგრაფიის ინსტ. შრომები, ტ. IV, ნაკვეთი 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდვით ნაწარმთა საცალო ვაჭრობის ქსელი. საცალო ვაჭრობის ქსელი მთელს რაიონში 46 ერთეულს, ხოლო საქონელბრუნვის ჯამი 15,0 მილ. მანეთს შეადგენს.

ქ. ქლუხორის მოსახლეობას ემსახურება საქვაჭრობის ქლუხორის განყოფილების საცალო ვაჭრობის ქსელი, მაგრამ აქვე არის რამდენიმე სავაჭრო წერტი სამომხმარებლო კოოპერაციის, მუშათა მომარაგების, „სტავროპოლუგოლის“, ქლუხორის რაიმრეწკომბინატის, სარეწაო კოოპერაციისა და საქწიგნისა.

ქ. ქლუხორში არის ავრეთვე საკოლმეურნეო ბაზარი, სადაც რაიონის კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შემოაქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

კურორტ თებერდის მკვიდრი და მოსული მოსახლეობის მომარაგებას სამამულო ომამდე სამომხმარებლო კოოპერაცია აწარმოებდა. სანატორიუმებში პროდუქტების დიდ ნაწილს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ღებულობდნენ კოლმეურნეობებისაგან. რძითა და რძის ნაწარმით მომარაგება ხდებოდა კურორტიდან 10 კილომეტრით დაშორებული ყველის ქარხნიდან. საყოფაცხოვრებო მომსახურეობას ეწეოდნენ არტელ „წითელ თებერდის“ წვრილი საწარმოები, სამკერავლო, ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნო, საათებისა და საზეინკლო სახელოსნო, ბურახისა და ლუდის წარმოება.

საქართველოს სსრ-თან შეერთების შემდეგ კურორტ თებერდას ემსახურება საქვაჭრობის ქლუხორის განყოფილებისა და კურორტვაჭრობის პიატიგორსკის განყოფილების სავაჭრო ქსელი. არის ავრეთვე საკოლმეურნეო ბაზარი.

სანატორიუმების მომარაგება კვების პროდუქტებით (ფქვილი, ბურღული, ხორცი, თევზი, ერბო, შაქარი, კვერცხი და სხვ.) ხდება ცენტრალიზებული ფონდებიან კურორტვაჭრობის მიერ, რომელიც საქონელს გზავნის პიატიგორსკიდან (240 კმ თებერდამდე) და ჩერკესკიდან (110 კმ თებერდამდე). რძეს სანატორიუმები ღებულობენ საკუთარი ფერმებიდან (თებერდაში).

(რაიონის ეკონომიური კავშირი საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებთან და მოძმე რესპუბლიკებთან (ნედლეულის, მასალებისა და მზა ნაწარმთა შემოტანა და გატანა)

ქლუხორის რაიონი, როგორც საქართველოს სსრ-ის ახლად დაარსებული რაიონი, ჯერ მხოლოდ ოთხი წელიწადია, რაც იბრძვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმიდან გამომდინარე მის ხვედრ სამეურნეო დავალებათა შესრულებისათვის და ახლად განვითარებული მეურნეობის შესაბამისად მას აქვს ეკონომიური კავშირი საქართველოს სსრ სხვა რაიონებთან.

რაიონის გარეთ იგი ეკონომიურად მჭიდროდ დაკავშირებულია ქ. თბილისთან და ნაწილობრივ ქ. სოხუმთან; მას აქვს ეკონომიური კავშირი ავრეთვე სტავროპოლის მხარის მეზობელ რაიონებთან (ზელენჩუკი, ჩერქესკი, პიატიგორსკი).

ახლად აღორძინებული სახელმწიფო და სარეწაო კოოპერაციის ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობა ნედლეულსა და მასალებს (ტყავნედლეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყავი, მატყლი, ბამბეულის ქსოვილი, შაქარი) ღებულობს ქ. თბილისიდან [1]. ქ. თბილისიდანვე სახელმწიფო ვაჭრობა „საქვაჭრობა“ და სამომხმარებლო კოოპერაცია „ცეკავშირი“ (1948 წლიდან) რაიონის მოსახლეობას აწვდიან სამრეწველო და სასურსათო საქონელს. „საქვაჭრობის“ მიერ ქ. თბილისიდან რაიონში შეზიდულია საქონელი (ქსოვილები, ზზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, გალანტერეა, ტრიკოტაჟი, ბაკალეა - გასტრონომია, სოფჯახო-სამეურნეო საქონელი, კულტსაქონელი, ჭურჭელი, ფქვილი, შაქარი): 1944 წ. — 9 მლნ. მან., 1945 წ. — 7 მლნ. მან., 1946 წ. — 10 მლნ. მან. და 1947 წ. 12 მლნ. მან.



ჰირობითი ნიშნები:

შემოტანილია თბილისიდან

ადგილობრივი ნაწარმოები

შემოტანილია სტავროპოლის მხარედან

ნახ. 2. საქონლებრუნვის წყაროები

საქონლისა და მასალების შეზიდვა ქ. თბილისიდან ძირითადად რკინიგზით წარმოებს: თბილისი-ბაქო, ნევინომინსკი, ქ. ჩერქესკი, საიდანაც საქონელი გადაიქვთ გზატკეცილი გზით — ავტომანქანებით 60 კმ მანძილზე ქ. ქლუხორიდან. ზაფხულის პერიოდში ზოგჯერ საქონლის შეზიდვა თბილისიდან წარმოებს ავტომანქანებით: საქართველოს სამხედრო გზა — ნალჩიკი, მინერალური წყლები, ბატალპაშინსკი, ჩერქესკი — ქ. ქლუხორი. არის შემთხვევები, როდესაც თბილისიდან საქონელს გზავნიან საჰაერო გზით. საჰაერო გზითვე ქუთაისიდან ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეებს ქ. ქლუხორის საკოლმეურნეო ბაზარზე გაიქვთ ღვინო, ხოლო სოხუმის კოლმეურნეებს — ხილი, ციტრუსები. სამრეწველო და სასურსათო საქონლის შემოზიდვა, განსაკუთრებით კურორტ თებერდის მოსამარაგებლად, ხდება აგრეთვე სტავროპოლის მხარიდან. სტავროპოლის მხარიდან ქ. ქლუხორის სამრეწველო საწარმოებისათვის ნაწილობრივ შემოაქვთ აგრეთვე ქვანახშირი, ხოლო სტავროპოლის მხარე ღებულობს ქლუხორიდან ელექტროენერგიას. ამავე მხარის კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ქ. ქლუხორის საკოლმეურნეო ბაზარზე შეზიდავენ: კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, ხორცი, ცხიმეული, რძის

[1] 1947 წელს ქლუხორის რაიონის მრეწველობას აქვს მიღებული ქ. თბილისიდან: ბამბის ნარჩი (2585 კგ), ძაფი (450 გორგალი, ტყავნაღდლეული 434 ცალი), ტყავი საპირე და ხაძირე (60465 დმ) და მატყლი ყაზბეგიდან და ფუშეთიდან (9221 კგ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმი, ფრინველი, მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვი, ღორები, კვერცხი, თაფლი და სხვ.

ქლუხორის რაიონნი, როგორც ტყიან მდიდარი, ქ. თბილისს უგზავნის ხე-ტყეს. 1948 წელს ივლისის თვემდე თბილისის ბინათმშენებლობისათვის რაიონში დამზადებულია 12 ათას კუბ. მეტრზე მეტი მერქანი. ხე-ტყე იგზავნება თბილისში რკინიგზით, ბაქოს მიმართულებით. თბილისშივე ქლუხორის მონადირეთა ამხანაგობის მიერ იგზავნება სხვადასხვა ბეწვეული[1]. იყო შემთხვევები, რომ თბილისში საჰაერო გზით გაიგზავნა პირუტყვი.

ხე ტყისა და ბეწვეულის გარდა ახალგაზრდა რაიონმა უკვე შესძლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანა რაიონის გარეთ. ქ. სოხუმის მოსახლეობას საკლმეურნეო ბაზრის საშუალებით ქლუხორის რაიონი ამარაგებს კარტოფილით, ყველით და თაფლით.

3. პერსპექტივები

სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის განვითარებასთან დაკავშირებით ქლუხორის რაიონში დიდად განვითარდება კარტოფილის, ხორცის, ტყავეულობის, მატყლის, რძისა და რძის ნაწარმის, თაფლის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება.

მონადირეობის მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით გაიზრდება ბეწვეულის დამზადება. კარტოფილი, ხორცი, ტყავეულობა, მატყლი, ბეწვეული, რძე და რძის ნაწარმი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უხვად გაიგზავნება საქართველოს სსრ რაიონებში, რისთვისაც საჭიროა უახლოესი გზები და სატრანსპორტო საშუალებანი.

კარტოფილის ნათესების ზრდის პარალელურად საჭიროა წესიერად მოეწყოს მისი რეალიზაციის ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ უკვე სადღეისოდ კარტოფილის მომყვან კოლმეურნეობებში მისი შემოსავალი იმდენად დიდია, რომ კოლმეურნეების მიერ შრომადღეზე მიღებული კარტოფილის ოდენობა 8 — 10-ჯერ აღემატება კოლმეურნეობათა პირად მოთხოვნილებას. კარტოფილის კულტურის შემდგომი ზრდის სტიმულირების ამოცანა მოითხოვს, რათა კოლმეურნეებს შრომადღეზე მიღებული კარტოფილის უხვი მოსავლის რეალიზაციისათვის დიდი შრომის დახარჯვა და დროს გაცდენა არ უხდებოდეთ. ამისათვის საჭიროა რაიონში დეცენტრალიზებული დამზადებების ფართოდ გაშლა.

ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის ადვილად რეალიზაციისათვის საჭიროა ხარისხის გაუმჯობესება და გაიაფება.

რაიონის მოსახლეობისა და მათ სამომხმარებლო მოთხოვნილებათა ზრდა უკვე ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ საკმარისი აღარ არის არსებული საკაჭრო ქსელის საშუალებით მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის მოსახლე-

---

[1] ქლუხორის მონადირეთა ამხანაგობამ 1947 წელს თბილისში გაგზავნა ბეწვეული (მგელი, მელა, კურდღელი, ბარეული კატა, კვერნა, ციყვი, ფოცხვერი და სხვ...) 4335 მან. სახელმწიფო ფასებით, ხოლო 1948 წ. 6 თვეში — 4777 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის, მომარაგება. ამიტომ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემამ — საქვაჭრობამ სოფლად ადგილი უნდა თაუთმოს სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელიც ამჟამად ახლად განვითარების საფეხურზეა და უფრო მეტი ყურადღება გაამახვილოს ქ. ქლუხორისა და კურორტი თებერდის მომარაგების საქმეზე. სამომხმარებლო კოოპერაცია კი გააძლიერებს თავის მუშაობას სოფლად და ამავე დროს, კვების პროდუქტების ადგილობრივი სასაქონლო რესურსების დამზადებათა გაფართოების გზით, გაშლის კოოპერაციულ ვაჭრობას ქ. ქლუხორში და კურორტ თებერდაში.

რაიონის მზარდ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს აგრეთვე არსებული საზოგადოებრივი კვების ქსელი. სულ მოკლე ხანში საჭიროა, რომ სახელმწიფო და კოოპერაციულმა ვაჭრობამ ფართოდ გაშალოს საზოგადოებრივი კვების ქსელი.

კურორტ თებერდის მომსახურება, როგორც სავაჭრო ქსელით, ისე საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებისათვის, ჯერ-ჯერობით არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. სავაჭრო ქსელის გაფართოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება მით უფრო საჭიროა, რომ კურორტის მოსახლეობა, როგორც მკვიდრი, ისე დროებით მოსული, სისტემატურად მატულობს.

სავაჭრო ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ კურორტ თებერდასთან ახლო მდებარე ნარზანის წყლით მომარაგება. სანატორიუმებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სასაკლაოსა და მაცივრის მოწყობა, რომლის მშენებლობა თებერდაში გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ 1941 წელს. დომბაის მომსახურეობისათვის იქ უნდა მოეწყოს წვრილი საცალო ვაჭრობის ქსელი.

ლიტერატურა

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები.
2. Советский Карачай 1920—1940 г. г., Инкоян-Шахар, 1940.
3. Умар-Алиев. Карачай. Ростов н/д. 1927.
4. Г. Ф. Чурсин. Поездка по карачаю, Тифлис, 1915.
5. В. И. Сысоев. Карачай в географическом, бытовом и историческом отношении. Тифлис, 1915.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ზარდალიშვილი

ქალაქი ქლუხორი

ქალაქი ქლუხორი საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. 1926—1927 წლებში მდინარე ყუბანისა და თებერდის შეერთების ადგილას სოფუქველი ჩაეყარა ახალ სოციალისტურ ქალაქს მიქოიან შაჰარს (1944 წლიდან ქ. ქლუხორი).

ახალი ქალაქის ხელსაყრელმა მდებარეობამ განსაზღვრა მისი ტერიტორია, კონფიგურაცია და ქალაქის შემდგომი ზრდა-განვითარება.

ქალაქის ხელსაყრელი მდებარეობის თავისებურება შემდეგში მდგომარეობს. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში თებერდის ხეობა გაცხოველებული ვაჭრობის გზას წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის. მდინარე ყუბან-თებერდის შეერთების ადგილიდან 13 კმ. დაშორებით (ჩრდილოეთით) არსებობდა მნიშვნელოვანი ქალაქი ხუმარა, მაგრამ უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე, როდესაც ძველი სავაჭრო გზა სრულიად მოიშალა, ქ. ხუმარას მნიშვნელობა დაეცა. ამრიგად ერთმა და იმავე გეოგრაფიულმა მდებარეობამ ჯერ ხელი შეუწყო, შემდეგ კი მინიმუმამდე დაიყვანა მისი როლი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყარაჩაის ყოფილ ტერიტორიაზე არც ერთი ქალაქი არ ყოფილა, რომელიც ერთ მთლიანობაში მოაქცევდა ახლო მდებარე რაიონებს და დააკმაყოფილებდა სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის მზარდ მოთხოვნილებებს. ამ მიზნით საფუძველი ჩაეყარა ახალ ქალაქს მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, როდესაც ქლუხორის რაიონი საქართველოს სსრ ოესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა.

ქალაქი მდებარეობს 880 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, რაიონისა და სტავროპოლის მხარის საზღვარზე. საქართველოში იგი უკიდურეს ჩრდილო ქალაქად ითვლება (კოორდინატები აღ. სიგ. 41° და 54′, 55″ და ჩრ. განდ. 43° 46′ 14″). ქალაქი მთებით გარშემორტყმულ ტაფობშია გაშენებული. მას სამხრეთით საზღვრავს დაუთის წყალგამყოფი, რომელიც რაიონს ყოფს ორ ნაწილად თებერდისა და ყუბანის ხეობად და ვრცელდება სამხრეთი მიმართულებით ამავე სახელწოდების ხეობისაკენ. გარშემო მდებარე მთები დაფარულია ტყითა და ბუჩქნარებით, მხოლოდ დასავლეთით აღმართული ქედის, ქალაქისაკენ მიშვერილი კალთები კი კლდოვანი და მცენარეულის საფარს მოკლებულია.

ქალაქის კლიმატური პირობები თავისი სიმაღლისა და მთებით გარშემორტყმის გამო მეტად თავისებურია. ქალაქის კლიმატი გარდამავალია მაღალმთიანი (ქლუხორის რაიონი) და ტყე-სტეპის უფრო მშრალ (სტავროპოლის მხარე) კლიმატს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო თვიური t°-ის მონაცემები შემდეგია: მინიმუმი გვაქვს იანვარსა (— 3,4°) და თებერვალში (— 2,3°), ხოლო მაქსიმუმი ივლისს — აგვისტოში (18,4° — 18,0°).

ამრიგად, საშუალო t° უარყოფითია მხოლოდ ზამთრის თვეებში ამასთანავე ხუთი თვის (V — IX) საშუალო t° 10° მაღალია, რაც საკმარისია ვეგეტაციის პერიოდისათვის და მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ქალაქის საგარეუბნო მეურნეობის განვითარებისათვის.

აბსოლუტური მინიმუმი დეკემბერსა (— 30°) და იანვარზე (— 29°) მოდის, ამასთანავე ყველა თვის აბსოლუტურად მინიმალური t° ნულზე დაბალია, მხოლოდ ზაფხულის თვეებში — ივნისს — ივლისსა და აგვისტოში — ნულზე მაღალი.

ნალექების რაოდენობა ქალაქში 635 მმ. უდრის, რაც გაცილებით მეტია მის სამხრეთით მდებარე დასახელებულ პუნქტებზე. ამ მიმართულებით, სიმაღლის მატებასთან ერთად, თანდათან მატულობს ნალექების რაოდენობაც.

ნალექების დიდი რაოდენობა მოდის გაზაფხულის დამლევსა და ზაფხულის თვეებში:

მაისი	— 114 მმ
ივნისი	— 113 „
ივლისი	— 112 „

ნალექების მინიმალური რაოდენობა მხოლოდ ზამთრის თვეებში მოდის, მაგ:

დეკემბერი	— 11 მმ
იანვარი	— 5 „
თებერვალი	— 12 „

ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში 132 აღწევს, მათ შორის ზაფხულის თვეებში 14 — 15 დღეს, ხოლო ზამთრის თვეებში 9 — 10 დღეს.

ქ. ქლუხორი ძველი ქლუხორის რაიონისა და ახლომდებარე რაიონების ყველაზე მსხვილი დასახლებული პუნქტი, კულტურულ-დამნისტრაციული, მრეწველობის ცენტრი და ტრანსპორტის მნიშვნელოვანი კვანძია.

გერმანელ ფაშისტთა მიერ რაიონის დროებითი ოკუპაციის პერიოდში დაინგრა და წყობილებიდან გამოვიდა რიგი საწარმოები, დაწესებულებები, საცხოვრებელი ბინები. ოკუპაციის შემდეგ დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა. აღდგენილ იქნა ხუთასსენნისძალიანი ჰიდროელსადგური, რომელიც ელექტროენერგიით აკმაყოფილებს არა მარტო ქალაქის მოთხოვნილებას, არამედ დენს აწვდის ახლომდებარე სტავროპოლის მხარის სოფლებსა და ქვანახშირის მაღაროებს. აღდგენილ იქნა აგრეთვე რიგი საწარმოები, რადიოკვანძი, კულტურის სახლი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, საცხოვრებელი ბინები და სხვ. ქალაქის მეურნეობის აღდგენითი სამუშაოები და მისი ზრდის ტემპები ყოველწლიურად იზრდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ მთელი რაიონის მრეწველობის 94% ქალაქშია თავმოყრილი.

ქალაქის მრეწველობა ძირითადად სამი დარგითაა წარმოდგენილი. მსუბუქი, გემოვნებისა და ხე-ტყის მრეწველობთ, მათგან წამყვანია მსუბუქი მრეწვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობა (6 საწარმო), ორი მთავარი დარგის ხვედრითი წონა რაიონის მთელი მრეწველობის მიმართ შემდეგია (1948წ. 1/I-თვის):

მსუბუქი მრეწველობა	— 61,2 პროც.,
გემოკვების „	— 13,1 „

დანარჩენი დარგების ხვედრითი წონა უმნიშვნელოა, თუმცა მომავალში განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს ხე-ტყის მრეწველობას. ვინაიდან ტყის მნიშვნელოვანი მასივებია, და სამთომოპოვებითი მრეწველობის განვითარებას — ზოგიერთი წიაღისეული საბადოს არსებობის გამო.

ქალაქის განვითარების ხელს უწყობს აგრეთვე საკუთარი სათბობი და საწყვავი ბაზის არსებობა, როგორიცაა ქვანახშირი, ხე-ტყე, საშენი მასალები (საშენი ქვა, ხე-ტყე, თიხა). ეს უკანასკნელი დიდი რაოდენობითაა ქალაქის მახლობლად სოფ. მზისასთან, სადაც 1947 წ. აშენდა აგურ-კრამიტის ქარხანა (წლიური პროდუქციით 450 ათასი). მზისას აგურ-კრამიტისა და თებერდის კირის ქარხანა უმთავრესად ქ. ქლუხორის მშენებლობას მოამარაგებს.

ქალაქი გეგმითაა გაშენებული, შენობები განსაკუთრებით ცენტრში კაპიტალურია და ადგილობრივი საშენი ქვისგანაა აშენებული, განაპირა უბნები კი სტანდარტული ტიპის ერთსართულიანი სახლებია. რაიონული ცენტრისათვის დამახასიათებელია სწორი და ფართო ქუჩები (სიგრძე 8 კმ), რომელთა დიდი ნაწილი ასფალტირებულია, ბაღები, ალეები, სკვერები და დეკორაციულ მცენარეთა სამრავლე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქალაქის კეთილმოწყობაზე მარტო 1948 წელს 478 ათასი მანეთი დაიხარჯა, რაც ორჯერ აღემატება 1946 და 1947 წლების თანხას.

ქალაქი ქლუხორი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია არა მარტო რაიონში, არამედ ახლო მდებარე რაიონებისათვის აქ თავს იყრის თებერდაყუბანის ხეობებიდან და ჩერქესიდან მომავალი გზები. ამ უკანასკნელის მეოხებით ახორციელებს კავშირს რაიონი და ქალაქი საქართველოსთან — რკინიგზის საშუალებით ბაქოსა და სოხუმის მიმართულებით, ნაწილობრივ კი საავტომობილო გზით — ძაუჯიყაუზე გავლით.

ქლუხორის, როგორც სატრანსპორტო კვანძის, მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზრდის ქლუხორის გადასასვლელით (სოხუმის სამხედრო გზით) მიმოსვლის მოცვარება. ამ გზით გაიზრდება ტვირთბრუნვა რაიონსა და დასავლეთ საქართველოს შორის, შემცირდება მიმოსვლის დრო და, რაც მთავარია, მანძილი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მანძილი სოხუმამდე (გადასასვლელით) 216 კილომეტრს ეტრის, ხოლო თბილისამდე (ამავე მიმართულებით) 660 კმ, ე. ი. ორჯერ ნაკლებს ბაქოსა და სოხუმ-სოჩას მიმართულებასთან შედარებით. გარდა ამისა, ქალაქი გადაიქცევა სატრანსპორტო კვანძად და ტვირთბრუნვის რეგულატორად ჩრდილო კავკასიასა და საქართველოს შორის და მისი ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობის და შესაძლებლობათა გამოყენება, რომელიც წარსულში გამოუყენებელი რჩებოდა, გაძლიერდება, რაც მტკიცე საფუძველს შეუქმნის ქალაქისა და მთელი რაიონის მომავალ განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი რაიონის სოფლებს ავტოგზებით უკავშირდება, ხოლო საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის როგორც ავტოგზებით, ისე რკინიგზით. უახლოესი რკინიგზის სადგურია ჯუგუთა (ბერქესკიდან 18 კმ მანძილზე).

მიმოსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საშუალებაა ავიატრანსპორტი. ქლუხორიდან 13 მიმართულებით მიდის ავიახახი, მ. შ. სამი თბილისი-ქუთაისი-სოხუმისაკენ.

1948 წელს დაიწყო და ახლო მომავალში დამთავრდება პირდაპირი სატელეფონო ხაზის გაყვანა (216 კმ) ქლუხორიდ ნ სოხუმისაკენ (გადასასვლელით), რის შემდეგ ქალაქს რეგულარული სატელეფონო კავშირი ექნება თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებთან.

ქალაქის მოსახლეობა ჩამოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდება, განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლებში მრეშველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის განვითარებისა და აგრეთვე კულტურულ-ადმინისტრაციული ფუნქციების ზრდის გამო. საკუთრივ ქალაქში თავმოყრილია მთელი რაიონის მოსახლეობის ერთი მესამედი (4,2 ათასი 1948 წ.), რომელიც ეთნიკურად, ძირითადად ქართველებისა და რუსებისაგან შესდგება. ამავე დროს, ქალაქის გარშემო მდებარე სოფლები შერთულა, ხიდისკარი, შუქურა და ახალშენი უშუალოდ ქალაქთან არიან დაკავშირებული ეკონომიურად და კულტურულადაც.

ქალაქს კულტურულ მომსახურებას უწევს კულტურის სახლი და კინოთეატრი, საქალაქო ბიბლიოთეკა, სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, სპეციალური სახელოსნო სასწავლებელი, ორი საშუალო სკოლა (ქართულ რუსული), ქალაქის პიონერთა სახლი, ამბონ, კეთილმოწყობილი სასტუმრო; მშენებლობის პროცესშია ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკი და სხვ. ქალაქში გამოდის რაიონული გაზეთი „განთიადი“.

ქალაქისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წყალსადენს, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს მოსახლეობასა და საწარმოებს. ქალაქს კარგი სასმელი წყალი არ გააჩნია, სარგებლობენ მდინარე თებერდის წყლით, რომლის მარჯვენა მხარეზეც მოწყობილია წყალსათუმბო სადგური. მდინარის წყალი 30 მეტრის სიმაღლეზე ადის და წყალშემკრებ აუზში ხდება მისი ფილტრაცია. აქედან წყალი მილებით მიედინება კალაქში (მილების სიგრძე 14,0 კმ) ქალაქისა და მის გარშემო მდებარე ბაღ ბოსტნებისა და ნარგავების სარწყავად მდინარე თებერდის წყალს იყენებენ სპეციალური მილებისა და ჰიდრანტების საშუალებით, მაგრამ დიდი ნაწილი არ ირწყვება მილების უქონლობის გამო.

მდინარე თებერდის წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მის მთავარ უარყოფით მხარედ ითვლება იონურ შენაერთთა ნაკლებობა და სადგურის დაზიანება გერმანელ ოკუპანტთა მიერ; ამიტომ განზრახულია ახალი მძლავრი წყალსათუმბო და წყალშემკრები სადგურების მშენებლობა მდინარე ყუბანის მარ. ხენა სანაპიროზე. ყუბანის წყალზე, სადაც მეტია იონური შეერთებანი, დადგმული იქნება ფილტრი, დიდად შემცირდება ნიადაგის ნაწილაკების რაოდენობა და, რაც მთავარია, უფრო უკეთეს და მეტი რაოდენობით მოაწოდებს წყალს ქალაქის მოსახლეობასა და მეურნეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქში თავმოყრილია სავაჭრო ორგანიზაციათა წერტილების დიდი რაოდენობა (15 წერტილი), მათ შორის საქვაჭრობისა, ადგილობრივი სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის ხაზით. ქალაქი სამრეწველო პროდუქციას და სასურსათო საქონელს თბილისიდან ღებულობს (რკინიგზით ბაქოს მიმართულებით) და შემდეგ ანაწილებს მას რაიონში.

ქალაქ ქლუბორის მომავალ ზრდა-განვითარებას ბიძგს მისცემს მისი სატრანსპორტო მნიშვნელობა, განსაკუთრებით ქლუბორის გადასასვლელზე მიმისვლის მოგვარება, კურორტ თებერდის შემდგომი კეთილმოწყობა, რაც დამსვენებელთა ნაკადის ზრდას გამოიწვევს არა მარტო რუსეთის სფს რესპუბლიკიდან, არამედ სხვა რაიონებიდანაც. რაიონის ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო მნიშვნელობის წიაღისეული სიმდიდრეები, მდიდარი ხე-ტყის მასივები და ალპური საძოვრები, მომავალში ხელშემწყობ პირობებს ქმნიან სამთო-მოპოვებითი, ხე-ტყის, გემოკვებისა და მსუბუქი (საფეიქრო, ტყავისა და ა. შ.) მრეწველობის განვითარებისათვის.

ქალაქის მომავალ ზრდასთან დაკავშირებით ისმება მისი ფართობის გადიდების საკითხი: 1948 წელს ქალაქის ფართობი 360 ჰექტარს უდრიდა (საცხოვრებელი ფართობი 29,1 ათას კვ. მ) მაგრამ მისი შემდგომი გაფართოება რელიეფური პირობების გამო შეზღუდულია დასავლეთით მოტიტვლებული და ციცაბო მთების გამო, ჩრდილოეთით კი, სადაც ყველაზე საუკეთესო პირობებია, აგრეთვე შეუძლებელია, რადგანაც ქალაქის ჩრდილოეთით გადის საქართველოს სს რესპუბლიკისა და სტავროპოლის მხარის საზღვარი. ქალაქის გაფართოება შესაძლებელია აღმოსავლეთით მდებარე მთის კალთებზე, სადაც სოფელი შერთულა მდებარეობს, უფრო მეტად კი სამხრეთით, სანსაკუთრებით თებერდის ხეობის მიმართულებით — სოფელ შუქურასაკენ. ყუბანის ხეობისაკენ. სოფელ ახალშენის მიმართულებით. მდინარე ყუბანის ფართო კალაპოტი თითქმის უშუალოდ ეკვრის დაუთის წყალგამყოფს და ფართობი მშენებლობისათვის თითქმის არ არის. ამრიგად, ერთი მხრივ სოფ. შერთულასა და უფრო მეტად სოფ. შუქურას მიმართულებით გაფართოება ქალაქს რკალისებურ სახეს მისცემს.

ქალაქის მომავალი ზრდა საჭიროებს რიგ ღონისძიებათა ჩატარებას. პირველ რიგში ქალაქს ესაჭიროება ნიადაგდაცვითი ტყის საფარის გაშენება დასავლეთითა და აღმოსავლეთით, რითიც დაცული იქნება სოფელი ხიდისკარი და თვით ქალაქი ნიადგრებისაგან, მეორე მხრივ კი ჩერქესკ-ქლუბორის გზა წალეკვისაგან. აუცილებელია მდინარე თებერდისა და ყუბანის კალაპოტებში წყალსაცავი ზოლის შექმნა, ვინაიდან მდინარეთა სწრაფი დინებისა და ძლიერი ეროზიის გამო კალაპოტის სიგანე თანდათან მატულობს და ამცირებს ქალაქისათვის საჭირო და აუცილებელ ფართობს, გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს ახალი წყალსაცავი სადგურის მშენებლობა და დამატებითი მილების გაყვანა ქალაქის წყვანე ნარგავებისა და საგარეუბნო მეურნეობის წყლით მომარაგების მიზნით, მით უმეტეს, რომ არსებული ქსელი მხოლოდ სამი მეოთხედით აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას; საჭიროა ძველი ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პის შენობათა შეცვლა გარეუბნებში ახალი ტიპის შენობებით, რასაც ხელს უწყობს ქალაქის მიდამოებსა და რაიონში არსებული მდიდარი საშენი მასალა. დასასრულ, მთელი რაიონის ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს ინტერესებიმოითხოვს რკინიგზის ხაზის მშენებლობის დამთავრებას სადგ. ჯუგუთადან ქალაქ ქლუხორამდე და საავტომობილო მიმოსვლის მოგვარებას ქლუხორის გასასელელით.

ლიტერატურა

1 ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემები
ИЗДАНИЯ ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ имени ВАХУШТИ

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები:
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ им. ВАХУШТИ:

1. ტ. I, ვახუშტი როგორც გეოგრაფი (1696—1784). საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1947 წ., გვ. 1—256.

   T. I, Вахушти как географ (1696—1784). Изд-во АН Груз. ССР, Тбилиси, 1947 г., стр. 1—256.

2. ტ. II, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად. საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ/წ. ალ. ჯავახიშვილი. საქართველოს სსრ გეომორფოლოგიური რაიონები, რელიეფის ტიპები და მათი გავრცელების რაიონები. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, მოსკოვი—ლენინგრადი, 1947 წ., გვ. 1—180.

   T. II, Совместно с Институтом Географии АН СССР, д/ч. АН Груз. ССР А. Н. Джавахишвили. Геоморфологические районы Грузинской ССР. Типы рельефа и районы их распространения. Изд-во АН СССР, Москва—Ленинград, 1947 г., стр. 1—180.

3. ტ. III, ნაკვეთები 1 და 2, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბილისი, 1948, გვ. გვ. 1—82 და 1—172.

   T. III, вып. вып. 1 и 2, физико-географическая серия. Изд-во АН Груз. ССР, Тбилиси, 1948 г., стр. стр. 1—82 и 1—172.

4. ტ. IV, ნაკვ. 1, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია. ქლუხორის რაიონი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბილისი, 1949. გვ. 1—158.

   T. IV, вып. 1, Физико-географическая серия, Клухорский район. Изд-во АН Груз. ССР, Тбилиси, 1949 г., стр. 1—158.

5. ტ. IV, ნაკვ. 2, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ქლუხორის რაიონი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1950 წ.

   T. IV, вып. 2, Физико-географическая серия, Клухорский район. Изд-во АН Груз. ССР, Тбилиси, 1950 г.

6. ტ. IV, ნაკვ. 3, ეკონომ-გეოგრაფიული სერია, ქლუხორის რაიონი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბილისი, 1950, გვ. 1—124.

   T. IV, вып. 3, Эконом-географическая серия, Клухорский район. Изд-во АН Груз. ССР, Тбилиси, 1950 г., стр. 1—124.

იბეჭდება — ПЕЧАТАЮТСЯ

7. ტ. V, ნაკვ. 1, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, სამცხის რაიონი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

   T. V, вып. 1, Физико-географическая серия, район Самцхе. Изд-во АН Груз. ССР, Тбилиси.

8. ტ. V, ნაკვ. 2, ეკონომ-გეოგრაფიული სერია, სამცხის რაიონები. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

   T. V, вып. 2, Эконом-географическая серия, районы Самцхе. Изд-во АН Груз. ССР, Тбилиси.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 342
1950